

# კვირის პალიზრა

## შუაკვირული გვეს

№ 11 (256) ◆ 13-19 მარტი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსდა 1995 წ.

### თუ რუსეთი უფრო ნაგონი, გაუიწივლოს რაღა ექიარება ნაგონი გაწივება?

— ნაგონი შესვლის ფორსირება რუსეთიდან გაქცევისათვის გვირდება...  
— მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში უნდა შევიტანოთ წვლილი, რათა რუსეთის ამბიციებმა „ფეხი მოიგეს“ ჩვენეთში...  
— პატიშვილის კანდიდატად ნაგონივანება აბაშიძის კარგად მოუძიარებული ფანდია.  
— მაგუპა ბიორბაპის კალიან ცულალ გაუსწანება პატიშვილის გპარლით ყოუნას. ზგვ.3

### სამხედრო თემაზე: „კვირის პალიზრის“ რეპორტაჟი პრეზიდენტის ხოლოდან



...რუსი ტელეჟურნალისტები ყოველმხრივ ცდილობდნენ დაეცდნენ თანამებრძოლ მესაზღვრეებისათვის, თითქოს ჩვენები შატილის გავლით მარადგებიან იარაღით და ტყვიანობით. მიუხედავად ზეწოლისა, რუსმა მესაზღვრე პოლკოვნიკმა კატეგორიულად უარყო ასეთი ფაქტები... ზგვ.9

### რას წერენ ჩვენზე:

„...საქართველოში არსებული ოთხი რუსული სამხედრო ბაზა სერიოზული საფრთხეა 5,5 მილიონიანი ქართული სახელმწიფოსათვის...  
...სიტუაცია საზღვარზე დაძაბულია... ერთი საომარი პროვოკაცია კი რუსების მხრიდან თავდაყირა დააყენებს ყველაფერს.“ ზგვ.12 გარდინი. 28 თებერვალი

### საბა სიყვარულზე


როგორ უყვარდათ... სეველიანი რომანი, სეველიანი წყვილები, ბედი მღვდარი... ზგვ.26

### ფირმა „გარეშე“

გარეშე სანაგებო, სამკაულო და აუზების კონსტრუქციული სამუშაოები აღმოგოვრებთ და უსაფრთხო გარემოში, კარგად მოწყობილი გარემოში. გარეშე 10 წელი. წერეთლის გამზ. №55, ბინა №53  
☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

### რეინიგზის ირგვლივ გაღა ახალი სპანდალი პოტრეზა

ბიუჯეტი დარჩა 30 მილიონის გარეშე... ის 30 მილიონი „საქართველოს რეინიგზის“ „ჯიბეში“ მიდის. — აქ ან შეცდომა გაიპარა, ან სპეციალურად გააპარეს... ზგვ.6 — გიორგი ბარამიძე  
30.000.000 ლარი



### ფულთან ერთად თავის პრეზიდენტი!

— უფროსილდით „ძალიან შავებს“...  
— თუ ფული არ გეწინა, საკუთარ სიცოცხლეს მაინც გაუფრთხილდით.  
— გვარებს არ ღავასაზღვრებს და ზოგიერთმა უკვე იწვინა...  
თეგურ მაგაცაშვილი — საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინგლისში. ზგვ.5




### ავტომაქანავს ხინვალის რეპორტაჟი ველარ განაგებავს

ორიოლე კვირის წინ „კვირის პალიზრის“ მწვევე წერილმა მწვევე შედეგი გამოიღო — ძალაში შევიდა ბრძანებულება ორი მინისტრის ხელმოწერით (მხმ. მაჭაყარიანი და კახა თარგამაძე), რაც ცხიენალის რეგიონში ავტომაქანავის განბაეებას აზრს უკარგავს! ზგვ.5

### გელისწერა თუ გერაქი?

...ვილაცას არ მოსწონდა ბოროვიკი, ვილაცას — ბაქაევი...  
...ბევრს ხელს უშლიდა „ჯგუფი ალიანსის“ თავკაცი...  
...პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩემს შვილს ბევრი ემუქრებოდა...  
— კენრიზ ბოროვიკი... ზგვ.12



გარეშე სანაგებო სამუშაოების განხორციელება...

### სამხედროებს უბრძანეს

— ენას კბილი ღაჭირით...  
...ხელისუფლება მალაგდა დაღუპულთა რაოდენობას — სინამდვილეში ფსკოვის პოლის მთელი როგა დაღუპულა — 86 მებრძოლი. ზგვ.18

### დაგეხმარებათ ცესცი:

— შეამოწმეთ თქვენი ჯანმრთელობა  
— ეგვიანი თუ ხართ, უნდა იმუშაოთ საკუთარ თავზე. ზგვ.21-23

დასახელეთ ყველაზე ზგვ.27  
კორუმპირებული უწყება!  
საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

### ეპრიკა — გაგონება „ახალი გოგონი“

მალაქინოსანმა ქართველმა საქართველოს სიამაყეს ნაგურალურ „ბორჯომს“ რალითაქტური სტრონციუმი „აღმოუჩინა“ და ხალხზე მზრუნველმა ხელოწერი „ბორჯომის“ ჯადოსნური ფორმულა გამოიგონა — ონკანის წყალი, სოდა, ცოგა მარილი და იოლი... სირცხვილით იწვის ნამდვილი „ბორჯომი“.  
ქიმიურად შეთხზული წყალი „ბორჯომს“ სჯობიარ(ი) ზგვ.7

### თბილისის მეტროს ახალი სადგური მწყობრშია...



ისტორია კი ძალიან ღილი ხნის წინ დაიწყო და დაიწყო(!) ბორჯომიდან... დაწყებულია სტალინიდან. ჩარევა ნიკიგა სერგაევის უცლია და ვასილ მგავენაძეს პოლიტიკური გრიუკი უხმარია. ზგვ.20

### „ქართველი ლიონკა პანგელაევი“

იმ ღლეებში მოსკოვის მთელი მილიცია მობილიზებული იყო გალაქტონ ცინცაძის დასაკავებლად. სამართალდამცეებმა ძებნილს „ქართველი ლიონკა პანგელაევი“ (20-იანი წლების რუსეთის ცნობილი ბანდიტი) შეარქვეს და მის მოსაძებნად ძალ-ღონეს არ იმუშებდნენ. მოელენები კი კალეიფსკოპური სისწრაფით იცვლებოდა და ვითარდებოდა. ზგვ.10

### საკვირობა

ტელეკინოფიზიკა 13-19 მარტი  
ზგვ. 14-15

საქართველო

Неделя  
КОМАНДОС  
ЧАСТИ  
ЖИВИ

ТЕЛОХРАНИТЕЛЬ

За РУБЕЖОМ

МОСКОВСКИЕ НОВОСТИ

Newsweek

FOCUS

орбанти

DER SPIEGEL

КОМСОМЛЬСКАЯ ПРАВДА

АИР

stern

СЕГОДНЯ

АЮКВА

ИЗВЕСТИЯ

ТРУД

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

иностранец

ИЗВЕСТИЯ

Match

ТВ ПАРК

ЛИЦА

ОГОНЕК

daily

Observateur

Итоги

თქვენ გაგონებაიანი გკითხვალი გრძანდება!



## კვირეული კვირა „დაღვანებული“

ასლან აბაშიძის მუქარამ, რომ თუ პარლამენტი არ შეიქმნა ცვლილებას საარჩევნო კანონში, არ დაამტკიცებდა არჩევნების მარკირების გამოყენების წესს და რომ ბლოკი „აღორძინება“ ბოიკოტს გამოუცხადებდა საპრეზიდენტო არჩევნებს, წარბი არ შეხერხებდა საკუთრივ ბლოკის წევრ სოციალისტებს და ტრადიციონალისტებს. მათ ერთხმად განაცხადეს, რომ არჩევნების ბოიკოტირება მიუღებელია მათთვის! გაირკვა, რომ ეს განცხადებები არ იყო შეთანხმებული ბლოკის პოლიტსაბჭოსთან, რომელსაც ტრადიციულად უძღვება ბლოკის ლიდერი ასლან აბაშიძე! ამიტომ ვახტანგ რჩეულიშვილის პოზიციამ ერთგვარი არეულობა გამოიწვია „აღორძინების“ რიგებში, თუმცა №1 სოციალისტი ბოლომდე თავის აზრსა და პოზიციას დარჩა და კატეგორიულად უკუაგდო ნებისმიერი იდეა არჩევნების ბოიკოტირებასთან დაკავშირებით. ამ ფაქტმა საბაბი მისცა ქართულ ისტებლიშმენტს კულუარული „მსჯელობისათვის“ ბლოკ „აღორძინებაში“ შესაძლო განხეთქილების აგორების შესახებ, რაც სასაცილოდ არ იყო №1 სოციალისტს...

ასლანშენა, რომ პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საარჩევნო კანონში, მაგრამ არ მიუღია მარკირების შესახებ გადაწყვეტილება. ასე რომ, 9 აპრილს ამომრჩეველი გადარჩება „დაღვანებას“...

## კვირეული კვირა კვირეული კვირა?

როგორც იქნა, პარლამენტმა სამივე მოსმენით დაამტკიცა 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტად წოდებული კანონპროექტი, რომელიც ექსპერტთა თქმით, ყველაფერია, ბიუჯეტის გარდა! თვით უმრავლესობის წარმომადგენლებიც კი „აღფრთხილები“ მისი უფარგისობის გამო... საინტერესო ის იყო, რომ თვით ამ გაუბედურებული ბიუჯეტის თანხებიდან დეპუტატები ითხოვდნენ და ითხოვდნენ „ათასებს, ათი ათასებს, ასი ათასებსაც“ ამა თუ იმ „უმნიშვნელოვანეს“ დარგის, სფეროს „დასაფინანსებლად“, „ასაღორძინებლად“, „სასიკვდილოდ არგასანირად“, „დადასარჩენად“, „დასაკმაყოფილებლად“ და სხვ. ტრბიზანზე 9 საათის მანძილზე მდგარი ფინანსთა მინისტრი კი ინერდა და ინერდა თავის დავთარში ხალხის რჩეულთა თხოვნებს, მოთხოვნებს, ულტიმატუმებს, ზოგს იქვე უარყოფდა, ზოგს განმარტებას აძლევდა, ზოგს აიძულებდა, ზოგსაც საერთოდ პასუხის ღირსად არ მიიჩნევდა და ა.შ ყველაზე კატეგორიული მონათხიზი ირაკლი ბათიაშვილისაგან გაისმა, რომელმაც მოითხოვა, რომ არძინებას მიერ დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადასახდელად გამოყოფილი 26 მლნ ლარი მოეხსნათ და ძალგან სტრუქტურებისათვის გადაეცათ, რომლებიც მართლაც რომ სულს ღაფავენ, თუმცა ამ მოთხოვნისაგან ბევრი არაფერი გამოვიდა... მთავარი მაინც „გაკეთდა“, ანუ სახელმწიფომ დაიწყო ბიუჯეტით „ცხოვრება“. იმედია, ბიუჯეტი, ბოლოს და ბოლოს, გაისტუმრებს ხელფასებისა და პენსიების დაგადასახდელს მაინც!

## აჭარის მოუხსნეს პედაგოგები

აჭარის ხელისუფლების ინიციატივით, როგორც იქნა, ბრტყელ საბაჟო კომპანია „აი-თი-ეს“-ს ბათუმში მუშაობის უფლება მისცეს. ეს ფაქტი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ცენტრისა და უმრავლესობისათვის, რომლებიც მთელი წლის მანძილზე ადანაშაულებდნენ ასლან აბაშიძეს სახელმწიფო ღალატსა და უფლებამოსილების გადამტეხვაში... ლორთქიფანიძე და ჟვანია მიესალმნენ ამ გადაწყვეტილებას. თუმცა ცნობილი შეიქნა, რომ ბათუმმა წამოაყენა თავისი პირობა — არ მოხდეს ტვირთის ინსპექტირება ქვეყნისა და აჭარის შიგნით. ეს არც შედის „აი-თი-ეს“-ის ფუნქციებში და ის ცენტრალური სტრუქტურების პრეროგატივაა... მიზეზი მატყვარაინიც მიესალმა აბაშიძის ამ მოულოდნელ წინადადებას და კიდევ ერთხელ დადო პირობა, რომ ცენტრალურ და აჭარის ხელმძღვანელობებთან ერთად ყველა ზომას მიმართავს კორუპციის აღსაფიქრებლად. სამაგიეროდ, ცენტრი და რეგიონი ვერ შეთანხმდნენ 2000 წლის ბიუჯეტის პარამეტრებზე და აჭარას მოუხსნეს საგადასახადო შეღავათები.

## თბილისში დაღვანებული კანონი კანონს აკადრებს

თბილისში, ელიას მთაზე, თბილგაზის სისტემიდან გაზის გაუფრთხილებლად გაშვების შედეგად მომხდარმა აფეთქებამ მოქალაქე გაზიანების სახლი თავის წევრებთან და პაერში აიტაცა. ოჯახის წევრებს დღემდე ვერ გაუსვენებიათ, როგორც მოხდა აფეთქება. თავდაპირველად, რაღაც შიშინი შემოესმათ თურქი, რასაც აფეთქება მოჰყვა. დაზარალებულებს საავადმყოფოში მკურნალობენ, თბილგაზს კი სასამართლო პროცესი ემუქრება.

## პოსტოვო მართვა 1.5 მლნ ლარზე!

ჭიათურაში მთელი კვირის მანძილზე გრძელდებოდა ურთიერთობათა გარკვევა ჭიათურის მანგანუმის საწარმოსა და ჩეხურ კომპანია „საგაპრინტს“ შორის. ეს უკანასკნელი დაპირდა მუშა-მოსამსახურეებს ხელფასების გაცემას 600 ათასი დოლარის ეკვივალენტით, თუმცა ჭიათურელთა ენებათაღელვა ამ დაპირებით მაინც არ დამცხრალა. ჩეხებს თავად თემურ შამიაშვილი დაუდგა თანდაცად, ხოლო უცხოელმა კომპანიონებმა თავის მხრივ განაცხადეს, ხელფასების გაცემის პროცესი იმიტომ გაჭიანურდა, რომ ფირმის ქართველმა პარტნიორებმა ჩეხებს ჭიათურმანგანუმის ანგარიშზე გადმოირიცხული მილიონ-ნახევარი დოლარი... მოპარესო! გაირკვა, რომ საწარმოს ფინანსურ საკითხებს ვინმე ძმები ცერცვაძეები არეგულირებდნენ, თუმცა მათ არც შამიაშვილი და არც „საგაპრინტსი“ ბრალს არაფერში დებენ და გამალებით ეძებენ „აორთქლებულ“ დოლარებს!

## საზარელი ამბავი

თერჯოლაში საზარელი სცენა გათამაშდა. ამას წინათ საკუთარ სახლში ყაჩაღების მიერ მოკლული ბეჟან ციხელაშვილის ახლობლებმა მიცვალებული საფლავიდან ამოიღეს და გზა გადაკეტეს მოთხოვნით: სასწრაფოდ გამოიძიონ საქმე და დაამაშავეთ დააპატიმრონ! აქციის დროს ხელჩართული ბრძოლა გაიმართა ჭირისუფლებსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის...

## კვირეული კვირა კვირეული კვირა

რუსთაველი პეპატიკის ინფექციური იფეთქა და საავადმყოფოში ბევრი დაავადებული მოხვდა. დახურეს კოლონიები. გაირკვა, რომ ინფექცია სასმელი წყლით გავრცელდა. რუსთაველი ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში დაბალი კლასების მოსწავლეები მოხვდნენ. ეპიდემიოლოგიური სამსახურები უარყოფენ ინფორმაციას, რომ დაავადებას წყალი იწვევს, მაგრამ რუსთაველებს სხვა აზრი აქვთ და ხელს იშვერენ დაბინძურებული სანაპიროსაკენ. უკანასკნელ ხანს საავადმყოფოში უფროსი ასაკის 20-მდე ადამიანი და ერთი მთელი ოჯახიც მოხვდა. ყველა გაიძახის, რომ მოინახლენ სასმელი წყლისაგან, ოფიციალური დასკვნა კი არა და არ ჩანს!

## ხელისუფლება კარგობაშია

როგორც ვიწყებოდით, დიდი სკანდალი მოხდა ვაზიანის ყბადაღებულ რუსულ სამხედრო ბაზასთან დაკავშირებით. იქ მისულ, მაგრამ ბაზაში არმსულ საქართველოში გერმანიის სამხედრო ატაშეს გამოუცხადებდნენ რუსი სალდაფონები და შეურაცხყოფა მიჰყენეს. საქართველოში მდგარმა რუსის ჯარის სარდალმა კი გერმანიელ სამხედრო... ჯავშობაში დაადანაშაულა! საქმეში დაუყოვნებლივ ჩაერია საქართველოს ხელისუფლება და თავდაცვის სამინისტრო და „სტრატეგიულ მოკავშირეს“ სასტიკი საპროტესტო სიტყვებით და წერილობითი ნოტები გაუგზავნა, თუმცა ამას დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ერთმორწმუნე სამხედროებზე... ამ ინციდენტმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქართული მხარე, რომ ამ დანაშაულებრივი სამხედრო ბაზის ყოფნა ქართულ მინა-წყალზე დაუშვებელია!

## სომხეთი სოფლისპირის გაღვანება გვთხოვს

სომხეთის პარლამენტი მომხდარი ტერაქტისას დაღუპული პრემიერ-მინისტრის ვაზგენ სარქისიანის ძმა, არამ სარქისიანი, რომელიც დღეს სომხეთის პრემიერია, ოფიციალურად ეწვია თბილისს და ვაჟა ლორთქიფანიძესთან შეხვედრისას კატეგორიულად მოითხოვა სომხეთიდან მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის, 4 მლნ დოლარის დაუყოვნებლივ გადახდა. ლორთქიფანიძის თქმით, მხარეები შეთანხმდნენ, თუ როგორ, ვა ვადაში და რა სახით უნდა მოხდეს ვალის დაბრუნება... შევარდნაძის თქმით კი, საქართველო სომხეთთან აქტიურად თანამშრომლობს ამ ქვეყნის ტრასეკას პროექტში ჩართვის მიზნით და სარქისიანის ვიზიტის ერთ-ერთი თემაც სწორედ ეს იყო...

## „სასამართლო რეჟიმის გეგმა“ არ მხრება

დიდი დაპირისპირება დაიწყო სასამართლო რეფორმის მამად წოდებულ მიშა სააკაშვილსა და გენერალურ პროკურატურას შორის, მას შემდეგ, რაც ფრანკია „მოქალაქეთა“ ლიდერმა პროკურატურის სისტემას უწოდა — გახრწნილი! საბასუხო დარტყმით დაუყოვნებლივ გამოვიდა გენპროკურატურის მოადგილე ანზორ ბალუაშვილი, რომელიც არანაკლებ მკაცრი გამოხატულებებით დაემუქრა ყველას, „ვინც კი შეხლავს სამშობლოსათვის თავდადებულ პატიოსან პროკურორთა ღირსებას“, შემდეგ ბალუაშვილს სოლიდარობის ნიშნად მხარში ამოუდგნენ ტაშის მთელი ქვეყნის პროკურორები და დადეს პირობა, რომ ღირსეულ პასუხს გასცემდნენ ცილისმამბელებს! ბევრი დაიშურა კიდევ, რომ გადადგებოდა თანამდებობიდან... ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ პრესაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთი პროკურორის ინტერვიუში ინტერვიუერი აღიარებდა სისტემაში არსებულ მექანიზმების, ძველიჭობის, ქურდული მენტალიტეტისა და სხვა მენტალიტეტების არსებობის ფაქტებს. სწორედ ამან მისცა საფუძველი სააკაშვილს „გახრწნილი“ კვალიფიკაცია მიეცა ამ სისტემისათვის... უკანასკნელ ხანს დაპირისპირება თითქმის შენედა, მაგრამ კულუარული ინფორმაციით, რეფორმის მამად და პროკურატურის წარმომადგენლები ბოლომდე აპირებენ ბრძოლას... გაირკვა, რომ სააკაშვილს ამ ბრძოლაში დაეხმარებიან უცხოელი იურისტები და ექსპერტები.

## საპრეზიდენტო პარტიონი დაიწყო

ცსკ-ის საბოლოო მონაცემებით, პრეზიდენტობის 10 კანდიდატიდან არჩევენში ბრძოლას 7 კანდიდატი გააგრძელებს. დანარჩენები, დოკუმენტებში აღმოჩენილი დარღვევების გამო, თამაშგარე მდგომარეობაში დარჩნენ. მას, ასე, 9 აპრილს ერთმანეთს შეეხვება, რა თქმა უნდა, შევარდნაძის, აბაშიძისა და პატიაშვილის გარდა, კიდევ 4 კანდიდატი: თენგიზ ასანიძე, ქართლოს ღარიბაშვილი, ვაჟა ჟღენტო და ავთო ჯოგლიძე.

## რეპრეზენტატიული პარტიონი დაიწყო

შაბათს, 11 მარტს, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯუმბერ პატიაშვილმა პირველი შეხვედრა ჩაატარა ამომრჩეველთან. გამარჯვების (ვაკის) პარკში დაგეგმილ მიტინგზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, რამაც საკმაოდ გაგვაკვირა ჟურნალისტები. მოსახლეობას დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, რადგან პრეზიდენტობის კანდიდატმა მხოლოდ რამდენიმე წუთით დაიგვიანა. მიტინგი პატიაშვილის შტაბის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი კობახიძემ გახსნა.

გამომსვლელები შეკრებილთ დღევანდელ „გაუსაძლის ყოფასა“ და „ნათელ მომავალზე“ ესაუბრებოდნენ. თავის სიტყვაში, ორატორობით სახელგანთქმულმა მამუკა გიორგაძემ, კიდევ ერთხელ გაიხსენა 1989 წლის 9 აპრილი. მისი განცხადებით, ტრაგედიის სცენარი მოსკოვში დაიწერა და ჯუმბერ პატიაშვილი აქ არაფერ შუაშია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა გამომსვლელის სიტყვები ერთმანეთის მსგავსი იყო — „ნერტილი დაესვას შევარდნაძის მათხას!... გავერთიანდეთ უსამართლობის წინააღმდეგ! მხარი დავუჭიროთ ჯუმბერ პატიაშვილს!...“ აღსანიშნავია ისიც, რომ მიტინგს თვალყურს ადევნებდა პოლიციის შვეი სოსო ალაიძე (მოადგილეობით). როგორც „კვირის პალიტრასთან“ ექსკლუზიურ საუბარში ჯუმბერ პატიაშვილმა განაცხადა, იგი კმაყოფილია მიტინგით, თუმცა შედეგს 11-12 აპრილს „მოიქმის“. 16 მარტს კანდიდატი სრულად გააცნობს საპრეზიდენტო პროგრამას ამომრჩეველს. გარდა ამისა, იგი უახლოეს მომავალში ქვეყნის ყველა რეგიონსაც ეწვევა, სადაც ანალოგიურ მიტინგებს ჩაატარებს. ასე რომ, პატიაშვილმა საარჩევნო სტარტი უკვე აიღო. მივა თუ არა იგი პირველი ფინიშთან, ამას ერთ თვეში შეეცდებით.

## შეიქმნა ანტიპროკურორული ტენდენცია

მოსკოვში გაიმართა დსთ-ის წევრ ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რომლის შედეგით შეიქმნა — რუსეთის უშიშროების სამსახურის ბაზაზე ერთიანი ანტიტერორისტული ბაზის შექმნის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. ამ დოკუმენტის ხელმოწერას დაესწრო და მომავალი ცენტრი აუთრთხა რუსეთის №1-მა ანტიტერორისტმა... ვლადიმერ პუტინმა, რომელიც შემდეგ ცალ-ცალკე შეხვდა ყველა ქვეყნის მინისტრებს, მათ შორის, კახა თარგამაძეს. საუბრისას ყურადღება გამახვილდა „უკვდავ თემაზე“ — არიან თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე ჩეჩენი ბოევიკები. თარგამაძემ დაამტკიცა, რომ არ არიან, პუტინმა კვერი დაურკა... მოლაპარაკებით კმაყოფილი დარჩა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი რუშკოლო, თუმცა ვერაფერი თქვა, თუ როდის დააცხრება ერთიანი ანტიტერორისტული ცენტრი დსთ-ის ტერიტორიაზე არსებულ თუ პოტენციურ ტერორისტებს.

## დაიწყო ტიხუში სპიქაროვლი დახვრით

(პაპაძე-ბაბი). სამი ქართველი პატიმარი დახვრითა ყოველგვარი გამოძიებისა და სასა-მართლოს გარეშე დარჩნის (აფხაზეთი) ციხეში ვინმე ზოზა კამკიამ.

ქართველები, რომელთა ვინაობაზე არ სახელდება, ციხის ზოზო გასეირნებისას დახვრითეს, სადაც, თვითმხილველთა მონაცემებით, ჯერ კიდევ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასრულების დროიდან, 1993 წლიდან იმყოფება ათობით ქართველი ტყვე. როგორც აფხაზეთის თვითმმართველ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ეს ინციდენტი მოხდა ქართველთა გაქცევის მცდელობისას.

## ისრაელის კონსული აჭარაში

(ბაბი) აჭარაში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ისრაელის საელჩოს კონსული და პირველი მდივანი საქართველოში რან დიდორი.იგი შეხვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ რან დიდორმა განაცხადა, რომ იგი აჭარაში ჩავიდა საქართველოში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, თავისი ქვეყნის ხელისუფლათა დავალებით. ვიზიტის მიზანია აჭარაში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გაცნობა. რან დიდორმა განაცხადა, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის საქმიანი, კეთილშეგობრული ურთიერთობაა დაწყებული და ის, რაც მან აჭარაში იხილა, მასში კმაყოფილების გრძნობას იწვევს.

## კავშირები საპალატი 150 ხაზი იკრებს

(გლუბა-ბაბი). სტაეროპოლის ოლქის ქალაქ იმაცოვოს მახლობლად, საკონსტროლო უნ-ქტზე, მოსკოვიდან თბილისში მიმავალი „იკარუსის“ ტიპის ავტობუსის შემონახვისას 150 ხატი იპოვეს. ისინი საქართველოს ნომრისანი ავტობუსის სალონიში მოწყობილ სამალაგში იყო დამალული. „იკარუსის“ მძღოლის მტკიცებით, ხატები მან მოსკოვში, არბატზე, თითო 50 რუბლად შეიძინა, მაგრამ სამართალდამცვეებს მის სიტყვებში ეჭვი შეეპარათ. მათი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ხატები მოქმედი ეკლესიიდან გაუტაცათ. მძღოლი დაკავებულია. მიმდინარეობს გამოძიება. ავტობუსი მოსკოვში გარდაცვლილი ქართველის ცხედრის საქართველოში გადასასვენებლად იყო დაქირავებული.

## ქარაიის გაღვანება 80 ადამიანი დაიღუპა

(ბაბი) უკრაინის ქალაქ კრასნოდონში, ბარაკოვის სახელობის მალარო-ში მეთანის აფეთქების შედეგად 80 ადამიანი დაიღუპა. აფეთქება დიდ სიღრმეზე მოხდა. ამ დროს მინის ქვეშ სამასამდე ადამიანი იმყოფებოდა. რამდენიმე ადამიანი ზედაპირზე დამწვრობებითა და გაზით მოწამვლის ნიშნებით ამოიყვანეს. სამშველო სამუშაოები გრძელდება. უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმაშემ შეეცადა თავისი შეხედულება და გააუქმა პოლიციის დაგეგმილი ვიზიტი. ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ვეფლადიდი კატასტროფა იყო მალაროში. მიმდინარე წელს უკრაინის მალაროებში უკვე დაიღუპა 45 ადამიანი. გასულ წელს კი — 270. უკრაინას სამუშაოზე რეკორდი უკავია ქვანახშირის მოპოვების მრეწველობაში მსხვერპლის რაოდენობის მიხედვით. სპეციალისტების თქმით, მისი მიზეზი მოძველებული ხელსაწყოები და უსაფრთხოების ტექნიკის უგულებელყოფაა.

## კავშირი ჩინეთის სტაბილუ ირეპრებს!

პუტინის განცხადებით, იგი აპირებს ჩეჩენთში შემოიღოს 2-წლიანი საპრეზიდენტო მმართველობა, რაც მისი აზრით, რეგიონის გადარჩენისათვის იქნება საჭირო და ყველას ექნება დრო, იფიქროს ჩეჩენთის სტატუსზე, რა თქმა უნდა, რუსეთის შემადგენლობაში. პუტინის არაფერი უთქვამს, „რა მონაწილეობა“ შეიძლება მიიღონ ამ სტატუსის განსაზღვრაში ჩეჩენმა პარტიზანებმა, პრეზიდენტ ასლან მასხადოვის ხელმძღვანელობით!

## გასაქმი რუსებს ისევ გაღვანება

ჩეჩენთში რუსებმა ჩამოაგდეს სპორტული თვითმფრინავი, რომელშიც მათივე მტკიცებით შამილ ბასაევი უნდა ყოფილიყო და რომელიც გაქცევას ღამობდა... მოგვიანებით გაირკვა, რომ ბასაევი არ მჯდარა იმ თვითმფრინავში; მას ამჟღავნებული ტერფის ქრილობა გაეხსნა და განგრენა დაეწყო. ამიტომ ხელმეორედ გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია!

## გეოგრაფიკული თარიღი აიწვით

(ბაბი) შრი-ლანკის ხელისუფლების ცნობით, დაიღუპა 4 თამილელი ბოევიკი, რომლებიც ქვეყნის დედაქალაქ კოლომბოში მომხდარი აფეთქების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ.

პოლიციის ცნობით, ბოევიკებმა თავი აიფეთქეს მას შემდეგ, რაც ისინი პოლიციამ მოძებნა და ალყა შემოარტყა. ბოევიკებმა აფეთქებისა და შრი-ლანკის სპეცსამსახურების თანამშრომლებთან შეტაკების შემდეგ მიმალვა მოახერხეს საღამოს პიკის საათის დროს. აფეთქების შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ თამილელი სეპარატისტები შრი-ლანკის თავდაცვის მინისტრზე თავდასხმას იმ მომენტში აპირებდნენ, როცა იგი პარლამენტის შენობიდან ქალაქის ცენტრისკენ მიემგზავრებოდა.

## ჩილეს პირველი სოციალისტი პრეზიდენტი

(ბაბი) ჩილეს დედაქალაქში უამრავი უცხოელი სტუმარი ჩავიდა პრეზიდენტის თანამდებობაზე რიკარდო ლაგოსისთვის უფლებამოსილების ოფიციალურად მიწოდების ცერემონიაზე დასასწრებად. სტუმართა უსაფრთხოებას 5.000-მდე პოლიციელი და კარაბინერი იცავს.

საზეიმო ცერემონია ქალაქ ვალპარაისოში ჩატარდება, რომელიც დედაქალაქიდან 125 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. სწორედ ამ ქალაქშია განლაგებული ჩილეს პარლამენტი. რიკარდო ლაგოსი 62 წლისაა, სამხედრო გადატრიალების შემდეგ ლაგოსი პირველი სოციალისტი პრეზიდენტი, რომელმაც ქვეყანა უახლოესი 6 წლის განმავლობაში უნდა მართოს.



მართალია, პუტინის ამასწინანდელმა განცხადებამ, ნატოსთან რუსეთის ინტეგრირებისა და მეტიც, მასში განვეერების პერსპექტივის შესახებ ერთგვარი სენსაცია გამოიწვია საერთაშორისო თანამეგობრობაში, მაგრამ იმთავითვე აშკარა იყო, რომ ეს განცხადება იძულებით გააკეთდა ამასთან, მას უმნიშვნელოვანესი მოვლენებიც უძლოდა წინ: ჯერ იყო და აშშ-ის სენატმა მიიღო მართლაც სენსაციური და უპრეცედენტო რეზოლუცია, რომელშიც „სენატი აღიარებს ჩეჩენი ხალხის უფლებას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის ინტერვენციას“, შემდეგ კი ბზიგნევ ბუჟინსკიმ, ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ალექსანდრ ჰეიგმა და ცნობილმა დიპლომატმა, საბჭოთა კავშირთან განიარაღების შესახებ პირველ მოლაპარაკებებზე აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელმა მაქს კამბელომანმა შექმნეს „ჩეჩენეთის მხარდამჭერი საერთაშორისო კომიტეტი“ და პირველ ეტაპზე დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება მთელ მსოფლიოში... ყოველივე ეს უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, მით უმეტეს, რომ როცა აღნიშნული კომიტეტის შექმნის მიზეზებსა და მიზეზზე საუბრობდნენ ბუჟინსკი და ჰეიგი, განაცხადეს: „... კომიტეტის ჩამოყალიბება განაპირობა ორმა მიზეზმა — ჰუმანიტარულმა და გეოპოლიტიკურმა. ჩეჩენეთში მიმდინარე გენოციდი ტრაგედიაა რუსეთის ყველა მკვიდრისთვის და ჩვენი მთავარი ამოცანაა, ვაიძულოთ მოსკოვი, შეწყვიტოს ჩეჩენეთის გადანგურება და არ მიუყვროს ჩეჩენებს ისე, როგორც ფაშისტები ებრაებოდნენ რუსებს, ებრაელებს, პოლონელებს...“ კომიტეტის დამაარსებლებმა სასტიკად გააკრიტიკეს კლინტონის ადმინისტრაცია და მოსთხოვეს ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების შემოღება რუსეთის იზოლაციისთვის! რაც შეეება ჩეჩენეთის ომის გეოპოლიტიკურ ფაქტორებს, ბუჟინსკიმ განაცხადა: „ომს ჩეჩენეთში შეიძლება მოჰყვეს დესტაბილიზაცია სამხრეთ კავკასიაში და შედეგად, მორიგი დაძაბულობის დანყება რუსეთის და დასავლეთის ურთიერთობებში. ამ კონტექსტში მოიაზრება კავკასიის რეგიონში ვაშინგტონის ეკონომიკური ინტერესებიც... მთელი რეგიონი დესტაბილიზებული იქნება, თუ შეწყდა ბაქო-სუფსის ნავთობადენის ფუნქციონირება ან თუ არ აშენდა ბაქო-ჯეიჰანის მილსადენი, ამით კი, რუსეთი ნამდვილად არ მოიგებს... საერთოდ, შესედელება, რომ ამ თამაშში შეიძლება ვინმე მოგებული დარჩეს მონინალმდეგის დაზარალებების ხარჯზე, უზარმაზარი შეცდომაა... სინამდვილეში, რეგიონის პოლიტიკური სტაბილიზაციითა და ეკონომიკური გაძლიერებით, არა მარტო რეგიონის მოსახლეობა მოიგებს, არამედ რუსეთიც...“

აი, ასეთი მოვლენების ფონზე, როცა ჩვენს სასიცოცხლო ინტერესებზე დასავლეთი უფრო ფიქრობს და ზრუნავს, ვიდრე მშობლიური ხელისუფლება და პოლიტიკური სექტრი, სავსებით ლოგიკურია ის წინასაარჩევნო მარაში (სხვათა შორის, მათი პოლიტიკური ლექსიკა ბოლო დროს გამდიდრდა ტერმინებით — მაზოხიზმი, გახრწნა, გათახირება, სიდაზპლე, ფლაგი და ა.შ.), როცა ურთიერთდაპირისპირებული ორი კორუმპირებული ძალა, გნებაზე გააღვნიან კლანთა ორი ნაკრები, თითქოსდა, იბრძვის არჩევნების მოსაგებად, სინამდვილეში კი, წინასწარვე ყველაფერი გათვლილ-გადანაწილებულია... ამასთან, მუშაობს ბნისძური პრინციპი — შენ მე არ შემიყები, სამაგეროდ, შეგიყმნი შესანიშნავ წინასაარჩევნო დემოკრატიულ პირობებს — და საუბედუროდ, მთელი ქვეყანა ამ მასკარადის მონშე-მონაწილე ხდება. არც „თავს ზემოთა ძალა“, რომ ჩვენი საზოგადოების აბუჩად ავადებს დაესვას ნერტილი, იმ საზოგადოებისა, რომლის თავზეც გადატყდება უწინარესად ჯოხი, თუ რეგიონში „მატლი აირია...“ პუტინის ზემოთ სხენებული განცხადება-ფანდი მოსალოდნელი სამშროების ერთგვარი დადასტურებაცაა.

ვსაუბრები ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატს, პოლიტოლოგ აბაჰი ყულიჯაღნოვილს:

— უწინარესად, ეს არის პუტინის აშკარა წინასაარჩევნო განცხადება მოუხდავად იმისა, რომ მასში გამოთქმული ინიციატივა ნატოსთან დაახლოების შესახებ — ნამგებიათა რუსის ნაციონალისტური მსოფლმხედლეობიდან გამომდინარე, მით უმეტეს, რომ პუტინი ის კაცია, რომელიც თამაშობს ერის ნაციონალისტურ გრძნობებზე და ცდილობს იყოს რევანშისტი. ეს რევანშიზმი არ უნდა გავიგოთ ვწრო მწიშნელობით, ისე, რომ თითქოს მოსკოვი რევანშს აპირებს ჯერ ჩეჩენებზე, შემდეგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. არა, პუტინი ვანტიფორისტია, რომელიც ომის წყალობით მოვიდა ხელისუფლებაში, შესაბამისად, რუსი ნაციონალისტები იმედოვნებენ, რომ სწორედ პუტინი აიღებს რევანშს რუსეთის უპირველეს მტერზე — დასავლეთსა და ნატოზე! მაგრამ, ფაქტია, რომ პუტინს უკვე ძალიან უჭირს ჩეჩენეთის ომის გამო, რადგანაც დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი უპრეცედენტოდ აქტიურდება, რასაც მონშობს თქვენ მიერ ნახსენები აშშ-ის სენატის დადგენილება და „ჩეჩენეთის მხარდამჭერი კომიტეტის“ შექმნა. ეს იმის დამადასტურებელია, რომ დასავლეთი ვეღარ აიტანს ჩეჩენეთის ხოცვა-ჟლეტას... მოკლედ, პუტინმა ერთის მხრივ თავის საინააღმდეგო განცხადება გააკეთა, მეორეს მხრივ, მისი ინიციატივა იყო ერთგვარი ლაქუცი, ქედის მოხრა დასავლეთის წინაშე. ეს კი, პუტინისთვის დიდად სასიკო ნაბიჯია, მაგრამ, ვფიქრობ, პუტინმა განსაზღვრა, რომ რეგიონი რუსი მას გაუგებს და აპატიებს კიდევ დასავლეთისადმი რევერანსს იმ მიზნის მიღწევის გამო, რასაც რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ჰქვია. პუტინს ამ ეტაპზე სხვა გზა არა აქვს, რადგან ჩეჩენეთში ომის შედეგად დახარჯული უზარმაზარი სახრების კომპენსირება მას მხოლოდ დასავლეთის ფულით შეუძლია, რომლის ნაკადიც ბოლო დროს შეუწყდათ. პუტინმა რომც გაიმარჯვოს არჩევნებში, დასავლეთის ფინანსური ინტეციების გარეშე რუსეთის ეკონომიკა დიქცე-

ვა და პუტინის რეიტინგიც ნულამდე დავა, მით უმეტეს, რომ ჩეჩენეთის ომში რუსეთის გამარჯვებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია!

— და მაინც, დავუშვათ და როგორც პუტინმა ბრძანა, „დასავლური ცივილიზაციის განუყოფელმა ნაწილმა რუსეთმა“, ფორმირება მიახდინა პუტინის ინიციატივისა და შეეცადა „დიდ ინტეგრირებას“ ნატოსთან, მაშინ ისიც გაგანალიზოთ, რეალურია თუ არა პერსპექტივაში რუსეთის განვეერება ნატოში და საერთოდ, სჭირდება ან „ანყობს“ ნატოს თავის რგებში რუსეთის სიღვა?

— ვფიქრობ, ეს არის აბსურდი. ნატოს შექმნის მიზანი იყო კომუნიზმის ექსპანსიის შეკავება ევროპაში. რატომღაც, ჩვენს საზოგადოებას ჰგონია, რომ მესამე მსოფლიო ომი არ ყოფილა, არადა, დიახაც რომ იყო „ცივი ომის“ სახით, რომელშიც გაიმარჯვა ნატომ. მეტიც, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ბევრი ქვეყანა გახდა ნატოს წევრი და წევრობის კანდიდატი. განა ეს შედეგი „ცხელი ომის“ შედეგებზე ნაკლებ მნიშვნელოვანია? კომუნიზმის დაცემის შემდეგ კი, ფაქტია, რომ ნატო უპირისპირდება დღევანდელ რუსეთს და თუკი იგი შევა ნატოში, მაშინ ნატო დაკარგავს თავის ფუნქციას, საუკეთესო შემთხვევაში მოხდება ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის სრული ტრანსფორმირება... მაგრამ რუსეთის მიღება ნატოში გამოირცხულია; სანამ რუსეთში არ მოხდება ცნობიერების შეცვლა, ეკონომიკის ლიბერალ-



იზაცია. ამასთან, წარმოუდგენელია რუსეთის სამხედრო მრეწველობა ისე გარდაქმნას, რომ შესაბამისობაში მოვიდეს ნატოს შეიარაღებულ ძალეთან... უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დასავლეთის და ნატოს უპირველესი მიზანია რუსეთის მოთვენიერება და მისი გადაქცევა ევროპის ერთ-ერთ რიგით სახელმწიფოდ, რათა რუსეთს ჩაუღლას ამბიციები თავისი „ზუსახელმწიფოებრიობისა“ და „განსაკუთრებული მისიის“ თაობაზე.

— საგულისხმოა, რომ პრეზიდენტმა შევარდნაძემ ძალზე დადებითად შეაფასა პუტინის ეს განცხადება, როცა ბრძანა: პუტინისაგან ამ ნაბიჯის გადადგმას მისი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ველოდო და მივესალმები, რომ მან ეს განცხადება უკვე ახლა გააკეთა... ამით ისეთი პატარა ქვეყნის პოზიციებზე განმტკიცდება, როგორიც საქართველოა. დამითამშობო, მართლაც „საინტერესო“ განცხადებაა...

— დიახ, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტმა იქვე დაამატა საკმაოდ მკვეროად — „საქართველო რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევიდეს ნატოშიო!“ პრეზიდენტს არ ეშლება არაფერი და შევარდნაძე ის პოლიტიკოსია, რომელმაც ასეთი განცხადებები უნდა გაკეთეოს! მართლაც „საინტერესოა“, თუ რუსეთი შედის ნატოში, მაშინ რაღა საჭიროა საქართველოს ნატოში განვერების დაქარება? ე.ი. ნატოში შესვლის ფორსირებას ვახდენთ იმიტომ, რომ გვსურს, რაც შეიძლება სწრაფად გავქცეთ რუსეთს! ვფიქრობ, მიუხედავად ჩვენი შინაპოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სისუსტისა, დასავლეთი არ მიაქცევს ამას ყურადღებას და პოლიტიკური ვითარების ესკალაციის გამო საქართველო გაცილებით მალე განვერდება ნატოში, ვიდრე ჩვენ გვგონია! ზემოთ რევანში ვახსენე და მიუხედავად პუტინის განცხადებისა და რუსეთის „მამა აბრაამის ბატკნობისა“, მოსკოვი სწორედ ნატოს წინააღმდეგ რევანშზე ფიქრობს. მისი გეგმა, ჩეჩენეთის შემდეგ სამხრეთ კავკასიის „რიგი“ დადგება! ბუჟინსკის პროგნოზებიც ადასტურებს, რომ რუსეთი ვერ შევლავა სამხრეთ კავკასიას და შეეცდება აქეთაც გადმოინაცვლოს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი გაუბედურებული შინაპოლიტიკური ვითარების წყალობით, რუსეთს კავკასიის ქედის გადამოღვავაც არ დასჭირდება. აქ რა რაოდენობის სამხედრო ძალებიც ჰყავს, ისიც საკმარისია დესტაბილიზაციის გამოწვევისა და მთელი ქვეყნის პარალიზებისთვის. ამიტომ, ჩვენი ხელისუფლებაც და პოლიტიკოსებიც უნდა იყვნენ აშშ-ის სენატის გადანყვევტილებასა და ბუჟინსკის მონოღებების ერთგულნი; ყველა პოლიტიკური და საინფორმაციო საშუალებებით უნდა ცდილობდნენ მხარში ამოუდგნენ, თუნდაც მორალურად, ჩეჩენთს! ე.ი. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი, რათა რუსეთის ამბიციებმა „ფეხი მოიტყოს“ ჩეჩენეთში! ბუჟინსკი ის კა-

ცია, რომელმაც რუსებზე კარგად იცის რუსეთის პრობლემები, მისი გეოპოლიტიკური ვითარება, ხალხის სულიერი განწყობა და ჩვენი უნდა ვეცადოთ, რომ ჩავეროთ „ჩეჩენეთის მხარდამჭერი კომიტეტის“ საქმიანობაში და შევაგნებინოთ რუსეთს — შენ ამის იქით ნაბიჯს ვეღარ გადადგამ, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი მსოფლიო აგიმხედრდება!

— და გვეკულებათ ამის მოქმელი, ან გამეუთებული ჩვენს ხელისუფლებანი? ბოლოს და ბოლოს აშშ-ის სენატის მიერ მიღებულ რეზოლუციაში გამოთვლილი პოზიციის სმამალა გამზიარებული?

— საუბედუროდ, ამ მხრივ არაფერი კეთდება. უარესიც: ბოლო დროს ჩვენი ხელისუფლების განცხადებები ასე ჟღერს: „ის, რაც დამართათ ჩეჩენებს, დაემართებათ აფხაზებს!“ წარმოგიდგენიათ, რა სისულელეა! ერთადერთი, ვინც ამას არ ამბობს, პრეზიდენტია, რომელმაც იცის „რა ენაზე“ ილაპარაკოს. მაგრამ ე.წ. რეფორმატორები, „კაი ბიჭები“, ჩეჩენთის ანალოგიით ეშუქრებიან აფხაზებს. ასეთი ლაპარაკი კი, სიკეთეს არ მოგვიტანს: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვერ შევძლებთ იმის გავეთებას, რასაც რუსები აკეთებენ ჩეჩენეთში და მეორეც, რომც შეგვეძლოს, არ უნდა გაავკეთოთ, თუ მართლა გვინდა აფხაზეთის დაბრუნება. დიახ, ამ განცხადებებში იგმნობოდა ლაქუცი რუსეთის პოლიტიკისადმი, ანუ როგორც კი დაიხანეს, რომ სასწორის პინა რუსებისკენ გადაიხარა, დაიწყეს მისი აშკარა მხარდაჭერა... არადა, ამას ვაკეთებთ მაშინ, როცა დასავლეთში უკვე ხდებოიან, რომ რუსეთში არაფერი შეცვლილა და არც უახლოეს მომავალში შეიცვლება რაიმე. დღეს, სწორედ

„დასავლის ყველა „ანერს“ ფულს, ქართული ჩინოპნიკიბით დაწყებული და არასამთაგრობო რგანიზაციიბით დათოპკებული!“

პუტინია რუსული ნაციონალისტური სულის სარკე, რომელსაც გამუშებებით გვერდით ახლავს ზიუგანოვი!...

— ზემოთ ვთქვი და გავიმეორებ, რომ ჩვენს ბედ-იღბალზე დასავლეთში უფრო ბევრს ფიქრობენ, ვიდრე საკუთრივ საქართველოში-მეთქი, გასაგებია, რომ დასავლეთს თავისი ინტერესები ამოძრავებს კავკასიის მიმართ და იმავე ბუჟინსკიმ და ჰეიგმა კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს კლინტონის ადმინისტრაცია რუსეთისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო, მაგრამ რა შეიძლება ვუნდოდოთ ჩვენი ხელისუფლებისა თუ პოლიტიკური სექტრის დანაშაულებრივ უპასუხისმგებლობას. ისინი ხომ უკვე ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ თითქოს სადღაც უწყინარ რეგიონში და ქვეყანაში ცხოვრობენ და არა „დვთის კასრზე“...

— ეს არის უბედურება! დასავლეთს ვერაფერი ზი ვერ ვუბამთ მხარს, თორემ გაცილებით დიდი ინვესტიციებით შემოვივოდნენ და იქნებ უკვე მტკიცედაც ჩამჯდარიყვნენ აქ. ბუჟინსკი და ჰეიგი შემთხვევით არ აკეთებენ აქცენტს ბაქო-სუფსისა და ბაქო-ჯეიჰანის პროექტებზე, რადგან აქ უკვე დღეს ამერიკის ინტერესები. ჩვენი ხელისუფლება და ისთებლიშმენტი კი ამოვარდნილობენ არიან იმ კონტექსტიდან, რასაც თანამედროვე მსოფლიო-პოლიტიკური პროცესები ჰქვია. თვალშისაცემია ისიც, რომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა ძალიან შორს დგას და ხეირიანი ინფორმაციაც კი არა აქვს, თუ რა ხდება ჩვენს ბაქოშეშო და რა შეიძლება დაგვმართოს რეგიონში მიმდინარე პროცესებმა. დიახ „შეზღუდულები“ არიან ამ მხრივ, სამყაროს პოლიტუბრი სედვის უწარა არა აქვთ და არც თავს ინსულებენ პროცესებში გარკვევითის. სამაგიეროდ პირადი კუთილდღეობის საქმეებში გაერკვნენ შესანიშნავად. შედეგად, ძალიან ცუდ დღეში ვარდება ქვეყანა, რომლის მართვაც მათ ხალხმა ანდო... თუმცა, საკითხავია როგორ ანდეს, თუ არ ანდეს... ეს სუბიექტები ვერ ხვდებიან, რომ კუთილდღეობა, სასახლეები და ფული თავზე დეკცევათ, თუ ქვეყანა არ იქნა ძლიერი. სამწუხაროდ, მათი ქმედება ტიპური ქართული მენტალიტეტის პირდაპირი შედეგია და იმისიც, რომ ჩვენ არ გაგვანია სახელმწიფოებრივი ცნობიერება...

— ანუ, იმის თქმა გსურთ რომ, ვერაფრობით, კვლავ „საძირარზე მიშვებული ნახირი ვართ“, როცა ყველა იმდენს და იმას „სძოვს“, რაზეც ხელი მიუწვდება... და ამ პროცესს ხელისუფლება „არეგულირებს“?

— მე ასე ვიტყვი: სამართცნობიერება ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში არის უკიდურესად დაბალ დონეზე და ხელისუფლება არაფერს აკეთებს მის ასამაღლებლად. ყველა ქართველი ცდილობს კანონის გვერდის ავლით საქმის კეთებას, რადგან კანონის უპატივემლობა ჩვენს მენტალობაშია. ამას აქვს ისტორიული მიზეზები, რადგან მცირე გამოწვალისის გარდა, საქართველო მუდამ ვიღაცის ხელში იყო, შესაბამისად, გამოუმუშავდა ცნობიერება: „მთავარია გადავრჩე, ჩემი დროც მოვა... ამიტომ არ დავემორჩილები კანონს...“ ეს

ცნობიერება უკიდურესად გაამაფერა კომუნისტურმა პერიოდმა. შემდეგ გამოვიარეთ ეროვნული მთავრობის პერიოდი, სადაც გამორწდა ჩვენი უსუსურობა და ცივი წყალიც გადაგვეცის... მოვიდა შევარდნაძის მთავრობა და მაინც არ დადგა „ჩვენი დრო“... შემდეგ კი, მოვიდა დემოკრატიული კანონები, მაგრამ რატომღაც კვლავ ისე აღიქვა ქართულმა მენტალობამ, რომ ეს არ არის ჩვენი კანონები. შედეგად, ეს კანონებიც მოირგეს ისე, რომ თუ ადრე რუსეთს აწერდნენ ფულს, დღეს დასავლეთს ვაწერთ. არადა, დასავლეთიც უკვე ხედავს, რომ ყველა აწერს ფულს, ქართველი ჩინოვნიკიდან დანყეუბლი და, ვიცი ეწყივებათ, მაგრამ მაინც ვიტყვი, არასამთავრობო ორგანიზაციებით დამთავრებული. ესენიც ხომ ქართველები არიან... ხელისუფლების ინტერესებში კი, ნამდვილად არ არის კანონის უზენაესობა. ასეთ შემთხვევაში შესუსტდება მისი ძალაუფლება, რადგან მიანწიათ, რომ თუ გარშემო კორუმპირებულ ჩინოვნიკთა არმია არ გყავს და არ მართავ მას, ვერ შეინარჩუნებ ძალაუფლებას. შედეგად, სახზე გვაქვს გაუბედურებული არშემდგარი სახელმწიფო...

— და ამ არშემდგარ სახელმწიფოში მონშენი ვხდებით მორგი ფარსისა. არ ვიცი კიდევ რა ვუნდოდო ამ ე.წ. საპრეზიდენტო წინასაარჩევნო კამპანიას, როცა სახზე გვაქვს აშკარა გარიგება სახელისუფლებო კლანებს შორის, შედეგად კი, საზოგადოებრივ სთვის თვალში ნაცრის შეყრა. მას სურს ძალაუფლების შენარჩუნება აჭარაში და შესანიშნავად გრძნობს თავს სარფიდან ჩოლქქამდე. რომც დაუჩოქო და აირჩიო კიდევ, არ არსებობს მისი მოსვლა პრეზიდენტის პოსტზე... აქ აშკარა გარიგებასთან გვაქვს საქმე და ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, თუ რატომ დათანხმა პატიაშვილი კანდიდატობაზე! დარწმუნებული ვარ, რომ პატიაშვილის წამოყენება არის ასლან აბაშიძის მიერ კარგად მოფიქრებული ფანდი. მისი არსი კი მდგომარეობს იმაში, რომ აბაშიძე ამთავითვე იმაგრებს საფუძველს, რათა შევარდნაძის მომავალი ნ წლიანი პრეზიდენტობის პერიოდში მშვიდად იცხოვროს, სამაგიეროდ, შევარდნაძეს სთავაზობს ღირსეულ მეტოქე, რათა არჩევნები საქართველოში არ დაემსგავსოს თურქმენეთში თურქმანბაშის „არჩევას“ პრეზიდენტად. ბოლოს და ბოლოს ყველა იტყვის, რომ ერთი სერიოზული კანდიდატი-მეტოქე მაინც ჰყავდა შევარდნაძეს, მით უმეტეს, რომ პატიაშვილს ბევრი მომხრე ჰყავს. ასე რომ, ეს „სერიოზული“ კანდიდატი, პატიაშვილი შევარდნაძე-აბაშიძის გარიგების წყალობით ხდება „განტყვევის ვაიცი...“ სამწუხაროდ, ჩემი პროგნოზით შევარდნაძის მომავალი პრეზიდენტობის ვადა საქართველოსთვის იქნება სტაგნაციის პერიოდი.

— და ამ „განტყვევის ვაიად“ შეიძლება მოვიაროთ „სახალხო პარტიაც“?

— დააკვირდით, როგორი ჭკვიანური სვლა გააკეთა აბაშიძემ. იგი ნამდვილი ექსპერტია ამ „თამაშში“. თავისი ბლოკის ნაწილი პატიაშვილს გადააბარა, ნაწილი თვითონ დაიტოვა და შექმნა შთაბეჭდილება, რომ მთელი ბლოკი კი არ უჭერს მხარს პატიაშვილს, არამედ მხოლოდ ნაწილი და ბლოკის ამ ორ ნაწილს შორის რაღაც „დაპირისპირება“ კი არის. ეს სვლა იმისთვის დასჭირდა, რომ თუ მთელ ბლოკს გვერდით დაიყენებდა და პატიაშვილის გარეშე, მარტო შეებოდა შევარდნაძეს, შესანიშნავად იცოდა რომ დამარცხების შემდეგ ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა და პრეზიდენტიც ყველაფერს გააკეთებდა მასზე ზეწოლისა და პოლიტიკური განადგურებისთვის... ახლა, გარიგება მიღწეულია და აბაშიძეც მშვიდად თამაშობს თავის თამაშს. აი, მამუკა გიორგაძეს კი, დარწმუნებული პირანდეოდეთ, პოსტშევარდნაძისეულ პერიოდში, ძალიან ცუდად გაუხსენებენ პატიაშვილის გვერდით დღეს ყოფნას. ეს მან იცის, მაგრამ იმდენად დიდია მისი სიძულვილი პრეზიდენტისადმი, რომ „სახალხოს“ ლიდერი ვეღარ ითმენს... თანაც, რა ქნას, აღარა აქვს საქმე...

— ზემოთ ბრძანეთ, მომავალ ხუთწლიან პერიოდში საქართველოს სტაგნაცია ელისო. იმიტომ ხომ არა, რომ არჩევნების შემდეგ ეს ორი კორუმპირებული სახელისუფლებო ძალა და მათ უკან მდგომი კლანები კვლავ გააგრძელებენ ქვეყნის გამოსწრას?

— ერთ ფილოსოფიურ ტერმინს მოვიშველიებ და ვიტყვი: იმის გამო, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს არა აქვთ იდეალიზმი, ქვეყანას ვერ ააშენებენ. რეალობა გვარწახობს, რომ როცა ყველა ცდილობს ქვეყნის გამოსწრას, თუ პატრიოტი ხარ და პრეტენზია გაქვს ქვეყნის მართვარეს, რაღაც გარღვევა უნდა გააკეთო. საამისოდ კი, საჭიროა პოლიტიკური ნება, იდეალიზმი! ვფიქრობ, საქართველოში ვერ გაამართლა საპრეზიდენტო ინსტიტუტმა, მით უმეტეს, ვერ გაამართლეს პოსტშევარდნაძისეულ პერიოდში. ამიტომ, უნდა დამეჭვადნეს გაუნდური მასუხისმგებლობის, მინისტრთა კაბინეტის პრინციპები, რაც გააკეთეს ბულგარეთში და ქვეყანაც წინ წავიდა. ჩვენ კი, მუდამ ერთ ავტორიტეტზე გამოიბა, შორს ვერ შევადგენთ.

— გამაღობთ.

ზურაბ მექედლიშვილი



## დღეს დიდი მარხვა იწყება

მარხვა ჯერ კიდევ სამოთხეში არ-სებობდა, როდესაც უფალმა ადამს უჩვენა ხე სიცოცხლისა და ხე სიკვ-დილისა.

მართლმადიდებლურ სამყაროში მარხვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გაათავისუფლოს ადამიანი იმ პირველყოფილი ცოდვის ტრაგიკული შეცდომებისაგან, რაც სულის სხეულის-სადმი მორჩილებაში გამოიხატა. ამის საფუძველს სინანული იძლევა. მარხვა კი სინანულის ერთ-ერთი პირობაა.

მარხვა წინ უძღვის დიდ დღესას-ნაულებს, ხოლო რაც შეეხება ოთხ-შაბათისა და პარასკევის მარხვას, იგი დაკავშირებულია იუდა მოციქულის მიერ მაცხოვრის 30 ვერცხლზე გაცე-მისა და ქრისტეს ჯვარცმის დღესთან.

დიდი მარხვა აღდგომის დღესას-ნაულს ეძღვნება და მიტევების კვირ-ით იწყება. ამ დღეს ყოველი ქრის-ტიანი ერთმანეთს ცოდვების შენ-დობას სთხოვს.

სხეულებრივი მარხვა სულიერ მარხვასთან უნდა იყოს შერწყმული. ცნობილია, რომ ცოცხალ არსებებს შორის მშვიდი ყველაზე დიდხანს, დაახლოებით ასორმოცდაათ დღეს მორიელი ძლებს, მაგრამ ეს მისი შხ-ამის შემცირებაზე არ მოქმედებს. პირიქით, შიმშილობის შემდეგ, გაზაფხულის დამდეგს მორიელის შხ-ამი განსაკუთრებით მომწამლავი ხდე-ბა. მორწმუნე ადამიანის მარხვა, სულიერ მარხვასთან ერთად უნდა ხდე-ბოდეს, ამის გარეშე ადამიანი ღვთის მადლის გარეშე დარჩება: მარხვას თან უნდა ახლდეს მონაყოლება და ღარიბ-თა დახმარება. ეკლესიის სწავლებით, მორწმუნე ადამიანი უნდა მოერიდოს სანახაობებს, ფუჭ, კანდიერ საუბარს. მარხვა შეფარდებული უნდა იყოს ორ-განიზმის სიძლიერესთან. იგი მოძ-ღვრის კურთხევით უმსუბუქდება: ორსულებს, ბავშვებს, ავადმყოფებს და უძლურებაში მყოფ მოხუცებს და სხვ. დიდი მარხვა 13 მარტიდან 30 აპრი-ლამდე გაგრძელდება. ეს მარხვა თევზ-ით ხსნილი არ არის. მარხვის პირვე-ლი და ბოლო კვირა მკაცრი მარხვაა. (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, მორწმუნენი ზეთიანი საჭმელებისა-განაც იკავებენ თავს).

ანა ჩხეიძე

მასწავლებელმა პატარა თბილისური ეზო ფიქრის გორაზე, მოზ-რდელი ოთახისოდენა, მოკირ-წყლული, რასაკვირველია, წყლის ონ-კანით ცენტრში და ათამდე მოზინ-ადრით გარშემო. ამ ციკცნა ოთხკუთ-ხედში, რომელიც დედამიწის ზურგ-ზე რაღაც გარკვეულ ფართს შემო-საზღვრავდა, ძირითადად, ოთახები ამ ეზოს პაერიტა და სინათლით იკვე-ბებოდნენ.

ამ ეზოში, მეორე სართულზე, ჩემს მეგობარს გოგი ვანაძეს ერთი ოთახი ჰქონდა მამიდის დანატოვარი. ძველ-ბური, საკმაოდ შელახული ავეჯითა და უზარმაზარი „ბეკერის“ ფირმის იატაკზე დასადგმელი საათით. ეს საათი ხავერდოვანი ბარიტონით გარკვეულ პერიოდში (ზოგჯერ უდროოდ დროსაც) გვამცნობდა და გვახსენებდა, რომ ჩვენი ახალგაზრ-დული ცხოვრების კიდევ ერთმა მონაკვეთმა ჩაიარა.

ხშირად ვიკრიბოდით გოგის მე-გობრები, გოგო-ბიჭები იმ ოთახში. რაღაც კლუბის მაგვარიც დაგვარსეთ „ვაჩას კლუბის“ სახელით და ცეცხ-ვორობდით ჩვეულებრივი ახალგაზრ-დული ცხოვრებით: დისკუსიებით, კა-მათით, ოხუნჯობით, სიცლით, სიყ-ვარულითა და განშორებით.

ერთი ღირსშესანიშნაობა გამო-არჩევდა ჩვენს კლუბს ანალოგიური კლუბებისგან — პირველი საბჭოური მაგნიტოფონი „დენერი“, კარგა მოზ-რდელი ყუთი, ციკლოპივით ერთი მოციმციმე მწვანე თვალით შუაში. ეს ყუთი იყო ჩვენი სიამაყე, ანალოგი-ით რომ იზიდავდა თბილისელ გო-გონებს. ამ მაგნიტოფონთან ერთი ის-ტორიაა დაკავშირებული. ეზოში პირველ სართულზე აკორდეონისტი ცხოვრობდა, სერგო. ქორწილებსა და ლხინის სუფრებზე უკრავდა. საღამოს, როცა დაკავებული არ იყო სამუშაო-თი, გამოიტანდა თავის პერლამუტრი-თი მბზინავ ინსტრუმენტს ეზოში, დაჯდებოდა ტაბურეტზე და იწყებდა დაკვრას, მეზობლებს გვართობდა. ზეპირად ვიცოდით სერგოს რეპერ-ტუარი — ქალაქური სიძლეურები და ცეკვები.

ერთ დღესაც, როცა სერგო დაკვრით იყო გართული, ქვევით ბანრით მიკროფონი ჩაუფუჭეთ და მთელი რეპერტუარი მაგნიტოფონზე ჩაევიწერეთ. სერგო მ დაკვრა და დამთავრა, აკორდეონი დაკვცა და

ოთახში შესასვლელად ემზადებოდა. ამ დროს ჩავრთეთ მთელ ხმაზე ჩვენი საოცრება. გაიგო მთელი ეზო სერ-გოს ჰანგებით. საწყალი სერგო დაიბ-ნა, ადგილზე გაშეშდა, ვერ გარ-კვეულიყო რა ხდებოდა, რომელმა



გენიოსმა შეისწავლა ასე ზედმიწევნით მისი განუყოფელი პასაჟები, რომ-ლებიც ყველა თბილისელ აკორდე-ონისტში გამოარჩევდა. დგას საწყა-ლი სერგო ქანდაკებასავით შუა ეზო-ში, დაკვილი აკორდეონით და ტაბუ-რეტით ხელში, მეორე სართულიდან კი იღვრება: „ფანჯარაში მტრედია, ნეტავ ვისი ბედი“, „ყვავილების ქვეყ-ანა“, შუალედური თუ ავალბრული შალახობები.

შეგვეცოდა სერგო, მაღლა ავიყე-ანეთ, ვაჩვენეთ ეს საოცარი ყუთი, თან მისი პრინციპიც აუხსენით. ძლივს დანყნარდა, კანკალმაც გაუარა. „მეც არ გავგიჟდი, კაცო, ეს ვინ ისწავლა ჩემი პესნები-მეთქი, ვილადა საპერნი-კია“. ამ ფრაზას, მერეც ხშირად იმე-ორებდა ჩვენთან შეხვედრისას.

ორმოცდაათიანი წლები იდგა. სხეერვას მკაცრი კანონები ცოტა შერ-ბილდა, მართალია, გადასახლებიდან ბრუნდებოდნენ პოლიტიკური მუხ-ლებით რეპრესირებული ბიჭები, მა-გრამ ის შერბილებული კანონებიც ჯერ კიდევ საკმაოდ სუსხიანად მო-ქმედებდა თავისი დამსმენი აპარატი. კაგებც რის კაგებე იქნებოდა, არ გაე-გო იმ პატარა ეზოს პატარა ოთახში ახალგაზრდები რომ იკრიბებოდნენ, რა აზრები უტრიალებდათ თავში, რაზე მსჯელობდნენ და რაზე საფრთხ-ეს ხომ არ უქმნიდნენ იმ უზარმაზარ ქვეყანას, „დიადი სამშობლო“ რომ ერ-ქვა. ეს „სამშობლო“ მოიცავდა რუსე-

თის თვალწინდენელ ველებს, ყაზახე-თის, ბუზიატიისა თუ ხანტი-მანსას მხარეებს, მონღოლეთის ტრამპლებსაც — ბზარი არ უნდა გასჩენოდა „სამ-შობლოს“.

ამის შედეგი იყო, რაც ერთ დღეს ჩემმა მეგობარმა გოგონამ, საკმაოდ შემინებულმა, საიდუმლოდ გამანდო. ინსტიტუტში, დირექტორის კაბინეტ-ში დაუბარებიათ, ვილადა უცნობიც დახვედრია, რომელიც უშიშროების თანამშრომლად გაეცნო. ზეპირად ვიცით იმ ოთახში ვინც იკრიბები-თო, ისიც ვიცით, ვინ ვისთან მეგო-ბრობსო, უთქვამს. აინტერესებდა, რამე პოლიტიკური ქსელი ხომ არ იხლართე-ბოდა „დიადი სამშობლოს“ წინააღმ-დეგ. ვილადა ჭეჭყიან ხელებს აფა-თურებდა ჩვენს ცხოვრებაში. დიდხ-

ანს ვიმტვრით თავი, ვინ უნდა ყო-ფილიყო ჩვენი „ჩამშვები“. ყველაფერი მოულოდნელად გაიკვია, როცა ერთ მზიან დღეს თვალის მოკვარი კაგებეს შენობიდან გამოშავალ ლამაზ, ცის-ფერთვალეა გოგონას, რომელიც ხშირად შემოირბენდა ხოლმე ჩვენ-თან კლუბში. იმ გოგონას ეტყობა სხვა ობიექტებიც ებარა, რის გამოც ჩვენ-დამი ყოველდღიურ „მზრუნველობას“ ვერ იჩენდა.

საკმაო დრო გავიდა იმ წლებიდან. დაიწყო არეული, ომისა და ნგრევის, ოთხმოცდაათიანი წლები. რუსთავე-ლის პროსპექტზე მოვხვდი იმ დღეს, კაგებეს შენობა რომ იწვოდა. ცეცხ-ლსა და გახურებულ ჰაერს ცაში აპქონ-და, შემდეგ კი შავ ფანტელეებად გვაყ-რიდა თავზე ქალაქის ფერფლს. იწვოდა ის უზარმაზარი ინფორმა-ცია, რომელიც იმ შენობაში ათწ-ლეულების მანძილზე იყრიდა თავს ხე-ლნანერი თუ ნაბეჭდი ფურცლების სახით და იქ იღვეებოდა. ზოგი ნახ-ევრად დამწვარი ფურცლებიც ცვიო-და ციდან, ცნობისმოყვარეები იმ ფურცლებს კრეფდნენ და იქვე ინტერ-ესით კითხულობდნენ. არ არის გამორ-იცხული, რომ იმ ნაშენებებში ჩვენი ცისფერთვალეა სტუმრის ნამოლ-ვანარც ერიცა.

ის ეზო ფიქრის გორაზე, თბილი-სის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ეზო იყო, ისეთი — ყველამ, ყველამ, ყვე-ლაფერი რომ იცის. ვის უჭირს, ვის

უჭირს, ვის რა სადელი აქვს, ვის მიენვა კატლეტი ტაფაზე, ანდა ვის გადმოუვიდა ლობიო ქოთნიდან. მე-ზობლები ერთმანეთთან კარგად იყვნენ, სადაც, თბილისურად. ჯამით გემრიელ სადილსაც უგზავნიდნენ ერთმანეთს, ზოგჯერ მწილსაც. ხან-დახან ჩხუბიც იმართებოდა, მძაფრი ვნებებით დახუნძლული. ამ დროს მე-ზობლები გარეთ გამოუფინებოდით და ზოგი პარტერიდან, ზოგიც ბენე-არის ლოჟიდან თვალყურს ვადევნებ-დით დრამატული სპექტაკლის განვი-თარებას. ჩხუბი, როგორც ინყებოდა მოულოდნელად, ასევე უცბად მთავ-რდებოდა. ჩვენ კი მაყურებლები ჩვენ-ჩვენს ოთახებს ვუბრუნდებოდით, რა-საკვირველია, გუცდილის ანალიზი-თა და შეფასებით. ჩვეულებრივი ეზო კი იყო, მაგრამ ახლომასლო ეზო-ბიდან მაინც გამოირჩეოდა. ამის მიზეზი ერთი ლამაზი გოგო იყო. ლამაზი კი არა ულამაზესი, იმ ჩახ-უთულ ეზოს თეთრი ყვავილივით რომ ანათებდა. ჩვენი ბიჭები, მეტ-ნაკლე-ბად ყველა, იმ გოგოზე ვიყავით შეყ-ვარებულები და იმის გამოჩენას აი-ვანზე მოუთმენლად ველოდებოდით. ამ დროს სერგოს აკორდეონიც სხ-ვანაირად ჟღერდა. დედა და ბებო ზრდიდნენ, საკმაოდ მკაცრად, ჩვენ-კენ არც ახედებდნენ, თავაშვებულ ბიჭებად გვთვლიდნენ.

ის ეზო დიდი ხანია აღარ არსე-ბობს. ის ადგილი უზარმაზარი, უგე-მოვნო კორპუსებით ჩაიხერგა, რამაც იერსახე და რაც მთავარია, სული დაუკარგა ფიქრის გორას. თვალთხედ-ვიდან გაქრა ის ლამაზი ქართული გოგონაც. ალბათ ახლა თვითონ არის დედაც და ბებია. ვიოლტა ერქვა. ვფიქრობ ეს იყო ერთადერთი, რაც იმ ეზოს იტალიურ ეზოებთან აიგივებ-და.

P.S. ფიქრის გორაზე, სკვერში რამ-დენიმე წელია დაიდგა დასახიჩრებუ-ლი ქალის სკულპტურა, რომელსაც ვერც ერთი ვერული ვერ მიგვიღა. გარს უვლიან, თავს არიდებენ. ვერ გარკვეუ-ლან რისი მსხვერპლია, ავტოავარი-ისა თუ ვინმე უსულგულო ქირურ-გისა.

ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა იმ ადგილას ვიოლტასა და აკორდე-ონისტ სერგოს სკულპტურა დაედგათ, უფრო დაამშვენებდა.

ვაჟა ნადირაძე

# გელეკოპანია „მეცხრა არხი“

## ახალი ხედა ახალ სამყაროში

✓ ხაუხეთხო გამოსახულება  
✓ ყოველდღიური ხაინდორმაგიო პროგრამები: „დილა“, „ხალამოს 6 ხაათმე“, „გხრის ნახეარმე“ და „მუალამიხას“: ოპერაგიული ინდორმაგიო ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის შეხახებ დედაქალაქში, ხაქართველოში, მხოდლიოში:

✓ „მოძრავი ხერიქონი“ - 98-86-33  
✓ ხარეულამო ყამპანიების დახეგმარება  
✓ რეულამის განთავახება როგორც „მეცხრა არხის“, ისე სხვა ნებისმიერი გელეკოპანიის ეთერში

✓ ხარეულამო ულიპების დამმადება უახლესი ტექნიკის გამოყენებით

**გასნოზიდან თანამოპროლოპამდე**

E-mail: givtstud@geo.net.ge

**გელ/ფაქსი: 231021**



ერიოდე კვირის წინ „კვირის პალიზაში“ მწვავედ დასვა საკითხი, უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების ცხინვალის რეგიონში განბაჟებასთან დაკავშირებით: არ სრულდებოდა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, ზარალდებოდა ჩვენი, ისედაც დაგალახავებული ბიუჯეტი; ამის პარალელურად კი, ამ განბაჟებების ხარჯზე ხეირობდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტი; საიდანაც ცენტრალურ ბიუჯეტში, თუნდაც ფორმალურად, რაიმეს გამოფორიხება, რა თქმა უნდა, ფიქრადაც არავის მოსვლია.

მოკლედ შევასენებთ მკითხველს, რომ შემოყვანილი ავტომანქანების განბაჟებასთან დაკავშირებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბაჟო ტარიფის განაკვეთი, საქართველოს საბაჟო ტარიფის განაკვეთზე, დაახლოებით 250 დოლარით ნაკლები იყო. რადგან არანაირი კონტროლი და შეზღუდვები ცხინვალის რეგიონში განბაჟებულ ავტომანქანებზე არ არსებობდა, მყიდველიც ამით სარგებლობდა და ფულის დაზოგვის მიზნით ამ რეგიონში განბაჟებდა ავტომანქანებს.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონისპექციაში გაფორმებისა და არარსებული სახელმწიფოს სანომრე ნიშნებით ავტომანქანების ექსპლუატაციის ალურცხაობის გამო, შეუძლებელი ხდება მათთან დაკავშირებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, ავტომანქანების გატაცების, ჟურდობის და სხვა დანაშაულებრივ ხელყოფასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებების გატარება“. ამ შესავალს მოჰყვება უშუალოდ ბრძანებულება, რომელიც საკმაოდ მარტივი მითითებებით აღნიშნული პრობლემების თითქმის სრული კონტროლის საშუალებას იძლევა და, ფაქტობრივად, ცხინვალის რეგიონში ავტომანქანის განბაჟებას (ნაკლები გადასახადის ცდუნებით) აზრს უკარგავს. აი, როგორია ეს მარტივი მითითებები:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო და რაიონულმა ორგანოებმა დროებით აღრიცხონ 72 საათზე მეტი ხნით მათ სამოქმედო ტერიტორიაზე შემოყვანილი ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სანომრე ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალებები, რომ-

ტურობას ბიუჯეტის გაზრდის თვალსაზრისით... კრიტიკაზე და ქილიკზე იოლი არაფერია, მით უმეტეს, რომ ამ ხნის მანძილზე ჟურნალისტებს საამისოდ საკმაო საბაზი მოგვცა ჩვენი ხელისუფლების უნიათობამ და ჩინოვიკური სისტემის სრულმა კორუმპირებულობამ.

ძალიან არ გაგვიკვირდებათ ალბათ, თუ ეს ბრძანება ქალაქებში დარჩება მსგავსად ბევრი სხვა ბრძანებისა და დადგენილებისა. მაგრამ მაინც სჯობს, ჯერჯერობით, დროს მივანდოთ შემოსავლების ენერგიული მინისტრის მიერ ამ საკითხის მოსაგვარებლად გადადგმული თუნდაც პატარა, მაგრამ მაინც კონკრეტული ნაბიჯის შედეგადად ნარმოჩენა, რომელიც შსს მინისტრთან ერთად გასწავრავდება.

აქ ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება: ამ ღონისძიების შედეგად (მიუხედავად იმისა, საქართველოს ბიუჯეტში წავა ამ გზით ამოღებული თანხები, თუ ჩვენი ხალხის გამოშვებულობის კორუმპირებულ სისტემასთან შეწყვეტი, ახალი ბრძანებულების გვერდის ავლით, მავან ჩინოვიკთა ჯიბეებში დაიღვეება, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა კარგავს მუქ შემოსავალს, რაც, თავისთავად, მის ხელმძღვანელობას არ ალაფრთოვანებს. მაგრამ

როგორადაც არ უნდა გაუნდლდეთ სისხრული ამ რეგიონის ხელმძღვანელობას, ბატონი მაჭავარიანი ამ შემთხვევაში საკმაოდ მომგებიან პოზიციაშია, რადგან ამ სპეციფიკურ საქონელზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თბილისიდან გაუსვლელებად შეიძლება საბაჟო კონტროლის განხორციელება, განსაკუთრებით კი კონტრაბანდის ნიაღვრისა (განსაკუთრებით ბენზინი), რომელიც ამ რეგიონიდან მოედინება. ახლახან ჩიბირიოვიან მაჭავარიანის ვიზიტის მთავარი მიზანი იყო, როგორ განიკითხა საბაჟოს გახსნაზე დაუთმობიან ოსური მხარე. მაგრამ ეს საკითხი აღნიშნული ერთობლივი ბრძანების განხორციელებასავით მარტივი არ ჩანს. ოსური მხარე ძალიან ძნელად თუ გამოეთხოვება იმ სასიცოცხლო არტერიას, რომელზეც წურბელასავითაა მიმჯდარი და მისი უზონიციების დასაცავად სხვადასხვა ბერკეტის ამოქმედებაც ძალუძს. თვით ეთნოკონფლიქტის პროვოცირებისა და რეგიონში დესტაბილიზაციის შექმნის ჩათვლითაც კი. ამიტომ, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ საინტერესო ტრადიციის დამკვიდრების საშუალება მოგვეცეს და ამ პუბლიკაციიდან ორი კვირის შემდეგ, მსგავსად წინა წერილისა, როგორ გვირბანთ ქართული საბაჟოს გახსნასთან დაკავშირებული ბრძანება ცხინვალში, თუნდაც ბატონ თარგამაძის მაგივრად ამჯერად ტანდემში ბატონი ჩიბირიოვი გამოვიდეს.

## ქაითველი ბიზნესმენები, უფითხილდით „ძაღიან შავებს!“ საქართველოს ელჩი ინგლისიდან გვაფრთხილებს

არ ვიცი, დღეს რამდენად ხერხდება სოციალურად დაუცველ ფენათა წარმომადგენლების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა.

უფულო კაცი რას უნდა გაუფრთხილდეს, ხოლო ვისაც ორიოდ გროში გააჩნია, ის კი ნამდვილად გაფაციცებული უნდა იყოს და არ წამოეგოს მავანთა ანგეზს...

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ინგლისში, **თემურ მამაცაშვილი** ამ დღეებში, თბილისში ყოფნისას, საკმაოდ დამაბული დღეები ჰქონდა, ამიტომ იმ ვრცელი ინტერვიუს ნაცვლად, რომელსაც გვეგზავნის, მხოლოდ ეს აუცილებელი ინფორმაცია მომანოდა და მხოლოდ, უფუქვლად გამოქვეყნებინა:

მსოფლიოს დღეს შავი ჭირივით მოსდებია „ნიგერიის მავია“.

ამ ქვეყანაში დიქტატურის დამსობის შემდეგ სრული ანარქია სუფევს. და როგორც მისალიდნელი იყო, თავი იჩინა ყველანაირმა უზნეობამ და აფერამ... აფერა რბილად ნათქვამი სიტყვაა, რადგან საქმე ეხება მილიონობით და მილიარდობით დოლარის გაცოცხლებას.

მაფიოზებს სასაზოგუდო ღონდონი აურჩევიათ. ღონდონი, მსოფლიოს ფინანსური ცენტრი, დღეს მათი ბინაში საქმეების ოპერირების ცენტრი გამხდარა. ისინი მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ასიათასობით წერილს უგზავნიან ცნობილ ბანკირებსა და ბიზნესმენებს, ინტერნეტშიც ასიათასობით ინფორმაციით შეადიენ — ისინი უცხოელ პარტნიორებს სთავაზობენ ძალიან მარტივ გზით მილიონობით დოლარის შოვნას, ანუ მაფიოზებს თავიანთი ვერსიით, ანგარიშზე აქვთ ასობით მილიონი დოლარი და უნდა მოიხსნას ბანკიდან თანხის გამოტანის საშუალება. ანუ პარტნიორმა უნდა შექმნას დოკუმენტი იმის შესახებ, რომ შესრულებული აქვს რაიმე სამუშაო ნიგერიაში (რთულ სამუშაოზეა საუბარი) ან რომელიმე სახელმწიფოდან გადმოგზავნილი აქვს დიდი რაოდენობით პროდუქცია და ვითომ ამ სამუშაოს ან პროდუქციის საფასური — ორასი-სამასი მილიონი დოლარი გადმოსარიცხია მის ანგარიშზე. ფულის გაცოცხლების, ანუ ნაღდ ფულად ქცევის შემდეგ 10% დარჩება პარტნიორს. მოგესვენებათ, დღეს ყალბი საბუთის შექმნა არ ჭირს. ასეთი დოკუმენტით ხელში არაერთი ქართველი ბანკირი გაფრინდა ღონდონში. ორას-სამას მილიონი-

ანი ჩვეიდან 10%-ის — 20-30 მილიონი საშოვნელად.

ჩასულ სტუმარს ნიგერიელები პრესტიჟული მანქანებით აეროპორტში ხვდებიან და პირდაპირ მიჰყავთ „ნიგერიის საელჩოში“, ანუ სახელდახლოდ დაქირავებულ ფემინებულ სახლში, რომელსაც „ნიგერიის საელჩოს“ აზრაც ამშვენებს და ნიგერიის დროშაც არის გადმოფენილი. კომფორტულ დარბაზში საქმიანი საუბრები ყველა ეტიკეტის დაცვით მიმდინარეობს. ფორმდება ხელშეკრულებები ყველა აუცილებელი შტამპით, ხელმოწერითა და ნოტარუსით დამოწმებული; როცა საქმე



მხოლოდ ფულის გამოტანაზე მიდის, ცხადია, ორასი-სამასი მილიონი დოლარის მოლოდინში იმ მიზრულთანაზე საუბარი, რომელიც რაღაც ქვითარში საშემოსავლო გადასახადის სახით ერთ-ერთმა მხარემ უნდა გადაიხადოს, საუბარი უხერხულიცაა. ლაპარაკია 30-50 ათას დოლარზე კლიენტის დაუნახებლად იხდის ამ 30-50 ათას დოლარს და აქ მთავრდება ლამაზი სიზმარი — ბოლოს ხვდება, რომ ყველაფერი ყალბია.

ხდება ისეც, რომ ღონდონში ძალიან შავი ზანგებისგან გადაგდებულ კლიენტებს ურეკავენ „სამართალდამცავი ორგანოებიდან“ ან „კერძო დეტექტივი“, რომელიც სთავაზობს დახმარებას — თითქოსდა ამ ბანდის საქმიანობას ცნობს, შეუძლია მათი მონახვა და გარკვეული გასამრჯელოს ფასად ფულის უკან დაბრუნება. ეს უკვე ინდური ფილმის მეორე სერიია, იმავე ბანდის წევრები მეორედ ყვლევენ დოკუმენტებს.

უნდა ითქვას, რომ ეს ყველაფერი საუკეთესო შემთხვევაა, ანუ უკეთესი ვარიანტია... უარეს შემთხვევაში, თუ კლიენტს ის სავარაუდო 30-50 ათასი დოლარი ხელზე არ აღმოაჩნდება, მიუვლად აიყვანონ, „ნიგერიაში“ ნაიყვანონ და მისი სხეული ცალ-ცალკე ორგანოებად გაყიდონ — ესეც მაფიოზთათვის სარფიანი საქმეა.

ღონდონში ნიგერიელებთან შესახვედრად ჩასულ ქართველი ბანკირების გვარებს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ინგლისში, თემურ მამაცაშვილი არ ასახელებს, ოღონდ აფრთხილებს თანამემამულეებს, იცოდნენ, ვისთან მიდიან „ფულის საკუთებლად“.

დოდო იორდანიშვილი

## ავტომანქანებს ცხინვალის

### რეგიონში პეღარ განაბაჟებენ



მიუხედავად იმისა, რომ საბაჟო კონტროლის განხორციელება ავტომანქანებზე საკმაოდ ადვილი საქმეა (რადგან ავტომანქანა სპეციფიკურ საქონლად ითვლება და მისი მფლობელი ვერ ისარგებლებს მანქანით, თუ სახელმწიფო ნომრებს არ მიიღებს. ნომრების მიღებისთვის კი აუცილებელია წარმოდგენილი იქნეს სათანადო დოკუმენტები, მათ შორის მისი განბაჟების საბუთიც), სათანადო ორგანოების მხრიდან მაინც წაყრუებული იყო ეს საკითხი. რაც, საერთოდ, დამახასიათებელი სენია ჩვენი ჩინოვნიკური სპეცტრისთვის. შედეგად კი (ჩვენი მოკვლევით) მართო თბილისის მანქანების ბაზრობიდან, საქართველოს ბიუჯეტი თვეში დაახლოებით 300.000 დოლარს კარგავდა, ცხინვალის ბიუჯეტი კი შესაბამისად 105.000 დოლარით იკლებოდა.

ამ მწვავე უბოლიკაციიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ ძალაში შევიდა ორი მინისტრის ერთობლივი ბრძანებულება, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხება. მას ხელს აწერენ შსს მინისტრი კახა ბარაკაძე და შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი. ამ ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ „ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოყვანილი ავტომანქანების,

ლებიც ეკუთვნით მხოლოდ ცხინვალის რეგიონში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს.

2. აიკრძალოს ცხინვალის რეგიონიდან შემოყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ნომრიანი აგრეგატების გაფორმება ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ორგანოების მიერ გაცემული ცნობის, ანგარიშების, საბაჟო და სხვა გადასახადების ქვითრებისა და დოკუმენტების საფუძველზე.

3. აიკრძალოს ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სანომრე ნიშნების მქონე ავტოსატრანსპორტის ექსპლუატაცია, გარდა წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

შემდეგ ბრძანება ემუქრება შსს საგზაო პოლიციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც წინამდებარე ბრძანებას დაარღვევენ. მკაცრ დისციპლინარულ ზომებს შსს-დან დათხოვნაც შეიძლება მოჰყვეს.

საბაჟო დეპარტამენტს კი ევალება უზრუნველყოს ცხინვალის რეგიონიდან შემოყვანილი ავტოსატრანსპორტის განბაჟება კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

რაც შეეხება ამ ბრძანებულების რეალურ აღსრულებას და მის ეფექ-

მამუკა გიორგაძე

## საკადრო ცვლილება შეიძლება გაზილაზილიდან დაიწყოს

კიდევ ერთი დაპირისპირება გაჩნდა გასულ კვირას საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სამართალდამცავებს შორის. სამართალდამცავი სტრუქტურებიდან ამჯერად პოლიციაში აიმაღლა ხმა და მისი რისხვის ობიექტად (თუ სუბიექტად) კანონმდებელთა პირში — ქალაქის ადვოკატები — აღმოჩნდნენ. პარლამენტი ამ კონფლიქტს პროკურატურაში მოსალოდნელ ცვლილებებს უკავშირებს. ცალ-ცალკე მომჩივნის უტყუარობის სინდრომი არც ამჯერად გამოირიცხება. არადა, თავიდან ითქვას ყველაფერი კონსტრუქციული თანამშრომლობით დაიწყო: შარშან, 16 ნოემბერს, საკრებულომ და თბილისის პოლიციამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომლის თანახმადაც პოლიციამ აღიარა ე.წ. ქალაქის ადვოკატთა უფლებამოსილება. ამ უკანასკნელის საქმიანობა კი ეჭვმიტანილის უფლებების დაცვა იყო. როგორც ამ პროექტის ავტორები (რეფორმატორები) ამბობენ, ქალაქის ადვოკატთა ჩარევის შედეგად ამ თვე-ნახევარში (პროექტის ამუშავების დღიდან) უკანონო პატიმრობიდან 47 ადამიანი გათავისუფლდა. მაგრამ თვე-ნახევრის შემდეგ ქალაქის ადვოკატები პოლიციის განყოფილებებში აღარ შეუშვეს, თუმცა, უფლება მისცეს, რომ ქუჩაში ან კარებთან მდგარიყვნენ. ქალაქის პოლიციის შეფის პირველი მოადგილის **უშანგი მგელაძის** თქმით, ადვოკატთა არშეშვება ის განაპირობებს, რომ არც ერთი ბრალდებული არ ითხოვს ქალაქის ადვოკატის მფარველობას. ადვოკატებს, თურმე, საკმაო პროფესიული გამოცდილება არ გააჩნიათ. მგელაძის თქმით, ამას ერთვის ისიც, რომ შეატყობინეს, ხელშეკრულების ვადა გავიდა (იგულისხმება ზემოხსენებული მემორანდუმი).

საქმის კონკრეტული არსის გასარკვევად, და აგრეთვე იმის გასარკვევად, რა კავშირი აქვს ქალაქის ადვოკატების უგულბელოებას პროკურატურის ცვლილებებთან, კომპეტენტურ პიროვნებებს გავსაუბრეთ:

**ბადრი ნიპური — ქალაქის ადვოკატი:**

— **პოლიციასთან თქვენი ურთიერთობა ადრეც დაძაბულად მიმდინარეობდა?**

— არა, ადრე უსიამოვნების პრეცედენტები არ გვექონია. 7 მარტს მთანმინდის პოლიციაში მქონდა ცვლა. მისვლისას მომამენინეს ტელეფონრგება, რომელიც მატყობინებდა, რომ დღეიდან განყოფილებაში არაფერი მესაქმებოდა. მოგვიანებით ყველა ადვოკატისაგან იგივე გავიგე. გამოძევება ზოგან უფრო ლოიალურად მოხდა, ზოგან — უხეშად.

— **დაკავებულთან ნორმალური ურთიერთობის საშუალება გექლიოდათ?**

— ამის პრობლემები პრაქტიკულად არ გვექონია, გარდა პოლიციასთან წერილმანი შელაპარაკებისა, რომელიც მშვიდობიანად დასრულდა.

— **თუ თვე-ნახევარი კონფლიქტის გარეშე იმუშავებთ როგორ გგონიათ, ახლა რა უნდა მომხდარიყო?**

— ჩემი აზრით, პოლიცია იმან გაანაწყენა, რომ ჩვენი პროექტის ფარგლები იზრდებოდა. ახალი პროექტი ითვალისწინებდა ადვოკატების შეშვებას ქვეყანაში ფილმებში, სადაც, როგორც გითხარი, მეგრად მეტი უმსგავსოა და უკანონოა ხდება, ვიდრე სამშრთველოში.

— **მაგრამ ამბობენ იმასაც, რომ ქალაქის ადვოკატთა იზოლირებაზე სხვა ადვოკატთა კოლეგიაში იმუშავებ. ისინი უმსგავსოებას გამოთქვამენ, საქმეებს გვართმევენო.**

— თავდაპირველად იყო ასეთი მითქმამოთქმა, მაგრამ პროექტის ფარგლებში ჩვენ დაკავებულთან ურთიერთობა შეგვიძლია მს-

ოლოდ კონკრეტული ადვოკატის აყვანამდე, სულ რამდენიმე საათი. ასეთი განმარტების შემდეგ ჩვენ კოლეგიასთან პრობლემები აღარ გვექონია.

— **სამუშაო პირობები, ოთახი და ა.შ. გქონდათ?**

— ოთახი ზოგან გვექონდა, ზოგან — არა. თუმცა, ძირითადად, ჩვენ საკნებთან ვიდევით და ვმორიგვოდებით.

**ნოდარ ცხიპაშვილი**

— **ქალაქის ადვოკატი**

— როგორც იცით, პოლიციელმა დაკავებულს 12 სთის განმავლობაში უნდა წაუყენოს ბრალდება და შემდეგ აღიძვრება საქმე. პატიმარი სწორედ ამ 12 სთ-ის განმავლობაშია დაუცველი. ხოლო როცა ის დაუცველია, პოლიციელი ცდილობს მისგან საჭირო ინფორმაცია ცემით, მუჭარითა და დაპინებით მიიღოს. ადვოკატის იქ ყოფნა, ბუნებრივია, ხელს უშლის. ფაქტობრივად, ადვოკატთა პროექტმა პოლიციის მუშაობის პარალიზება გამოიწვია. ეს პროექტი კი კიდევ უფრო გაღრმავდებოდა, როცა ქალაქის ადვოკატები ქვეყანაში ყოფილებზე მეტად შევიდოდნენ. სამართველოში მოყვანილი კაცი უკვე აღარაფერს ამბობს უფლებების დასაცავად. მისი უფლებები ქვეყანაში ყოფილებზე მეტად დარღვეულია — რაღაც მეთოდით უნდა დანაშაული (შეიძლება არჩადენილიც) შევე აღიარა. განყოფილებაში თავის მართლებას კი აზრი აღარ აქვს. მეტიც, დაკავებული და პოლიციელიც ერთმანეთის მეგობრებად და ნათესაებად მეცნობია. მე ამ დროს ჩარევის უფლება არ მაქვს. არადა, ვხვდები, რომ მატყუებენ. ჩემი დაკვირვებით, სამართველოში ყოველდღე დაახლოებით 6 ასეთი „ნათესავი“ შემოჰყავთ. „ნათესავიც“ ხმას არ



იღებს — კარგადაა დამუშავებული.

**მიხეილ სააბაშვილი — ფრაქცია სმკ-ის ლიდერი:**

— **როდის დაიწება საკანონმდებლო განხილვა პროკურატურის რეფორმირებაზე?**

— ჩვენ ამის დაწყებას საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვგვარაუდობდით, მაგრამ ყოველივე იმის გამო, რაც ქალაქის ადვოკატებთან დაკავშირებით ხდება და სხვადასხვა მიზეზითაც, პარლამენტი ამის განხილვა დაქარდება.

— **რეფორმის პირველი ეტაპი რა იქნება?**

— პირველი, რასაც კანონის ჩარჩოში მოვაქცევთ, ეს იქნება უფლებამოსილების გამოჯვანა პროკურატურასა და სახელმწიფოს შორის. შემდეგ ვიზრუნებთ იმ კადრების შეცვლაზე, რომლებიც ხელს უშლიან ამ პროცესს, ან უცოდინარობის, ან კორუმპირებულობის გამო. პროკურატურებს საგანგებო გამოცდები ჩატარდება.

— **საკადრო ცვლილებები გენპროკურორსაც შეეხება?**

— არ არის გამორიცხული, რეფორმა სწორედ ბაბილაშვილისაგან დაიწყოს.

— **ახალი ხელმძღვანელობაც სომ არ არის შერჩეული?**

— ამაზე საუბარი ჯერ არ გვექონია.

— **ამბობენ, რომ პროკურატურის ცვლილებებთან დაკავშირებით მოქალაქეების რეფორმატორებში განხეთქილებაა. ჩემთვის ცნობილია კონკრეტულად ის, რომ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის გაა მეფარიშვილის კანონპროექტი დიდ წინააღმდეგობაშია თქვენს შეხედულებებთან.**

— მეფარიშვილის კანონპროექტი მხოლოდ სამუშაო ვერსია იყო. დღეს ეს პრობლემა ჩვენ შორის აღარ არსებობს.

ქეთი ბერეკაშვილი



## რა აზრი აქვს შელოგლოპის გაუმჯობესებას?

საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის გამო, 9 მარტის საპარლამენტო სესიაზე დაწყებულ დავიდარებას, რომელსაც წინ ინტეგრაციული ჯგუფის მუშაობის შედეგად მიღწეული გარკვეული შეთანხმება უძღოდა, მეორე დღესვე დაესვა წერტილი და ინტეგრაციული ჯგუფის ორთვიანი ჯაფა კინალამ წყალში ჩაეყარა.

ბატონმა ყვანამ უმცირესობის ენერგიული დამოკიდებულება საარჩევნო კანონისადმი შემდეგნაირად გამოხატა და განაცხადა: — „თქვენი ამოცანაა, ბოლო მომენტში, კენჭისყრის წინ დასვათ საკითხი, რომლის გამოც მერე იტყვიან — უმრავლესობას არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარება სურსო. ამიტომ ესევე საკითხს: კენჭი ვუყაროთ მხოლოდ ეუთოს რეკომენდაციებს და თავი დავეხებოთ ყველა დანარჩენ შეთანხმებას...“ საბოლოოდ, პარლამენტმა 10 მარტს, მესამე მოსმენით მიიღო ცვლილებები საარჩევნო კანონში. მარკირების საკითხი, რომელიც საკვანძო თემას წარმოადგენდა ბლოკ „აღორძინების“ ადრინკების თვის „უდღესური აღმოჩნდა და მას, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ საკითხის მიმართ უმრავლესობის კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, კანონში გაცოცხლება არ ელირსა. ამასთან



დავაკვირებთ ბატონი გელბახიანი აცხადებს, მარკირების საკითხის არმცხადება და გაყალბების შესაძლებლობის დატოვება კანონში ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის ჩვენს კანდიდატებსო. ყოველივე ამის შემდეგ, ბლოკ „აღორძინების“ პოლიტსაბჭო იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას, რა ფორმით გამოხატოს თავისი პოზიცია ამ არჩევნების მიმართ. როგორც გიორგი თარგამაძე აცხადებს, ეს შეიძლება იყოს პრეზიდენტობის კანდიდატობის დონეზე მონაწილეობა ან სხვა ჩვენი კანდიდატისათვის მხარდაჭერა, ან კიდევ საარჩევნო კანონისადმი უნდობლობის გამოცხადება. ანუ შესაძლებელია „აღორძინების“ მხრიდან კვლავ დღის წესრიგში დადგეს უნდობლობის გამოცხადების საკითხი, რომლის საშუალებითაც იგი შეეცდება, ეჭვქვეშ დააყენოს არჩევნების შედეგის ლეგიტიმურობა. მაგრამ, ვიდრე ბლოკ „აღორძინების“ პოლიტსაბჭო რაიმე კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს, გადაწყვეტილება უკვე მიიღო წინა კვირას შეერებოდა 27-მა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, რომლებიც თავისუფლებისა და დემოკრატიის ეროვნულ ცენტრში არიან გაერთიანებული.

როგორც ბატონმა ბესო ჯუღელმა განაცხადა ჩვენთან საუბარში, ამ შეხვედრაზე უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი — არჩევნების მიმართ უნდობლობის გამოცხადება თუ აქტიური ბოიკოტის გზა. ბესო ჯუღელის ახალშეყვნილმა „ლიბერალურ-ევროპეულმა“ პარტიამ და კიდევ 13-მა პოლიტიკურმა გაერთიანებამ არჩევნებს უნდობლობა გამოუცხადა, ხოლო დანარჩენმა 14-მა პარტიამ აირჩია აქტიური ბოიკოტის გზა, რადგან არ შესრულდა მათ მიერ წამოყენებული პირობები. ეს პირობები მოიცავდა რამდენიმე პუნქტს, რომელიც ბატონმა ბესომ შემდეგი სახით ჩამოვყარე: 1. უნდა მომხდარიყო მოსახლეობის აღწერა, რათა გარკვეულიყო ამომრჩეველთა რაოდენობა. ჟენევის კონვენციის თანახმად, მოსახლეობის აღწერა უნდა ხდებოდეს ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. საქართველოში ბოლო აღწერა 1989 წელს ჩატარდა. 1999 წელს კი, მით უმეტეს, როცა ამისათვის ბუჯეტიც კი იყო თანხა გათვალისწინებული, აღწერა მაინც არ ჩატარებულა — აცხადებს ბატონი ჯუღელი.

მეორე პირობად წამოყენებული იყო პასპორტიზაციის საკითხი. და მესამედ — დემოკრატიული საარჩევნო კანონი.

მიუხედავად მათი ასეთი პოზიციისა, ბატონი ბესო დარწმუნებულია, რომ არჩევნები მაინც ჩატარდება, პრეზიდენტი მაინც შევარდნაძე გახდება, მაგრამ შეიქმნება უხერხული მდგომარეობა. ამ უხერხულობას კი ბატონი ბესო იმაში ხედავს, რომ ამ 27 პოლიტიკური ორგანიზაციის ასეთ დამოკიდებულებას არჩევნების მიმართ, აუცილებლად ექნება საერთაშორისო რეზონანსი. ამას დაემატება შალვა ნათელაშვილის აპელაციის განხილვა სტრასბურგის სასამართლოში, რომლის დაწყება აპრილის პირველ რიცხვებშია მოსალოდნელი (სხვათა შორის, ბესო ჯუღელმა უარყო გავრცელებული ინფორ-

მაცია იმის შესახებ, რომ სტრასბურგის სასამართლოს წარმომადგენელი არ მიუღია ეს საქმე. უფრო მეტიც, მან გაგვიზიარა, რომ შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მინვესტა გამოუგზავნია ბატონი შალვაშვილის, ამ საქმესთან დაკავშირებით გასაუბრების გამო. გარდა ამისა, ფინეთის პარლამენტის პრეზიდენტს (ასე ჰქვია ფინეთში პარლამენტის თავმჯდომარეს) და ავსტრიის პარლამენტსაც განუცხადებია თანხმობა, ამ პროცესში მონაწილეობის მიღებაზე და ეს ყველაფერი საკმაოდ შელახავს ედუარდ შევარდნაძის საერთაშორისო იმიჯს. ამ უხერხულობის თავიდან აცილება კი ძალიან იოლად შეიძლებოდა, რომ შესრულებულიყო ჩვენ მიერ წამოყენებული, საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნები, — აცხადებს ბატონი ბესო.

რაც შეეხება იმას, შეძლებენ თუ არა „თავისუფლებისა და დემოკრატიის ეროვნულ ცენტრში“ გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციები იმდენად სერიოზული გავლენის მოხდენას არჩევნების ლეგიტიმაციის იმიჯზე, რომ მომავალმა პრეზიდენტმა თავი უხერხულად იგრძნოს, ამაზე ბატონი შევარდნაძეს თავისი მოსაზრება აქვს. იგი აცხადებს, რომ იმ პოლიტიკური ორგანიზაციების სახით, რომ-

ლებიც არჩევნებს უნდობლობასა და ბოიკოტს უცხადებს, რაიმე ანგარიშგასაწევ ძალას ვერ ხედავს. ამასთან დაკავშირებით, ბატონი ბესო ჯუღელი შემდეგი კომენტარით იფარგლება: „ისეთი დიდი პოლიტიკოსისთვის, როგორიც ედუარდ შევარდნაძე ბრძანდება, ასეთი განცხადების გაკეთება არ შეიძლება. ასე ხელნაშთიკრები მოისწავს 27 პოლიტიკური ორგანიზაცია, სერიოზულობას მოკლებულია.“ თუმცა, იქვე აღიარებს, რომ არიან აქ ისეთი პოლიტიკური პარტიებიც, რომლებიც შედარებით სუსტები არიან და არც ისე მაღალი რეიტინგი აქვთ ქართულ საზოგადოებაში. მაგრამ აქვე არიან საკმაოდ ძალის მქონე პარტიებიცო. მაგალითად კი, ლიბერალისტები, მწვანეები, ქრისტიან-დემოკრატები, მოწარქისტები, სახალხო ფრონტი და ჭაჭაჭაძის საზოგადოება მოიყვანა.

თუმცა, არჩევნების მიმართ უნდობლობისა და ბოიკოტის გამოცხადებისგან, გარკვეული ეჭვქვეშ მომლოდინე პოლიტიკოსისთვის, მაინც პესიმისტურად უპასუხებს შემდეგ კითხვას:

— როგორ ფიქრობთ, თუ თქვენ მართლაც მიაღწიეთ გარკვეულ რეზონანსს და პოლიტიკური სასწორის ერთ მხიზე ლეგიტიმაციის ეჭვქვეშ დაყენების საკითხი დაიოო და მეორეზე — ბატონი შევარდნაძის საერთაშორისო იმიჯზე, საით გადაიხრება სასწორი?

**ბესო ჯუღელი:** „მოხდება ისევე, როგორც საპარლამენტო არჩევნების დროს მოხდა, დასავლეთი დემოკრატიულ პრინციპებზე მაღლა შე-

ენდა მომხდარიყო მოსახლეობის აღწერა, ხათა გახეველიყო ამომრჩეველთა ჩაოედნობა. ეენევის კონვენციის თანახმად, მოსახლეობის აღწერა უნდა ხდებოდეს ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. საქართველოში ბოლო აღწერა 1989 წელს ჩატარდა. 1999 წელს კი, მით უმეტეს, როცა ამისათვის ბუჯეტიც კი იყო თანხა გათვალისწინებული, აღწერა მაინც არ ჩატარებულა — აცხადებს ბატონი ჯუღელი.

ვარდნაძის პიროვნებას დააყენებს და გარკვეულ საკითხებზე თვალს დაუჭავს“. თავისთავად ჩნდება კითხვა, მაშ რა აზრი აქვს უნდობლობის გამოცხადებას, ან ხომ არ მოხდება პოზიციის შეცვლა და რომელიმე სხვა კანდიდატისთვის მხარდაჭერის საკითხი ხომ არ დადგება დღის წესრიგში?

ამგვარი რამ ბატონმა ბესომ კატეგორიულად უარყო, მან განაცხადა, რომ უნდობლობა პიროვნებაზე ედუარდ შევარდნაძის მიმართ კი არ აქვს, არამედ სახელმწიფო მანქანის მიმართ. თან დასძინა: — „ამ მანქანის შექმნაში დიდი როლი ითამაშა პრეზიდენტის გარემოცვამ, რომელმაც ამით დათურა სასამართლო გუნდი შევარდნაძეს. ისე, რამე რომ გაუჭირდეს ქვეყნის პრეზიდენტს (შევარდნაძეს გულისხმობ), ჩემიარი ხალხი უფრო არ განირავს მას, ვიდრე ისინი, დღეს რომ მისი თანაგუნდელები ჰქვიათ“.

ვერაფერს იტყვი, საკმაოდ ორიგინალურ პოლიტიკურ ჰუმანიზმს ამჟღავნებს ოპოზიციონერი პოლიტიკოსი.

**მამუკა გიორგაძე**

სულ მალე პარლამენტი კიდევ ერთხელ დაუბრუნდება საგადასახადო კოდექსს და მასში ახალი ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვას. ეს იქნება 3 თვის წინ პარლამენტის მიერვე დაშვებული შეცდომის გასწორება, და იგი ბიუჯეტს 30 მილიონ ლარის დაკარგვისაგან იხსნის! „საქართველოს რკინიგზას“ კი უზარმაზარ საგადასახადო შეღავათს გაუუქმებს.

საქმე ის არის, რომ პარლამენტმა 1999 წლის 24 დეკემბერს კენჭი უყარა საგადასახადო კოდექსში ცვლილებას, რომლის ერთ-ერთი მუხლის მიხედვით შპს „საქართველოს რკინიგზა“ 2000 წლის პირველ აპრილამდე მინის გადასახადიდან გათავისუფლდება. რკინიგზაზე ეს შეღავათი დარგის განვითარების ხელშეწყობის მოტივით დანესდა. ამ დღეებში კი გაირკვა, რომ პარლამენტის მიერ დამტკიცებული დოკუმენტში, 2000 წლის ნაცვლად, 2001 წელია დაფიქსირებული, რაც სრულიად ცვლის საქმის ვითარებას. ერთი წლის მანძილზე ეს გადასახადი დაახლოებით 30 მილიონ ლარს შეადგენს, რომელიც, ნესით, უნდა შევიდეს ადგილობრივ ბიუჯეტში. — „ეს შეცდომა გაიპარა, თუ გააპარეს, ნამდვილად არ ვიცი. 30 მილიონი მთლიანად უნდა შევიდეს ადგილობრივ ბიუჯეტში. ამიტომ ეს შეცდომა აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ“ — აცხადებს პარლამენტარი გიორგი ბარამიძე. მისი აზრით, ასევე გასათვალისწინებელია, რომ რკინიგზას, სატრანსპორტო დერეფნის განვითარების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება და, შესაბამისად, შეღავათები ესაჭიროება. 30 მილიონი მას ნამდვილად არ აწყენს, მაგრამ ბარამიძე შორსაა იმ აზრისაგან, რომ ეს თანხა მხოლოდ ამ დარგის

ერდებით, ხელფასებსაც ვერ გავცემთ, ბიუჯეტში ვერაფერს შევიტანთ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ვეღარ შემოვიტანთ ფქვილს და აღარც შევრგონის ნავთის ტრანსპორტირება მოხდება“. თუკი რკინიგზას დავეგრავთ, ეს მომსახურების ღირებულებაში აისახება. გაიზრდება ტვირთების ტრანსპორტირების ფასები. ამით დაზარალდება არა მარტო ეს უწყება, არამედ შეიძლება საქართველომ სატრანზიტო ქვეყნის ფუნქცია დაკარგოს და შემდეგ რკინიგზამ შეღავათები.

თუ სად და როგორ გაიპარა შეცდომა, კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ.

ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივ, მაგრამ ბუნდოვან საკითხს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ნოღარ ჯავახიშვილი ასეთ კომენტარს უკეთებს: „აქ დამნაშავეა საკითხის მომზადებელი, მისი შემსწავლელი, მისი მიმღები და ნებისმიერი პარლამენტარი, რომელმაც ხმა მისცა და არ ჩაიხედა კანონში, მათ შორის მეც.“

ნებისმიერი დარგის და ორგანიზაციის ხელმძღვანელი ყოველთვის ცდილობს უკეთესი პირობები შეუქმნას თავის დარგს. ფინანსთა მინისტრი ცდილობს, რომ გადასახადები გაზარდოს და ბიუჯეტი შეავსოს, რაც ბუნებრივი პროცესია. ასე რომ, ორი მხარის ჭიდაობაში უნდა დაიბადოს ის შუალედი, ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც დარგსაც გა-


## მალე რკინიგზის ირგვლივ ახალი სკანდალი აგორდება



რესტრუქტურისაციას მოხმარდება. შეიძლება საფხვრუთო კლუბების დაფინანსებას, სტადიონისა და სასტუმროების შენეზოლბას გადააყოლონ, მისი დიდი ნაწილი. ეს თანხა ბიუჯეტში უნდა იყოს განერული. გამოდის, რომ შეცდომა შეგნებულადაა გაპარული, რათა რკინიგზას დარჩეს 30 მილიონი. „ამ შემთხვევაში კი ზარალდება ადგილობრივი ბიუჯეტი, რაც იმწინავს გაუცემელ ხელფასებსა და პენსიებს, შეუკუთებელ გზებს, სკოლებს, გათბობას და მოუგვარებელ კომუნალურ საკითხებს, რითაც მაჟორიტარი დეპუტატები ვართ დაკავებული. არადა ეს გამგეობის ფუნქციაა“ — აღნიშნავს ბარამიძე.

იმას, თუ რატომ გაიპარა საკანონმდებლო აქტში შეცდომა, არც საგადასახადო შესოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ნოღადელი აკონკრეტებს. თუმცა იგი გარკვევით მიაწინებს შესაძლო ვერსიას: „იხი ინტერესიც არის აქ ჩადებული, კარგად ჩანს. რაც შეეხება შეცდომის გამოსწორებას, აქ, საკმაოდ სერიოზული და მასშტაბური გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, რადგანაც დიდ თანხაზე, 30-35 მილიონზეა საუბარი“. მაშინ, როდესაც მაჟორიტარი დეპუტატები და პარლამენტის საგადასახადო შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე 2000 წლის 2001 წლით შეცვლას ნებსით თუ უნებლიეთ დაშვებულ შეცდომად მიიჩნევენ და მის გასწორებას ცდილობენ, შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობა საპირისპიროს აცხადებს: „ეს ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივა იყო და მივადინეთ იმას, რომ იგი 2001 წლის აპრილამდე გაგრძელდეს. თუმცა, ჩვენ ვაპირებთ, რომ ეს შეღავათი რამდენიმე წლით გავახანგრძლივოთ, რადგან რკინიგზას ათი წელი მაინც დასჭირდება, რომ ფესზე დადგეს“.

ასეთ სიტუაციაში გაუგებარი რჩება, რატომ უბრუნდება პარლამენტი 1999 წლის დეკემბერში თავისსავე მიღებულ გადაწყვეტილებას დღეს და შეცვლის უპირებს, მაშინ როდესაც რკინიგზის ხელმძღვანელობა ემაყოფილია იმით, რომ მისი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ეს უწყება მინის გადასახადს 2001 წლის აპრილამდე არ გადაიხდის. უფრო მეტიც, შპს „საქართველოს რკინიგზის“ თავმჯდომარის მოადგილეს, გუგული მაისურაძეს მიაჩნია, რომ „არც ერთ სხვა სახელმწიფოში რკინიგზა მინის გადასახადს არ იხდის. საბჭოთა პერიოდში ერთ კაპიკსაც არ ვიხდიდით. ჩვენ შარშან ბიუჯეტში 23 მილიონი შევიტანეთ, ხოლო თუკი წელს ჩვენზე დაბევრის შეღავათი არ გაუტყველდა, ჩვენ საერთოდ გავ-



მოადგება და ქვეყანასაც“. ამ საკითხზე მსჯელობისას ერთი ფაქტორიცაა გასათვალისწინებელი.

რკინიგზის დეპარტამენტი 1998 წელს გადაკეთდა „შპს საქართველოს რკინიგზად“. სახელმწიფო შეღავათები კი დღევანდელი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე არ ვრცელდება. ამ საკითხთან დაკავშირებით იურიდიული დეპარტამენტის დასკვნაც არსებობს: „მიგვაჩნია, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში უნდა იქონიოს იმის თაობაზე, თუ რამდენად ითვლება შპს „საქართველოს რკინიგზა“ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის საპარტალმენტურად“. წინააღმდეგ შემთხვევაში რკინიგზაზე დაწესებული შეღავათები იურიდიულად გაუმართლებელია.

„საბაზრო ეკონომიკის დროს რას ნიშნავს, რომ ვილაცას ფუნესებთ შეღავათს. საგადასახადო კოდექსი არავის არ უნდა ჰქონდეს შეღავათები. ამით ვარლვეთ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებულ საბაზრო ეკონომიკის სისტემას. თუკი სახელმწიფოს უნდა რომელიმე დარგის აღორძინება, მას საგადასახადო შეღავათები კი არ უნდა დაუწესოს, არამედ მისგან რაც ამოსაღებია, უნდა ამოიღოს და შემდეგ თვითონ დაეხმაროს ტრანსფერის სახით“ — აცხადებს ნოღარ ჯავახიშვილი და აქვე განმარტავს, რომ თუკი ვინმეს გათავისუფლებთ გადასახადისგან, მაშინ ის სხვებს წინ უსწრებს და იქნება არათანაბარი კონკურენცია. ნორმალურ და განვითარებულ ქვეყანაში კი ყველა სამუშაო სუბიექტი აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში უნდა იყოს. ასეთ კონკურენტულ გარემოში თუკი ვერ გაიმარტებს, მაშინ ძლიერი არა ხარ და საერთოდ არ უნდა იყო. რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რკინიგზამ არ უნდა იარსებოს. ასეთ სიტუაციაში უნდა გამოიცვალოს ხელმძღვანელობა და ის უნდა მოვიდეს, რომელიც სწორედ ამ გარემოში უზრუნველყოფს მომგებიან მუშაობას“ — დასძინა პარლამენტარი.

საბოლოო ჯამში სიტუაცია საკმაოდ გაურკვეველი რჩება. ერთის მხრივ, რკინიგზა თავისი ობიექტური, თუ სუბიექტური არგუმენტებითა და მოთხოვნებით, მეორეს მხრივ ადგილობრივი ბიუჯეტი, რომელიც 30 მილიონ ლარს კარგავს. ჩვენს პირობებში კი ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა, რაც ერთი თვის გაუცემელ პენსიებს მაინც აანაზღაურებდა. ამ საკითხზე, ალბათ, სკანდალური სიტუაციაც შეიძლება შეიქმნას, თუ კი პარლამენტი და მთავრობა დროულად არ მოაგვარებს მას. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონი, გაძვალტყავებული ბიუჯეტი, რომელიც პრიორიტეტული დარგების დაფინანსებასაც ვერ უზრუნველყოფს, თვეების მანძილზე დაგროვილი საფინანსო და სახელფასო დავალიანებები, არც კანონმდებლთ, არც ხელისუფალთ ნამდვილად არ აძლევთ უფლებას, რომ ამ საკითხზე სერიოზული გადაწყვეტილება არ მიიღონ.

**ნათია გოგსაძე**

### შენიშვნა

გამეტ „კვირის პალიგრის“ რედაქციას

გაზეთ „კვირის პალიტრაში“ (№10, 255), გამოქვეყნდა ჟურნალისტ ზურა ქაჩილაშვილის ინტერვიუ ადვოკატ ლაშა ჭიჭინაძესთან (სათაურით „ნუგზარ შევარდნაძე 150 000 დოლარში გადააგდეს“) სტატიამ საუბარია „საფოსტო ბანკისა და „თბილკომბანკის“ საქმიანობაზე“.

აღნიშნულ ინტერვიუში გაიპარა უზუსტობა. კერძოდ, „თბილკომბანკის“ დებიტორების ჩამონათვალში ნახსენებია კომპანია „რუსთავი-ვინი“, რომელსაც ვითომდა აქვს ზემოთ ნახსენები ბანკის ვალი. აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს და ის ეყრდნობა ჩემს მიერ გადაუმიწმეველ ინფორმაციას.

პატივისცემით

ადვოკატი ლაშა ჭიჭინაძე



რამდენიმე ხნის წინ „კვირის პალიტრას“ რუსეთის ფედერაციის პატენტებისა და სასაქონლო ნიშნების კომიტეტის მიერ გაცემული დოკუმენტი ჩაუვარდა ხელთ, რომელიც „უნიკალურ გამოგონებას“ — ხელოვნური ბორჯომის მიღების ტექნოლოგიას ხდოდა ფარდას. დიას, არ გაიკვირვოთ, თურმე რუსეთში ხელოვნური „ბორჯომი“ გამოუგონიათ... მაგრამ რატომ მაინცდამაინც „ბორჯომი“ და არა რაიმე რუსული სახელწოდება (მით უმეტეს, რომ ყველას კარგად მოეხსენება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გამძაფრებული პატრიოტული გრძნობები), ვთქვათ თუნდაც „სამარა“, „პიატიგორსკი“ ან სულაც „პროსტოკვაშინო“? აქ ელემენტარული, „კომერციული“ გათვლაა — ჩვენი (ქართული) „ბორჯომი“ ცნობილი, სახელდამკვიდრებული და ბევრისთვის საყვარელი ნატურალური მინერალური წყალია, ფაქტობრივად მას რეკლამა არც სჭირდება და ვილაც „ბიზნეს-მენის“ გონებაში უმაღ იყნოსა სარფიანი საქმე. აქ ყველაფერი ნათელია (თუმცა არაკანონიერი), მაგრამ კითხვების კორიანტელი ამ დოკუმენტის („გამოგონების აღწერის“) ბოლომდე ჩაკითხვისას დაიბადა.

თურმე გამოგონება რუსს კი არა, ჩვენს თანამემამულეს (საკმაოდ მაღალჩინოსანს) ეკუთვნის (დოკუმენტი მისი გვარია მითითებული). ხელოვნური „ბორჯომის“ ჯადოსნური ფორმულისა და მინერალური წყლის მიღების ტექნოლოგიის გარდა „გამოგონების აღწერაში“ ერთ ფივად მნიშვნელოვან დეტკანს ვკითხოლობთ. თურმე ბუნებრივი „ბორჯომი“ რადიოაქტიური სტრონციუმის შემცველობის გამო დაბალხარისხიანი ყოფილა, უფრო ზუსტად კი Продукт содержит радиоактивный стронций, что снижает его качество. რაკი ჩვენს საყვარელ ბუნებრივ „ბორჯომს“ ნაკლი მოუძებნა, გამომგონებელი „უნაკლო“ ხელოვნური „ბორჯომისთვის“ ხოტბას არ იშურებს. თურმე მინერალური მარილებისა და რბილი წყლის ეს „უებარი ნაზავი“ ათი თავით სჯობს ჩვენს ძველ ნაცნობს, ნამდვილ „ბორჯომს“... და რაც მთავარია, იგი არ შეიცავს რადიოაქტიურ სტრონციუმს(!). ვერაფერს ვიტყვი... იქნებ პირადი დაინტერესების გამო ურტყამენ ჩვენს დაცულ, დედაბუნების მიერ ნაბოძებ სიმდიდრეს, ან იქნებ საკუთარი კარგის გაკიცხვისა და ლაფში ამოსვრის მაგენ ჩვევამ აქაც იჩინა თავი?... ვინ იცის...

მაგრამ „ბორჯომი“ მარტო ლანძღვას არ დაუფერეს... ბაზრიდანაც მოუღწიოვს გამოგდება. გარდა იმისა, რომ ფირმა „ჩარტეში“ ხელოვნური ბორჯომის ჩამოსხმეული მძღავრი მანქანა ამოქმედდა, „როსპატენტმა“ უკრაინისა და რუსეთის რეგიონებში მოქმედ საეჭვო წარმოშობის ფირმებს მისცა ლიცენზია „ბორჯომის“ წარმოებაზე და იცოცხლე, იფეთქა ბაზარზე ხელოვნურმა „ბორჯომმა“. დარჩა ნამდვილი „ბორჯომი“ დამცირებული და შეურაცხყოფილი, რადგან ფასის გამო თურმე რუსეთშიც და სხვაგანაც მომხმარებელი იაფფასიან ფალსიფიცირებულ „ბორჯომს“ ამჯობინებს ძვირადღირებულ ნაღდსა და სასარგებლოს. რას იზამთ, ასეთია მისის ფსიქოლოგია — იაფი პროდუქცია იზიდავს, მაგრამ აქ სხვა მომენტიცაა: თუ მომხმარებლის ნაწილი სიიაფეს ეგება, ნაწილი მართლა ტყუუდება, შეცდომაში შედის, რადგან კარგი სიმარჯვე უნდა ნამდვილი და ხელოვნური (ფალსიფიცირებული) „ბორჯომის“ ერთმანეთისაგან განსხვავებას. ორივე პროდუქციას ბოთლიც და ეტიკეტიც თითქმის იდენტური აქვს. თითქმის იმიტომ, რომ ხელოვნური „ბორჯომის“ ეტიკეტზე აღნიშნული პატარა განმასხვავებელი ნიშანი შეუიარაღებელი თვალისთვის უჩინარი ყოფილა.

„ბორჯომის“ ბედით შეჭირვებულებმა საქპატენტს მივაკითხეთ, თუმც სანუგეშო იქაც ვერაფერი შევიტყვეთ, პირიქით, იმაში დავრწმუნდით, რომ „ბორჯომს“ უფრო ცუდად ჰქონია საქმე, ვიდრე ჩვენ გვეჩინა.

**ზურაბ მუზარისძე, საქპატენტის იურიდიული სამსახურის უფროსი:** „ბორჯომი საქართველოს გეოგრაფიული სახელია და მისი გამოყენება სხვა ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციაზე (დასახელებად) მომხმარებლის შეცდომაში შეყვანაა. აქ გარდა იმისა, რომ მომხმარებლის უფლებები ირღვევა, საქმე გვაქვს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთანაც. გარდა ამისა, არსებობს დამატებითი დაცვის მექანიზმი, რომელიც საქართველოში ჯერ არ ამუშავებულია. გეოგრაფიულ სახელებს, რომლებიც მიაწინებენ საქონლის განსაკუთრებულ კავშირს ადგილთან, სპეციალური დაცვა აქვს. უნდა ადგინდეს, რომ მინერალური წყლის განსაკუთრებული თვისებები დაკავშირებულია ამ ადგილთან (ბორჯომთან). როგორც კი დადგინდება ეს კავშირი, მოხდება ამ ობიექტის აღიარება, როგორც ადგილწარმოშობის დასახელებისა. ამის შემდეგ უნდა დაიდოს ხელშეკრულებები სხვა ქვეყნებთან, რომელთაც უნდა აღიარონ ეს სუბიექტი.

კონკრეტულ შემთხვევაში („ბორჯომთან“ დაკავშირებით) საქართველოს პოზიცია სუსტია, რადგან „ბორჯომის“ ასეთი აღიარება ჯერ არ მომხდარა, მაგრამ თავისთავად ხელოვნური „ბორჯომი“ უკვე ატყუებს მომხმარებელს. „ბორჯომი“ მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება იყოს ნატურალური, რომელიც ამოღის წყაროდან და არა ქიმიურად შეზავებული ხსნარია.

— რაკი საქართველოში ჯერ

**არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა „ბორჯომის“ დაცვისათვის, ვინ უნდა აღკვეთოს ამ სახელწოდებით ასე განუკითხავად მანიპულირება?**

— ყოველგვარი პატენტი და სასაქონლო ნიშანი, რომელსაც სხვა ქვეყანა გასცემს, უნდა გააკონტროლოს იმ მენარმემ ან პირმა, რომელსაც ამ საქმეში ინტერესი აქვს. ამ შემთხვევაში „ბორჯომის“ ლეგალური, ქართველი მწარმოებლები უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, დარღვევებზე მათ უნდა გააკეთონ რეაქცია და გაასაჩივრონ.

**ბაღრი ჯაფარიძე — საქართველოს მინსა და მინერალური წყლების კომპანიის ვიცე-პრეზდენტი:** ფალსიფიკაცია არსებით პრობლემებს გვიქმნის. ამის ერთეული შემთხვევები რომ იყოს, ლეგალურ მწარმოებელზე (ჩვენზე) ეს არ იმოქმედებდა, მაგრამ ჩვენ სერიოზული ინდუსტრია გვიპირისპირდება — ფალსიფიკატორები. წელნიდანში ათეულობით მილიონი ბოთლის რეალიზებას ახდენენ. ფალსიფიკაცია მარტო იმას არ გულისხმობს, რომ ბოთლში

სხვა წყალი ესხას. ულიცენზიო წარმოებები, ჩვენს ბოთლში, რომელზეც ჩვენივე ეტიკეტია, ასხამენ „ბორჯომს“. არის ისეთი ფაქტებიც, რომ ტარაში ზოგჯერ გაურკვეველი შემადგენლობის სითხეა. „ბორჯომი“ არის წიაღისეული, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაა და ამიტომ მისი უნებართვო მოპოვება ქურდობაა.

— რამდენადაც ვიცო, სერიოზულ პრობლემას ფალსიფიკატორები რუსეთის ბაზარზე გიქმნია. რა მეთოდებით ებრძვით მათ?

— კი, ფალსიფიკაცია საქართველოს გა-

## მპრისკა — გამოცოცხს სელოპნუკი „ბორჯომი“ და ფულაბ „აპოსთოქა“!..

რეთაც ხდება, მაგრამ როგორ შეიძლება ფალსიფიკაციას რუსეთში ვებრძოლოთ, როცა ამ პრობლემას აქ, ადგილზე ვერ გავართვით თავი. თუმცა ისიც ნიშანდობლივია, რომ რუსეთში ძირითადი ფალსიფიკატორები ქართველები არიან. რამდენიმე სანარმოს უკან (რომლებიც ჩვენს მსგავს ბოთლებში ასხამდნენ ბორჯომს), როგორც მათი დაყადაღების შემდეგ გაირკვა, ქართველები იდგნენ.

**რუსეთში მოღვაწე „ბიზნესმენები“ რა ნედლეულს ასხამდნენ ბოთლში?**

— ეს იყო ონკანის წყალი, იოდის, სოდა და სხვა ინგრედიენტები. ანეგდოტურ სახეს იღებს ის ფაქტი, რომ ამ სანარმოებში ჰყავთ დეგუსტატორები, რომლებიც მარილს ან იოდს ამატებინებენ „პროდუქციაზე“, რათა მეტად დაამგვანონ იგი „ბორჯომს“.

— ხელოვნური „ბორჯომის“ თაობაზე თუ იცით რამე?

— ვიცო, რომ არსებობს პიროვნება, რომელმაც გამოიგონა რალაც ფხვნილი. მაგრამ ხელოვნური „ბორჯომის“ მიღება შეუძლებელია, რადგან ბორჯომი, როგორც მინერალური წყალი ყალიბდება არა ერთი და ორი წლის განმავლობაში და ეს ხდება 1.000 მ-ის სიღრმეზე, გარკვეულ ქანებში. ამ მცდელობებს (ფხვნილით „ბორჯომის“ მიღებას) „ბორჯომთან“ არანაირი კავშირი არ აქვს. შეუძლიათ ამ „პროდუქტს“ დაარქვან ფხვნილით მიღებული მინერალური წყალი (ავტორის სახელის და გვარის მინიშნებით), მაგრამ არამც და არამც ბუნებრივი მინერალური წყალი „ბორჯომი“. აქ არსებით მნიშვნელობას იძენს თვით სახელწოდების — „ბორჯომის“ დაცვა. სამწუხაროდ, ამ სახელწოდებაზე (და არა მარტო მასზე) ბევრს მიუწვდება ხელი. არადა, ჩვენი სიმდიდრე ეს სახელებია; თუ მათ სხვა კომპანიებს ჩაუვადებთ ხელში, მთლიანად გაენადგურებთ იმჩვს, რომელიც ამ სახელწოდების პროდუქციას გააჩნია და ეკონომიკური სარგებელი არც სახელმწიფოს ექნება და არც იმ რეგიონს, რომელთანაც ეს სახელწოდებაა დაკავშირებული.


— გამოგონების აღწერაში ავტორი მიუთითებს, რომ ბუნებრივ „ბორჯომს“ ხელოვნური პროდუქტი სჯობს.

— თუ ის ამას ამტკიცებს დაარქვას თავის მინერალურ წყალს „ბალათურია“ და გაუკეთოს რეკლამა, რომ მინერალური წყალი „ბალათურია“ უკეთესია, ვიდრე „ბორჯომი“. თვითონ ბაზარი განსაზღვრავს, რას დალევს ხალხი — ბუნებრივ „ბორჯომს“, თუ მის შემწილ წყალს. მისი განცხადება არის „ბორჯომის“ ანტირეკლამა. ამ ფაქტზე ალბათ გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა მოახდინოს რეაგირება. როგორ შეიძლება ყველაფრის კომპირება?! თუ სახელწოდება „ბორჯომი“ საკანონმდებლო დონეზე იქნება დაცული, მაშინ ვერც ერთი ხელოვნური ფხვნილის მიმღები ვერ განაცხადებს, რომ მისი გამოგონება „ბორჯომის“ ან „ნაბელავის“ ანალოგია.

**მასტანზ მამახარია, პრეტანულ-ქართული საკონსულტაციო ფირმა „უნიტ გამა კონსალტინგის“ პრეზდენტი, საქართველოს ეკოლოგიურ-მეცნიერებათა აკადემიის წევრი:** „ჩემი აზრით, რუსეთის მსსაბამს უწყებებს არა აქვთ „ბორჯომის“ პროდუქციის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის უფლება. „ბორჯომს“ გააჩნია ნატურალური მინერალური წყლის კატეგორია, რომლის თანახმად, ასეთი წყალი საბადოდან მილსადენის მეშვეობით მიეწოდება ქარხანას. ჩომოსხმისას არ იცვლება მისი მიკრობიოლოგიური და ქიმიური შემადგენლობა. პრინციპული დარღვევაა ხელოვნურად მიღებულ წყალს „ბორჯომი“ ეწოდოს, ამით ასევე ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა და ევროსტანდარტები. ავრძალულია ორი სხვადასხვა კატეგორიის წყლის პროდუქტისათვის ერთი და იმავე სახელწოდების მინიჭება. ყოვლად დაუშვებელია, დამზადდეს ფხვნილი, რომელსაც გაიტანენ სხვა ქალაქში და ღმერთმა უწყის, როგორი წყლით დაამუშავენ. მტკნარი წყლის ბუნება, მისი ქიმიური შემადგენლობა, რის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს ეს წარმოება, ძირეულად განსაზღვრავს პროდუქციის თვისებებს. ამიტომ მისი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე დაუშვებელია. „ბორჯომის“ წყლის ჩამოსხმა დსთ-ს სივრცეში სახელმწიფო დონეზე უნდა განიხილებოდეს.

ჩემი სამსახური წყლის ხარისხზეა პასუხისმგებელი. ჩვენი ვიზის გარეშე საქართველოში ჩამოსხმული წყალი ექსპორტზე არ გადის, აქედან გამომდინარე, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ დამზადდეს „ბორჯომის“ წყლის ფხვნილი, შემდეგ მის საფუძველზე ჩამოისხას წყალი და მას „ბორჯომი“ ეწოდოს.

**როგორც ზემოაღნიშნული დოკუმენტიდან ვგებულობთ, ხელოვნური სჯობს**



**ბუნებრივ „ბორჯომს“, რომელიც რადიოაქტიური ყოფილა?**

— საავტორო მოწმობაში აღნიშნულია, რომ „ბორჯომი“ შეიცავს რადიოაქტიურ სტრონიციუმს. საკითხავია, რატომ არ იქნება ხელოვნურში, თუ ბუნებრივში არის? თუ ის ფხვნილი ბუნებრივი წყლის ბაზაზე იქნება შექმნილი, მაშინ ადვილი შესაძლებელია რომ ის ფხვნილსაც გაჰყვეს. რა მონაცემები აქვს გამოგონების ავტორს, როცა ამას ამტკიცებს? კი, სტრონიციუმის იონები „ბორჯომის“ წყლის შემადგენელია, მაგრამ ჩვენ ვიცნობთ ნაშრომებს და ლიტერატურას „ბორჯომზე“, სად ნახა ავტორმა მტკიცებულება, რომ ის სტრონიციუმი რადიოაქტიური იზოტოპია? ამიტომ ძალიან მიჭირს დავეთანხმო მას. აქედან გამომდინარე ეს მტკიცება, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტულია.

— რამდენად არის შესაძლებელი, რომ ხელოვნური გზით მივიღოთ ბუნებრივი „ბორჯომის“ ანალოგი?

— ასეთი პროდუქცია არასდროს იქნება ბუნებრივი „ბორჯომის“ წყლის ტოლფასი. ფხვნილიდან დამზადებული წყალი მიეკუთვნება ყველაზე დაბალ კატეგორიას, რომელსაც ბაზარზე სუფრის წყალი ეწოდება. 1997 წელს მე მქონდა საუბარი გამოგონების ავტორთან. მისმა საავტორომ მიიქცია ჩემი ყურადღება და საკმაოდ მძაფრი განცხადებაც გავუკეთე „საქმინ წყალთან“ არსებული ლიცენზირების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე. ამ გამოგონებას მნიშვნელობას არ ვანიჭებ, რადგან ღირებული არ არის. (როგორც მავანთ მანჩნათ, ავტორს სურდა ლიცენზიის მიღება ამ ფხვნილის დამზადებაზე, რათა იგი რუსეთში გაეცანა. ჩანს, კომერციული თვალსაზრისით ეს ნაბიჯი მომგებიანი იყო, მაგრამ ცხადია, რომ ის წყალი, რომელსაც იგი მიიღებდა, არ იქნებოდა „ბორჯომი“ — ი.რ.).

**მამა მამსურაძე, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი:** „ბორჯომის“ საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით 90-იანი წლების მთვე ნახევარში დაისვა. დსთ-ის ქვეყნებში აღმოჩნდა უზარმაზარი ფირმები, რომლებიც ათეულ მილიონობით ბოთლ „ბორჯომს“ უშვებდნენ. რუსეთში არის ფირმა „ლუკოვნიკი ი კომპანია“, რომელმაც „ბორჯომის“ წარმოებით დიდი ფული მოიხვეჭა (ამ კომპანიაში ძირითადად ქართველები არიან

დასაქმებულნი), ეს კომპანია მინერალური წყლის პროდუქციას სასაქონლო ნიშნით (ეტიკეტით) ასხამდა.

— „ლუკოვნიკი ი კომპანია“ ნედლეულად ფხვნილს იყენებდა თუ ბუნებრივ მინერალურ წყალს?

— ამ კომპანიას ფხვნილი არ გამოუყენებია. როცა „როსსტანდარტს“ მოვთხოვეთ ამ საკითხის მოგვარება, აღნიშნულმა კომპანიამ მუშაობა შეწყვიტა და ამის შემდეგ გამოჩნდა რუსეთის ბაზარზე ხელოვნურად მინერალური წყალი „ბორჯომი“.

— პროდუქციის ეტიკეტზე გაკეთდა აღნიშვნა, რომ პროდუქცია ხელოვნური იყო?

— სასაქონლო ნიშანზე მიკროსკოპით თუ გააჩვენდით წარწერას Искусственно минерализованная вода. „ბორჯომი“ რუსულადაც და ქართულადაც დიდი ასოებით ეწერა, მომხმარებელი არც აქცევდა ყურადღებას უმნიშვნელო წარწერას.

— ეს ტექნოლოგია („ბორჯომის“ ხელოვნურად წარმოება) ვინმე ბალათურიას გამოგონების საფუძველზე დაინერგა?

— დიას, მანამდე მას სურდა ეს გამოგონება საქართველოში დაერეგისტრირებინა, მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხელოვნურად მინერალური წყლის მიღებას. ეს მეთოდი უარყოფილი იქნა და ბალათურიამ ეს „გამოგონება“ რუსეთში „ნაიღო“. „ჩარტეში“ დაიწყო პროდუქციის წარმოება და სხვა ქვეყნებსაც მისცა ლიცენზია „ბორჯომის“ წარმოებაზე (კერძოდ უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის ბაზარზე ხელოვნურ

„ბორჯომს“ „ჩარტეში“ მისცა მწვანე შუქი). ამ ქვეყნების ანტიმონოპოლიურ სამსახურებს ვაცნობთ, რომ ხელოვნური „ბორჯომის“ ჩამოსხმა სიყალბე და უკანონოა იყო. რომ ბორჯომი არის გეოგრაფიული დასახელება და ამიტომ არ შეიძლება ამ პროდუქციის სასაქონლო ნიშნის გამოყენება, აქ უხეზად ირღვევოდა მომხმარებლის უფლებებიც და კანონი მონოპოლიური საქმიანობის შესახებ. უკრაინაში ამის შემდეგ 33 სანარმო დაიხურა, ბელორუსიაში — 8, სანარმოები დაიხურა ყაზახეთში, უზბეკეთსა და აზერბაიჯანშიც, მაგრამ რუსეთის ბაზარს ვერაფრით მივუდევით. იქ რამდენიმე ინციდენტიც მოხდა, მოსახლეობა მოიმაზლა. მოსკოვის გარეუბანში საავიაციო ქარხნის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს ფირმა, სადაც ონკანის ცხელ წყალს ამატებდნენ სოდას, მარილს, გაზავდნენ და „ბორჯომის“ სახელით აგზავნიდნენ ბაზარზე. ეს „სანარმო“ დღემდე 30 ათას ბოთლ „ბორჯომს“ უშვებდა, წელნიდან კი 12 მლ-ს.

მარშან, დსთ-ს ქვეყნების ანტიმონოპოლიური საბჭოს შეკრებაზე ჩვენს დისტრიბუტორებს ქსელში არსებული „ბორჯომის“ ნიშუშების ამოტანა ვთხოვეთ. ერთ საათში 12 ბოთლი „ბორჯომი“ ამოიტანეს. ამითგან ქართული ანუ, ნატურალური წარმოებისა არც ერთი არ იყო(!).

— ამ პერიოდში „ჩარტე“ ისევ აგრძელებდა მუშაობას?

— დიას, მაგრამ შეამცირა მუშაობა და რამდენადაც ვიცო, ამჟამად გაჩერებულია. როცა ის გაჩერდა, „ლუკოვნიკი ი კომპანიაში“ წამოყო თავი. სამწუხაროდ, საქმეს ისევ ჩვენი მოქალაქეები აფუჭებენ. ამ კომპანიაში ისევ

უკანონოდ აღიდგინა უფლება სასაქონლო ნიშანზე. ეს კომპანია ახლაც მუშაობს, უახლოეს პერიოდში დაწინაურდა სასამართლო სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების გამო.

— ბუნებრივი „ბორჯომის“ რადიოაქტიურობაზე ატეხილი აჟიოტაჟის და ანტირეკლამის გამო „ჩარტე“ არ დასჯილა?

— ეს გამოგონება როგორც არამართლმორი, გაუქმდა, გაუქმებულია მისი რეგისტრაცია. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამ ანტირეკლამისთვის დამნაშავეს პასუხი უნდა მოეთხოვოს. „როსპატენტისა“ და „როსსტანდარტის“ წარმომადგენლებს პირადად ვუთხარი: ხელოვნური „ბორჯომის“ გამოგონება არ შეიძლება. ბალათურიამ ხელოვნური მინერალური წყალი გამოიგონა და არა „ბორჯომი“.

P.S. როგორც ვხედავთ, ფალსიფიკატორებისა და „გამომგონებლების“ ხელში სახელგანთქმულ „ბორჯომსაც“ უჭირს (ისევე როგორც ქართულ ლენიუმს). ჩვენს სიმდიდრეს გვიუფასურებენ და გვედავებიან. გამოსავალი ამ ვითარებიდან ერთია — ეროვნული სიმდიდრე, წიაღისეული, ქართული ადგილობრივი წყლების სახელები კანონმდებლობით უნდა იყოს დაცული. იჩქარეთ კანონშემოქმედნო, თორმე რუსეთში ჩამოსხმული „ბორჯომით“ და კონსინოვში დაყენებული „ხვანჭკართ“ საქართველო შორს ვერ წავა.

**იზო რიკაძე**



აახლოებით ორი კვირის წინ დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში, რაიონიდან სასწავლებლად ჩამოსულ, ამჟამად ნაქარავე ბი-ნაში მცხოვრებ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტს დაბადების დღის მისალოცად რამდენიმე თანაკურსელი სწევია. მასპინძელი სტუმრებს უკვე ელოდა და ამიტომ თადარიგი წინასწარ დაუჭერია. არაქარხნული წესით დამზადებულ ენ. ჩამოსასხმელ ღვინოს დღეს თბილისის თითქმის ყველა საკოლმეურნეო ბაზარზე, ხალხმრავალ ადგილას თუ მისთვის განკუთვნილ სპეციალურ დუქან-მაღაზრებში ადვილად შეიძენი და ჩვენს იუბილარსაც სასმლის პრობლემა მისავე უბანში ერთ-ერთი კერძო მოვაჭრის მეშვეობით გადაუნწყვტია. ღვინის გამყიდველს ლამის ბუღბუღი დაუსვამს ენაზე და გასასაღებელი სითხე ნამდვილ კახურ ღვინოდ გაუსაღებია, თან ქება-დიდებაც არ დაუკლია.

სუფრასთან მსხდარმა მეგობრებმა ღვინო დააჭაშნიკეს, გემო მოინონეს და ქეიფიც გახურდა. დაახლოებით 2-3 საათის შემდეგ ახალგაზრდებს თვალების პლურწვა და მოჭრება აუტყდათ. თუმცა გრძობდნენ, რომ ბახუსზე მეტად მოთენილობა დაეუფლათ. სულ მალე, ერთ-ერთი მათგანი იქვე დივანზე მიესვენა და ტკბილი ფშინვა ამოუშვა. მას თანდათანობით დანარჩენებს მიჰყვებოდა. ქეიფის მიწურულს მასპინძელი და მასავით სხვებთან შედარებით ფიზიკურად ძლიერი თანაკურსელი საკუთარ სახლებში წასვლის მიზნით დანარჩენების გაღვიძებას შეეცადნენ, მა-

## რომელი გაინტერესებს, ძმაო, ნაღდი ქვევრისა თუ „ბოჩკისა“

გრამ ამოად. ბოლოს კი, ნაქებმა „კახურმა ღვინომ“ მათზეც გაჭრა და ორივეს, საკუთარ თევზებზე თავდადებული, ღრმა ძილი დაეუფლა. ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გააგრძელებდნენ ახალგაზრდები ნახევრად ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ყოფნას, მეორე დღის, დაახლოებით 4 საათისთვის შემთხვევით გვერდითვე მცხოვრებ მეზობელს რომ არ შეეხედა მათთან. ბედად, ბიჭებს კარი ურდულით ჩასაკეტი დარჩენილათ. მეზობელს გაუნძრევლად მძინარე ჯერ მასპინძელი, ხოლო შემდეგ სტუმრები ძლივს ჩაუგდია საგონებელში. ცხადია, მათი ასეთი მდგომარეობის მიზეზის გარკვევისას ბიჭებმა ეჭვი ღვინოზე მიიტანეს. ნარჩენი ღვინის (რომლის დაღვევაც მათ აღარ დასცალდათ) ლაბორატორიული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ ენ. კახური ღვინო ძილისმოგვრელი, დამამშვიდებელი საშუალებებით უხვად ყოფილა გაჯერებული. საბედნიეროდ, მცირეოდენი სისუსტის შეგრძნებისა და კვლავ დაძინების სურვილის გარდა ბიჭებს მოწამელის ნიშნები არ აღენიშნათ. არადა, ალკოჰოლით მოწამელისა და დაღუპის ფაქტები მოსახლეობაში მრავალჯერ დაფიქსირებულია. ჩვენ შეგნებულად არ ვისახელებთ იმ ენ. ღვინის რეალიზაციის ადგილმდებარეობას, რადგან ზემოაღნიშნულის მსგავსი ფაქტები, გაცილებით უფრო მძიმე შედეგებით დასრულებული, როგორც უკვე მოგახსენეთ, სხვა საცხოვრებელ უბნებშიც მომხდარა. როგორც ჩვენი ჟურნალისტური მოკვლევით დადგინდა, ამგვარი ბიზნესი საქმიანობა სარფიანი ყოფილა. თავად განსაჯეთ: ერთი ტონა ასეთი ღვინის დამზადება საშუალოდ 300-350 ლარი ჯდება (ზოგჯერ გაცილებით იაფიც), ხოლო მისი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა კი საშუალოდ 1.000 ლარს შეადგენს (! ლიტრი — 1 ლარი). უფრო ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ მის შემცველობაზე, განვიმარტავთ, რომ 1.000 ლიტრი ასეთი ღვინო შეიცავს: 100 ლიტრ სპირტს, 5კგ ლიმონმწავსს, ფერის მიმცემ საშუალებებს (ლიმონათის სპეციალური ფერი ან დამწვარი შაქრის ფხვნილისგან მიღებული სითხე) და არომატის მიმცემ მძარმუჯვას ან შესაძლებელია თავად ღვინოს. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში საშუალოდ 350 ლიტრს შეადგენს, ხოლო დანარჩენი 650 ლიტრი კი წყალია(!). როგორც დაგვადგინეთ, მხოლოდ ერთი საკოლმეურნეო ბაზრიდან ყოველთვიურად რამდენიმე ათეული ტონა ასეთი წესით დამზადებული „ღვინო“ იყიდება. დღეისათვის მისი დამზადების ზემოაღნიშნული მეთოდი ფართოდ არის გავრცელებული, თუმცა არსებობს კიდევ სხვა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის დიდი ზიანის მომტანი და სარისკო „ტექნოლოგიები“, სადაც ღმერთმა უწყის, რა ნივთიერებების გამოყენებით ხდება ენ. ღვინის მიღება.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იმ საკოლმეურნეო ბაზრებში, სადაც რატიონალურ ნებნდართულია ამგვარი ფალსიფიცირებული ღვინით ვაჭრობა, ყოველგვარი მორიდებისა და დაფარვის გარეშე,

ადგილზევე, მომხმარებელთა თვალწინ ხდება ზემოაღნიშნული ნივთიერებების გადაზავება და „ღვინოდ“ გადაქცევა. ნუ გაგიკვირდებათ და ენ. ღვინით სახსე ბოცების გვერდით ზედ დახლზე უწყვი-ათ გასაფილტრი საშუალებები და მყავა-ფერები. როგორც ჩანს, ყოველივე ამას საკოლმეურნეო ბაზრების ადმინისტრაცია გულგრილად ეკიდება და აინუნშიც არ აგდება. აღნიშნული ინფორმაციის ადგილზე გადამიწმების მიზნით, როგორც მომხმარებელი და არა როგორც ჟურნალისტი, ერთ-ერთ საკოლმეურნეო ბაზარში მდებარე „ღვინო“ მოვაჭრეთა დახლს მივადექი. დახლს იქით მდგომ შუახნის მამაკაცს ღვინის ფასი ვკითხე. — რომელი გაინტერესებს, ძმაო, ნაღდი ქვევრისა თუ „ბოჩკისა“? — ცოცხლად მკითხა რეალიზატორმა. — ორივე, მივუგე მე. — ქვევრისა ღარნახევიარი, ხოლო „ბოჩკისა“ — 1 ლარი. ორივე მაგარი ღვინოა, გურჯაანისა, უბრალოდ „ბოჩკისა“ შაქარზე გაკეთებულია და ამიტომ ყვიდი ღარად, მომიგო სხაპასუხით ოდნავ კახური კილოებით და იქვე დაამატა — შენ რომელი გინდა, გაგასინჯე, ძმაო, იგრე კი არ გაგატან, ოქროს ღვინოებია... — ესენი რა არის? — ღვინის ბოცების გვერდით მდებარე ფხვნილებზე და საგნებზე მივუთითე. — ესენი იქიდან რომ მოგვაცქს არა, გზაში ცოტა იმღვრევა ხოლმე და აქ მაგით ვანმინდავებთ — აშკარად იცრუა ვაჭარმა ისე, რომ წარბიც არ შეუხრია. შევატყვე, რომ რაც არ უნდა მეკითხა და ჩავძიებოდი, პასუხის გაცემა არ გაუჭირდებოდა, ამიტომ ტაქ-



ტიკა შევცვალე, — განა მართლა ღვინის ყიდვა მინდა ძმაო, რომ მატყუებ, შენ გგონია მყავებით დამზადებულს ნაღდი ღვინისგან ვერ ვარჩევ ან ეს რა ფხვნილებია არ ვიცი? უბრალოდ მაინტერესებს, კარგად გეყიდებათ აქეთ თუ არა, ერთი კვირაა მეც ან საქმეს მოგვიდე ხელი და ჩვენც ცოტა ძეღლად გადის — თან ჩემს სავაჭრო ადგილად ერთ-ერთი საკოლმეურნეო ბაზარი დაუსახე-ლე. — ეგრე გეთქვა შე დალოცვილო, რაღას მალაპარაკებდი ანდენს, — მიპასუხა ბუზღუნით განწყენებულმა და იქვე სკამზე დაეშვა. ბოლოს ისე, სხვათა შორის, ჩაილაპარაკა: — რა გერჩება, პურის ფულს ვშოულობთ რა...

როგორც ხედავთ, „ღვინო“ მოვაჭრეებს ენა კარგად უჭრიო და წყალწყალა ღვინოს ნამდვილ კახურ ღვინოდ ისე შემოგაპარებენ, ეჭვიც არ დაგებადებთ. არადა, ჩვეულებრივი რეგითი მომხმარებლისთვის ნამდვილი ღვინის გარჩევა ფალსიფიცირებულისაგან (თუკი იგი ამგვარი წესით არის დამზადებული) დაღვეის პროცესშიც და ნაბახუსევზეც ცოტა რთული საქმეა და რაც ყველაზე საოცარი, ასეთ ღვინოს ქალაქში უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე ნატურალურს. ნამდვილი კახური ღვინო კი დღეს ძირითადად კახელი გლეხკაცის ქვეყნ-მარნშია და იგი ამოად ელის მომხმარებელს, რის გამოც იძულებულია ვაზის გაჩეხის გზას დაადგეს და არსებობის სხვა საშუალება მოიხსოს.

თქვენ კი, ძვირფასო მკითხველო, გირჩევთ, რომ მანამ, სანამ საკოლმეურნეო ბაზრების ხელმძღვანელები ზემოაღნიშნულ პრობლემას მომხმარებელთა სასიკეთოდ მოაგვარებენ, ნუ შეიძენთ ღვინოს, ვიდრე არ დარწმუნდებით, რომ იგი ნატურალურია.

კონსულტაციისთვის დიდ მადლობას ვუხდით ღვინის ტექნოლოგიის სპეციალისტს, ექსპერტ თენგიზ ლომიძეს.

მალხაზ სურციძე



ზა. ეს ისეთი რამ არის, რომ მოსახლეობის უმრავლესობაც მხარს დაგვიჭერს, კანონის ძალით შეიძლება გადატრიალებაც მოვახდინოთ. მოკლედ, მისი თქმით, ამ ბიზნესგეგმის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შეიძლება იქნება ისე, რომ ჩვენს ქვეყანაში უმრავლესობა იქნება ისეთი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობაა.

ესპანეთში ვიზიტის დროს ჩემი ნაცნობი ადამიანის უფლებების დაცვით დაინტერესებულა და გაურკვევია, რომ იქ მოქალაქეების სასიკეთოდ ამ სფეროში თითოეული წვრილმანი გათვლილია. მას ყურადღება მიუქცევია ესპანური დენის მრეცხველებისთვის ელექტროავარიის შემთხვევაში (რაც იშვიათად ან საერთოდ არ ხდება), დენის გამორთვისთანავე მრეცხველი თურმე პირდაპირ წულზე დგება, ანუ რამდენიც არ უნდა იყოს დაწერილი, თუ ერთი წუთით მაინც ჩაქრა შუტი, ყველაფერს აბათილებს. ამას ესპანელები ზიანის ანაზღაურებას უწოდებენ. ელექტროენერგია არცთუ იაფი ღირს. ამიტომ მოსახლეობა უზომოდ კმაყოფილი რჩება, როცა მოულოდნელად ჩამოხვდება ხოლმე. რომელიმე ჩვენთაგანმა შეიძლება იფიქროს, რომ ამ შემთხვევაში, გამოცხადებული არ არის, ვინმემ ხელოვნურად გამოერთოს შუტი. არა, ბატონებო! ესპანელები ტემპერამენტური ხალხია, მაგრამ არა — თაღლითი. ეს იდეა რომც მიანოლით, მერნუნეთ, ვერანაირად ვერ გააგებინებთ, რატომ უნდა ჩაიდინოს ეს.

ქართული საქმოსანი იქაურ მრეცხველის მწარმოებლებს შეთანხმება და გადაუნწყევტია, რომ პირველ ეტაპზე რამდენიმე ათასი მრეცხველი ჩამოეტანა და შედგათთან ფასად გაეყიდა. როცა ესპანელებს საქართველოს ელექტროობის ამბავი შეუტყვიათ, გული ასჩუყვიათ — პირველ პარტიას უსასყიდლოდ გაგატანთო. მეტიც, თუ თქვენი ხელისუფლება დასთანხმდება, საქართველოს დენითაც მოვამარაგებთო, უთქვამთ.

ეს აზრი კიდევ სხვა საქმოსანს გაგაცანით. მან უკეთესი გვითხრა, — გერმანიის მაგალითი აჯობებსო. თურმე დენის გამორთვისთანავე მრეცხველი უკან ტრიალის იწყებს (მინუტებში მიდის). დახარჯულ ენერგიას — ყოველ წუთში დაწერულზე ორჯერ მეტი აკლდება. ეს უფრო მომგებიანად გვეჩვენა, რადგან თუ ჩვენს პირობებს გაეთვალისწინებთ, გამოვა, რომ მრეცხველი სულ უკან იტრიალებს და ერთ თვეში თელასი თბილისელების მოვალე იქნება და იქით გადაუხდის ფულს, ანუ გერმანული მოდელის მრეცხველის დაყენება ხალხისთვის ყოველთვიური ანაზღაურების დანიშნის ტოლფასია. თუ უარი თქვას მრეცხველის დაყენებაზე, მაშინ აშკარა გახდება, რომ საქმე მავიასთან გვაქვს და არანაირი ელექტროკრიზისი არ არსებობს, მხოლოდ ნავთისა და ბენზინის გასაღება სურთ.

დავუშვათ, მრეცხველი დაგვაცენებინეს და გადახდაზე უარი თქვს. მაშინ ავდგეთ და, როგორც ახლა თელასი იქცევა, ჩვენც

## უხსოვლი ფიდეარისტებისა აყვავებული საქართველო...

ერთი იდეა მაქვს — ავ თვალს არ დანახებდა.

გულახდილად ვთქვამ, რამდენმა ჩვენგანმა ვიცოდით ათი-თუთმეტი წლის წინ, რა იყო ფიდერი? ძალიან ცოტამ (სპეციალისტებს არ გვულისხმობ). დღეს ყველამ ვიცით. ბულგაკოვის „ძაღლის გული“ გეხსოვებათ: 20-იანი წლების დასასრული, ანარქია ბოზოქორობს. პროფესორ პოლინოვსკის ბინაში შუტი უქრება და იგი გამძვინვარებული ილანძვლება: „ეს არის ამათი სახელმწიფო — თვე ისე არ გავა, რომ მთელი საათით არ ჩაგებნელიო“. როგორია? ცხრაჯერ წელს! მთელი საათი! ახლა რომელი წელია? სწორია. რამდენი ხანი გვაქვს შუტი დღე-ღამეში? არ არის სწორი — ორით კი არა, სამი საათით. სამაგიეროდ, ზემოთ ნახსენები ფიდერების უფროსი გვყავს ამეროვები. არ ივარგეს ჩვენმა „ფიდერისტებმა“ და რა ექნა მთავრობას?! შუტი არ გვაქვს, სამაგიეროდ, ვიცით, რა არის ფიდერი.

საბაჟო შემოსავლების საქმე ვერ არის კარგად: მილიონი ცოტა, მილიონ-ნახევარი უნდა იყოსო და მოიყვანეს ინგლისელები — აბა, თქვენ იცითო! იციან, აბა რა — ახლა ნახევარი მილიონი გვაქვს.

## ახალი პარტია და უნალოდ ღარიანი სხენები...

ესპანეთში დაბრუნების შემდეგ ერთმა საკმაოდ მოხერხებულმა ბიზნესმენმა მომგვითხრა საქმე შემოთავაზა.

ის იყო, მრეცხველების შემოტანა უნდა დაგვეწყო, რომ გავარკვეით, საგადასახადო სოლიდურ წილს ითხოვდა, მაგრამ ვერ გავარკვეით, რატომ. ამის გამო ბიზნესგეგმა შეჩერდა. მრეცხველების ექსპორტისთვის ახლა მხოლოდ საზოგადოების ფართო ფენის მხარდაჭერაა საჭირო. სხვანაირად, საგადასახადო წინააღმდეგობა ის ყაჩაღის როლში გვევლინება არა მარტო ამ საქმეში. თუ არ გვერათ, ყველაფერს ახლავ დაგვიტყვიან:

აბაშის რაიონის მკვიდრმა ნოდარ ადამაიამ პურის ფულის საშოვნელად შინ, საკუთარ ეზოში, ცხენის ნალების გამოჭედა დაიწყო. კვირაში რვა ცალს ვჭრი — მითხრა მან. ცალს ლარად ვყიდი. ზოგჯერ ნისიადაც ვატან, ზოგჯერ კი, წყვილს ერთ კილო პურის ფუტეში ვცვლი.

მოგესტენებათ, რა ძნელი ნაღის დამზადება და ისიც კუსტარულად. თურმე, ხველებისას ნოდარი შავ კვამლს უშვებს, ხელები სულ დაწმენილი აქვს და ა.შ. მოკლედ, ლუგმაპურისთვის ჯანმრთელობა სერიოზულად უზიანდება და არც არავინ ზრუნავს მასზე. თუმცა, კეთილისმსურველს რა დაღვეს, საქმეში საგადასახადო ჩაერიო და კანონის ძალით, თვეში ასი ლარის გადახდა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გადასახადის დამალვისათვის დაგაპატიმრებო!

გლეხკაცი სენაკში ფულის სასესხებლად ფხვით წასულა, რადგან ტრანსპორტისთვის გროში არ ჰქონია. იქ სამი ნათესავი ოჯახისგან 100 ლარი მოუტრება და საგადასახადო დაუკმაყოფილებია, ბიუჯეტი შეუვსია.

ამ მაგალითით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აბაშის საგადასახადო გადასახადებს კეთილსინდისიერად იღებს და ბიუჯეტსაც ავსებს. მოკლედ, საქმე წინ მიდის.

ახლა ნოდარ ადამაია განმარტებას ითხოვს, — ეკუთვნის თუ არა გადასახადი ამ შემთხვევაში თუ კორუფციას ვებრძვით ამ საქმეზე ვფიქრობთ, გამოძიების დაწყება შეიძლება. საგადასახადო სამსახურმა აბაშის მკვიდრი ისე შეაწუხა, რომ პურის ფულის შოვნაზე უარი თქვა და ახლა ოჯახის წევრებს ისევ მჭადით კვებავენ.

P.S. პატივცემულო მკითხველო! აი, ხომ ხედავთ, ჩვენი გადაწყვეტილებები იქმნე მოდერნი, რომ ცხენებს უნალოდ დაათხოვარიკებენ, ხალხს სამართლიანი მრეცხველის დაყენებას არ აცლიან და ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება ცოტა ხანში ჩვენც გავგზადონ ფესსაცმელები. ამიტომ, ეს რომ არ მოხდეს, პრეზიდენტობის კანდიდატებს ვთხოვთ, იზრუნონ დენზე, ცხენსა და სამართლიან გადასახადზე. თორემ თუ სხვანაირად წავა საქმე, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოვა პარტია „სამართლიანი მრეცხველი“ და არც არასოდეს გამოვა მოდიდან.

თამაზ საბეიშვილი



**გასულ პარასკევს „კვირის პალიტრაში“ შეძლო შევლნია არლუნის ხეობის იმ მონაკვეთში, სადაც რუსი მე-საზღვრეები არიან გამაგრებული.**

თუმცა ყველაფერი რამდენიმე დღით ადრე დაიწყო, როდესაც რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის თანაშემწემ იასტრჟემსკიმ ოფიციალური თხოვნა გამოუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას რუსი ჟურნალისტების ჩვენს ქვეყანაში სტუმრობის ნებართვის შესახებ. რუს ჟურნალისტებს უნდა შეეფასებინათ ჩეჩნეთის ომი და გაერკვიათ მთავარი საკითხი — ემბარგოები თუ არა ქართველები ჩეჩენებს და ხომ არ არის განლაგებული პანკისის ხეობაში ჩეჩენი მებრძოლების ბაზები.

თავდაპირველად რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიების „ინსპექცია“ არანაკლებ 16 რუს ჟურნალისტს უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მათი რიცხვი მხოლოდ რუსეთის ოფიციალური სატელევიზიო არხებით — OPT-ით და PTP-ით შემოიფარგლა. ოპოზიციური HTB-ს საქართველოში გამოგზავნაზე თავად რუსეთის ხელისუფლებამ შეიკავა თავი.

ოფიციალურმა თბილისმა პრინციპში არაფერი დაუმალა რუს ჟურნალისტებს და მათ ხელი შეუწყო, მოენახულებინათ როგორც პანკისის ხეობა და იქ თავშეფარებული ჩეჩენი ლტოლვილები, ისე საზღვრის მონაკვეთი შატილთან.

პანკისის ხეობაში რუსი ჟურნალისტები, განსაკუთრებით კი OPT, „ჩეჩენი ბოევიკების“ კვალს გაჟაჭიციდნენ. ჯგუფებამ თავშეყრილ, ვადეოკამერების ობიექტივებში მოშორალ მტერივალ ქალებსა და ბავშვებს შორის, ალაგ-ალაგ მართლაც „გაიღვებდნენ“ სრულიად სალ-სალამათი ახალგაზრდა ჩეჩენები.

მაგრამ მათი „ბოევიკებად“ მოხსენიება ცოტა ძნელია, რადგან მებრძოლი ჩეჩენები თავის სამშობლოში დარჩნენ და ახლაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ეომებიან რუსეთის ფედერალურ ძალებს.

ვერც დუისში და ვერც ჯოყოლაში რუსმა ჟურნალისტებმა ჩეჩენების საბრძოლო ბანაკები ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ჩვენ, ქართველებმა, მაინც ხომ ვიცით, რომ პანკისის ხეობაში მდგომარეობა არცთუ სასარბილოა. ბანაკები არა, მაგრამ დღე არ გავა, რომ ახლომდებარე სოფლებიდან მსხვილფეხა პირუტყვი არ დაიკარგოს. ქართული სოფლის, მატანის მცხოვრებლებმა ერთი-ორჯერ კი დააბრუნებინეს საქონელი დუისიდან, მაგრამ ვინ გამოირცხავს, რომ ხვალ ასეთი შელაპარაკებები შეიარაღებულ შეტაკებაში არ გადაიზრდება? მით უმეტეს, რომ ბოლო დღეებში რამდენჯერმე „ავანსცენაზე“



ეს კი მაშინ, როდესაც საქართველოს საკუთარი არანაკლებ 300 ათასი იძულებით გადაადგილებული ჰყავს, როგორც ცხინვალის რეგიონიდან, ისე აფხ-

ზეთიდან. არადა, შეიძლება არც იყოს ამის გახსენება მთლად ლამაზი, მაგრამ ისიც ხომ სინამდვილეა, რომ პანკისის ხეობაში თავშეფარებული ზოგიერთი მანდილოსნის შეილებმა და ქმრებმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს აფხაზეთიდან ქართველების გამოქვეყნებაში.

ერთ-ერთი ყველაზე რეალური გამოსავალი ის არის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პანკისის ხეობაში თავშეფარებულ ლტოლვილებს ზაფხულისთვის საშუალება მისცეს კომფორტაბელურად, ავტოზუსებით, ყაზბეგის გავლით (და არა ისევე ხეობებიდან, რადგან მათი უმრავლესობა რუსებმა შაერიდან, დისტანციური მეთოდით დანაღმეს) ჩეჩნეთში დაბრუნდნენ.

მისასალმებელია ამგვარი ტოლერანტობის გამოჩენა, მაგრამ როდესაც არც ერთმორწმუნე აზერბაიჯანი და არც თურქეთი ჩეჩენი ლტოლვილებს მიღებაზე თანხმობას არ აცხადებენ, საქართველო „ცოტა“ უხერხულ პოზიციაში დგება.

მაშინ, როდესაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან (თბილისიდან, თელავიდან და სხვ.) ფულს დახარბებული მაკულერები პანკისის ხეობას ატალახებენ და ჩეჩენ ლტოლვილებს სახლების შექმნის საუკეთესო ვარიანტებს სთავაზობენ, ინგუშეთის პრეზიდენტი აუშვეი გამოსცემს ერთ ჩვენთვის საინტერესო ბრძანებას — 2004 წლის 1 იანვრამდე ინგუშეთის არც ერთ არამკვიდრს ინგუშეთის ტერიტორიაზე არ

მიეყიდება ერთი გოჯი მინაც კი, არათუ სახლი.

ე.ი. რა გამოდის? ჩეჩნების მონათესავე ერს სულაც არ სურს, რომ ჩეჩენი ლტოლვილები ინგუშეთში სამუდამოდ დასახლდნენ.

აქ კიდევ ერთი საშიშროებაც იმალება, რომელიც „კვირის პალიტრას“ ადრეც აღუნიშნავს — თოვლის დადნობის შემდეგ შეიძლება ჩეჩენი მებრძოლების ზოგიერთმა მცირე ჯგუფმა თავის შეფარება ჩვენს ტერიტორიაზეც მოინდომოს, რისთვისაც პანკისის ხეობა საუკეთესო ადგილი იქნება, რადგან მძიმე ბრძოლებამოვლილი ჩეჩნების წინაშე დუისსა და ჯოყოლაში თავშეფარებული, ომს გამოირდებული ახალგაზრდობა ყოველთვის მორჩილებას გამოიჩენს და მათ ყველა ბრძანებას უსიტყვოდ შეასრულებს.

ეს რაც შეეხებოდა პანკისის ხეობას. შატილში რუს ჟურნალისტებს თანამემამულე მესაზღვრეების ნახვა ეწადათ. რუსი მესაზღვრეების მოთხოვნით მათ მხარეს მხოლოდ რუსი ჟურნალისტები გადავიდნენ, იმ მოსაზრებით, რომ ქართველ ჟურნალისტებს არ ჰქონდათ სპეციალური აკრედიტაცია, რომელსაც რუსეთის ფედერალური ძალების პრესცენტრი გასცემს ჩეჩნეთში მოღვაწე ჟურნალისტებისთვის.

ასეა თუ ისე, „კვირის პალიტრა“ მაინც შეაღ-

## სად მთავრდება



ნია არლუნის ხეობის იმ მონაკვეთში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ჩვენს ტერიტორიას.

რუს მესაზღვრეებს სათვალთვლო პოსტები აქვთ მოწყობილი ხეობის მაღლობებზე. სხვათა შორის, ერთ-ერთი ასეთი მაღლობიდან რამდენიმე თვის წინ მართვად ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა „ფაგოტიც“ კი იქნა გამოსროლილი ქართველი მესაზღვრეების პოსტის მიმართულებით. რაკეტა ორ კარავს შორის დაეცა და მისი ქოხინის კუმულირებული ჭკვლი ძირითადად მიწაში „წავიდა“, თუმცა ხუთი ქართველი მესაზღვრე მაინც დაიჭრა.

ნეიტრალური ტერიტორია მანქანების სასაფლაოდაა ქცეული. ამ სატვირთო მანქანებითა და ავტობუსით ჩეჩენი ლტოლვილები გადმოდიოდნენ. მას შემდეგ ეს ტრანსპორტი მდ. არ-

## არსენალი

ულრმეს მადლობას მოგასხენებთ ჩემს შეკითხვაზე, გერმანელების შეწყვილებული თვითმფრინავების შესახებ, ასეთი ამომწურავი პასუხის გაცემისათვის.

ახლა უფრო გავთამამდი და კიდევ განუხებთ ომისდროინდელ საკითხზე. 1945 წელს მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე გერმანელებს ჰქონდათ საკმაოდ ეფექტური ტანკსაწინააღმდეგო იარაღი, თუ არ ვცდები, მას „ფაუსტპატრონა“ ერქვა, რომელსაც შემდეგ ჩვენც ვიყენებდით უკვე ფაშისტების წინააღმდეგ. საინტერესო ის არის, რომ ამ იარაღის გასროლისას არავითარი კუთვნილება არ იგრძნობოდა, მაშინ, როცა ჩვენს ტანკსაწინააღმდეგო იარაღს (ПТРК-ს და ПТРД) საშინელი დარტყმა ჰქონდა.

გთხოვთ მოგვითხროთ ამ იარაღის შესახებ, კერძოდ, რით აიხსნება „ფაუსტპატრონის“ ასეთი სიმსუბუქე გასროლისას. ხომ არაფერი აქვს საერთო აღნიშნულ იარაღს თანამედროვე „მუხასთან“?

გიორგი ბლუაშვილი

ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. 12.

## „ფაუსტპატრონები“ სტალინის ბანაკს აუთიქვდნენ, შევარდნაის ლიეზონს კი პერაფერი უყვს!

ჩვენი მხრიდან ულრმეს მადლობას მოვახსენებთ, როგორც ბატონ გიორგი ბლუაშვილს, ისე სხვა ჩვენს ერთგულ მკითხველებს, რომლებიც არ იზარებენ და წერილებით გვცხმიანებიან.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ კითხვას, „ფაუსტპატრონების“ შესახებ ზოგი რამ უნდა გავიხსენოთ.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის გერმანელმა ინჟინრებმა და კონსტრუქტორებმა მართლაც რომ გასაოცარ წარმატებებს მიაღწიეს. 1944-45 წლებისთვის გერმანელების საკონსტრუქტორო ბიუროებში შეიქმნა ისეთი სახეობისა და ტიპის იარაღის ნიმუშები, რომლებსაც იმდროინდელ მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნდა. მათ შორის იყო პირველი რეაქტიული თვითმფრინავები, ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტები, ტანკსაწინააღმდეგო კუმულირებული ჭურვები, მართვადი საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულმა მოკავშირეებმა — საბჭოთა კავშირმა, აშშ-მა, ინგლისმა, საფრანგეთმა და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ ძირითადად სწორედ დამარცხებული გერმანიიდან „წამოიღეს“ შემოსენებული იარაღის ნიმუშები და შედგენ მათი გამოყენებით დახვეწეს თავიანთი ტექნიკა. ფაქტობრივად, ყველა იმ იარაღისა თუ საბრძოლო ტექნიკის სხვადასხვა სახეობა, რომლებიც „ცივი ომის“ პერიოდში შესახელმწიფოები ერთმანეთს ემუქრებოდნენ, სათავეს ფაშისტური გერმანიიდან იღებდა.

ასე იყო ტანკსაწინააღმდეგო კუმულირებული ჭურვების შემთხვევაშიც.

ვერ კიდევ 60-იან წლებში ვიეტნამის ჯუნ-

გლებში ამერიკელები ერთჯერადი ყუმბარსატყორცნიებიდან — M72-ებიდან ანადგურებდნენ დანაღობრივ პარტიზანებს, მოგვიანებით, ათიოდე წლის შემდეგ, უკვე საბჭოთა არმია არ იშურებდა ანალოგიურ ნებს РПГ-18 „Муха“-ებს ავღანელი მოჯაჰედების წინააღმდეგ, ხოლო სულ ახლახან, ორიოდ წლის წინ, ერთჯერადი ყუმბარსატყორცნების РПГ-26 „АНГЛ-ЕНБ“-ების ძალა თავად საქართველოს პრეზიდენტის შეჯავშნულმა ლიეზონმაიც „იგება“. თუმცა, საბედნიეროდ, უშედეგოდ — გერმანულმა „მერსედესმა“ გაუძლო საბჭოთა კუმულირებულ ჭკვლს!

ყველა ზემოხსენებული ერთჯერადი ყუმბარსატყორცნის ძირითადი წინაპარი კი სწორედ გერმანული დინამო — რეაქტიული მოწყობილობა "Panzerfaust" F1 იყო.

„პანცერფაუსტი“ ერთჯერადი გამოყენების ყუმბარსატყორცნი იყო და გასროლის შემდეგ უფარგის ხდებოდა. მეორეებში მას სხვა სახეური „ფაუსტპატრონა“ დაუმკვიდრდა. მიღწევი ერთი მხრიდან გასასროლი ჭურვი თავსდებოდა. გასროლისას მილის ღია ბოლოდან დენთის წვის შედეგად გამოყოფილი ნარჩენები გამოიტყორცნებოდა, რომელიც აბალანსებდა რეაქტიულ მომენტს. ამიტომაც ყუმბარსატყორცნის მსროლელი გასროლისას ვერავითარ უკუ-

დარტყმას ვერ გრძნობდა. თუმცა მსროლელის უკან არავინ არ უნდა მდგარიყო, რადგან „ფაუსტპატრონა“ მაღალი ტემპერატურის, 1,5-4 მ-ის სიგრძის ცეცხლის ალს გამოტყორცნიდა და უკან მდგომს აუცილებლად დაწვავდა.

სულ გერმანელებმა ოთხი სახეობის — F1, F2, F3 და F4 — „ფაუსტპატრონა“ შექმნეს, რომლებიც ერთმანეთისგან ძირითადად სროლის მანძილით განსხვავდებოდნენ. იგი 30-დან 100 მ-დე მერყეობდა, რაც არცთუ ისე დიდ მანძილად ითვლებოდა.

„ფაუსტპატრონას“ სწორი კუთხით მოხვედრის შემთხვევაში 140-200 მმ სისქის ჯავშნის გახვრეტა შეეძლო. ეს კი „ფაუსტპატრონას“ ძალზე ეფექტურ იარაღად აქცევდა, რადგან იმდროინდელი ძირითადი საბჭოთა ტანკების T-34-ის კორპუსის შუბლის ჯავშანი 45 მმ-ს არ აღემატებოდა და მხოლოდ მძიმე ტანკს „Иосиф Сталин“ ИС-2-ს ჰქონდა 120 მმ სისქის ჯავშანი.

მკითხველი თავადაც მიხვდება, რომ ბერ-



გერმანული „ფაუსტპატრონა“ და...



ლინის ოპერაციის დროს, როდესაც „დიდმა მხედართმთავარმა“ ჟუკოვმა გერმანიის დედაქალაქში ათასობით T-34 „შეყრა“, მათ რა დღე დაადგებოდათ (ფაქტობრივად, გრაიოვმა 1995 წელს გროზნოს იერიშის დროს გაიმეორა იგივე შეცდომა, რაც ნახევარი საუკუნის წინ, 1945 წლის გაზაფხულზე, ჟუკოვმა ბერლინის ალბის დროს დაუშვა!)

გერმანელები კი ბერლინზე საბჭოთა ტანკების შეტევას უკვე მომზადებული შეხვდნენ: მათ 1943 წელს 8.000 ცალი „ფაუსტპატრონა“ გამოუშვეს, ხოლო 1944 წლის დეკემბერში უკვე

დუნის ხეობაში ჩარჩა. მოგვიანებით აქ შევეულ-მფრენებიდან გადმოსხმულმა რუსმა მე-საზღვრეებმა ისინი დაცხრილეს. იგივე ბედი ეწია მდებარე მდგომ უახლესი მარკის „მერსედესსაც“, რომელიც რუხი მთების გაუგებარ დანამატს წარმოადგენს. თავის დროზე, მიუხედავად შეთავაზებული ქრთამისა, მისი პატრონი ჩეჩენი ქართველმა მესაზღვრეებმა მანქანით არ გამოატარეს ჩვენს ტერიტორიაზე, მანაც ხელი ჩაიქნია, საუცხოო „მერსედესი“ მიატოვა და თავად მოსკოვში წავიდა. ამ გამოუყენებელი უპატრონო „სიმდიდრის“ დანახავზე რუსმა სამხედროებმა თავიანთი რეაქცია ასე გამოხატეს — ავტომატების ჯერი „მერსედესზე“ მიუშვეს.

ქართველ მესაზღვრეებს მიტოვებულ ქართულ სოფელში, ანატორში აქვთ მოწყობილი საგუმბაგები. ამ სოფლის მოსახლეობა გასულ საუკუნეებში ეპიდემიამ ამოწყვიტა. სიკვდილის წინ სოფლის მცხოვრებლები თურმე თავისი ფეხით შედიოდნენ ავლდამებში. XX საუკუნის 30-იან წლებში ეს ავლდამები გახსნეს, რამაც მეცნიერთა ჯანმრთელობაზე არცთუ დადებითად იმოქმედა. იმედია, ჩვენს მესაზღვრეებს ამ მხრივ არაფერი ემუქრებათ. ისე კი გასულმა სუსხიანმა ზამთარმა თოვლსა და ქარში (არადა ქარი ამ ხეობაში განუწყვეტლივ ქრის) მდგარ ქართველ მესაზღვრეებს გარკვეული „კვალი“ დააჩნია და არანაკლებ 30-მდე ახალგაზრდა ჯარისკ-

აცს მკურნალობა დასჭირდა. მესაზღვრეების მეთაურებს განზრახული აქვთ გაზაფხულის დადგომისთანავე დაიწყონ სტაციონარული საგუმბაგოების მშენებლობა, რაც ბევრად შეუმსუბუქებს საბრძოლო სამსახურს ჯარისკაცებს.

ქართველ და რუს მესაზღვრეებს ახლა ერთმანეთთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა აქვთ, მათ პოსტებს ტელეფონის ხაზი აკავშირებს, რაც საშუალებას იძლევა, ყოველგვარი გაუგებრობა მოლაპარაკებით მოავარონ. რუსი მესაზღვრეების ტყეში ყოველმხრივ ცდილობდნენ დაეცდინებინათ თანამემამულე მესაზღვრეებისათვის, რომ თითქმის ჩეჩენები შატილის გავლით მომავდებიან იარაღითა და ტყვია-წამლით. მიუხედავად ზეწოლისა, რუსმა მესაზღვრე პოლკოვნიკმა კატეგორიულად უარყო ასეთი ფაქტების არსებობა.

და კიდევ ერთი, როგორც კი რუსებმა სამიოდე თვის წინ არლუნის ხეობას შემოუტყეს, ჩეჩნებმა სასწრაფოდ გააგრძელეს გზის გაჭრა საქართველოს საზღვრამდე, რადგან თავიდანვე ხვდებოდნენ — მათ ქალებსა და ბავშვებს მხოლოდ ამ გზით შეეძლოთ სამშვიდობო გასვლა. იმ ჯოჯოხეთურ უღელტეხილის გზასთან შედარებით, რომელიც კოდორის ხეობიდან აფხაზეთიდან ლტოლვილებმა გამოიარეს, ეს გზა გაცილებით ადვილი გადასალახავი იყო.

პანკისის ხეობა — არლუნის ხეობა

1,3 მილიონი ამ ტიპის ერთჯერადი ყუმბარსატყორცნი აწარმოეს. სულ გერმანელებმა 6,4 მილიონი(!) „ფაუსტპატრონა“ მიანოდეს ვერმახტს.

„ფაუსტპატრონის“ ათვისება ძალზე იოლი იყო, იგი სულ 3,5-5,35 კგ-ს იწონიდა (სხვადასხვა მოდიფიკაციის მიხედვით), ამიტომაც მისი სროლა მოზარდებსაც შეეძლოთ. 1945 წლის 26 იანვარს პიტლერმა გამოსცა სპეციალური ბრძანება „ტანკაგანადაგურებელი დივიზიონების“ შექმნის შესახებ, რომლებშიც ძირითად როლს ველოსიპედისტების ასულები ითამაშებდნენ. სად ტანკი და სად ველოსიპედი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის ველოსიპედისტები სწორედ „ფაუსტპატრონებით“ იყვნენ შეიარაღებული.

„ფაუსტპატრონები“ დაურიგდათ „ფოლკსშტურმისა“ და „ჰიტლერიუგენდის“ „მებრძოლებს“, რომლებიც სინამდვილეში სკოლის ასაკის, 9-14 წლის ბიჭუნები იყვნენ.

ბერლინის ქუჩებში მიმდინარე ბრძოლები-სას საბჭოთა T-34-ის წინ მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ პატარა ბიჭები, რომლებსაც, ბუნებრივია, ჯარისკაცები ვერ გაიმეტებდნენ მოსაკლავად, სამაგიეროდ, ეს პატარები „დააბრბობდნენ“ „ფაუსტპატრონას“ და კიდევ ერთი საბჭოთა ტანკი ცეცხლის ალში გახვეოდა.

საბჭოთა სამხედრო მეთაურებმა მავტომატების საგანგებო ჯგუფები გამოჰყო, რომლებიც ქალაქის ქუჩებში ტანკებს წინ მიუძღოდნენ „ფაუსტპატრონიანი“ მოწინააღმდეგის გასანადგურებლად (დაახლოებით ანალოგიური სიტუაციები ჩეჩნეთის ომშიც განმეორდა. რუსების ჯავშანტექნიკის კოლონები ჩეჩნების დასახლებული პუნქტების გავლისას თავდაპირველად ყურადღებას არ აქცევდნენ შარაგზაზე მიმავალ მოზარდებს. ეს უკანასკნელნი კი კოლონის მიახლოებისთანავე გადმოიღებდნენ შენიღბულ ყუმბარსატყორცნებს და აფეთქებდნენ რუსულ ჯავშანმანქანებს).

ბერლინის ბრძოლების დროს საბჭოთა მეომრებმაც ჩაიდეს ხელში „ფაუსტპატრონები“ (მათ რიგში, ეტყობა, ბ-ნ გიორგიც იყო) და დიდი „სიამოვნებით“ იყენებდნენ გერმანელების წინააღმდეგ. გენერალ-პოლკოვნიკმა ჩუიკოვმა სტალინს ისიც კი შესთავაზა, რომ ნაღავალი „ფაუსტპატრონებისთვის“ სახელიც შეეცვალათ და „ივანპატრონები“ ეწოდებინათ.

ინგლისელმა სამხედრო ექსპერტმა „ფაუსტპატრონები“ საუკეთესო ხელის ტანკსაწინააღმდეგო იარაღად მიიჩნიეს მათ შორის, რაც გამოყენებული იყო მეორე მსოფლიო ომის დროს.

გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა



## ლენინგრადში

1960 წლის ივნისში გაქურდეს ლენინგრადის ერთ-ერთი საიუველირო მაღაზია. ქალაქის მთელი მილიცია ფეხზე დადგა, მაგრამ ქურდების პოვნა ვერცხვით მოხერხდა. სექტემბრის ბოლოს გაიქურდა ლენინგრადის გარეუბანში მდებარე საკომისიო მაღაზია. ნოემბერში — კიდევ ერთი, ბენეფიციის მაღაზია. სამართალდამცავები ცოფებს ყრიდნენ, რადგან დამნაშავეები მუდამ ახერხებდნენ უკვალოდ გაუჩინარებას. ცხადი იყო, რომ ნევისპირა ქალაქში გამოჩნდა მაღალკვალიფიციურებული ქურდთა ახალი ბანდა, რომელიც კარგად დამუშავებული სცენარის მიხედვით მოქმედებდა: წინასწარ ქირაობდნენ მიზანში ამოღებული ობიექტების თავზე, მეორე სართულზე განლაგებულ ბინებს, შემდეგ იქიდან ამტვრევდნენ მაღაზიის ჭერს, პირწმინდად ასუფთავებდნენ დახლებსა თუ სეიფებს და იმავე გზით ტოვებდნენ იქაურობას.

თავდაპირველად, მილიცია ცდილობდა დაედგინა ის პირები, რომლებიც უშუალოდ ქირაობდნენ ბინებს. მაკლერებისა თუ თავად ბინის პატრონთა დაკითხვებმა შედეგი არ გამოიღო. აღმოჩნდა, რომ ყოველ ჯერზე სახლს სხვადასხვა ადამიანი ქირაობდა. ერთხელ — ჩვილბავშვიანი ახალგაზრდა ქალი, მეორედ — შუახნის მამაკაცი, მესამედ — ხანში შესული ცოლ-ქმარი. ამასთან, ყოველი მათგანი ბინის პატრონს აუწყებდა, რომ რაღაც მიზეზთა გამო არ გააჩნდა პასპორტი. სამაგიეროდ, გამქირავებულს ორმაგ თანხას უხდიდა და მაღაზიის ზემოთ მდებარე ბინის დროებითი მფლობელიც ხდებოდა. მაქებრებმა სასწრაფოდ დაამზადეს ამ პირთა ფოტორობოტები, თუმცა საქმე ამაზე წინ აღარ წასულა.

ქურდები უაღრესად ფრთხილად და მოხერხებულად მოქმედებდნენ. მათ მიერ ნაქირავებ ოთახებსა და გაქურდულ მაღაზიებში გამომძიებლებმა ვერც ერთი თითის ანაბეჭდი ან სხვა კვალი ვერ აღმოაჩინეს. მილიცია საგონებელში ჩააგდო ერთმა ასეთმა გარემოებამაც: გამძირველ მაღაზიებში ჩამოგრესული ჭერის ნამსხვრევები მუდამ ერთ გროვად ეყარა — თითქოს, მას შემდეგ, რაც იატაკს ჩამატვრევდნენ და მაღაზიაში ჩაეშვებოდნენ, ბოროტმოქმედები ფიცრებისა თუ ბეტონის გაბნეულ ნამტვრევებს ცოცხით გვიდნენ და ერთ კუთხეში აქუჩებდნენ... მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ აეხსა ფარდა ამ ყოველივეს — ხმაური რომ არ გამოეწვიათ, ბინაში მყოფი ქურდები იატაკში ჯერ ვინორ ხვრელს აკეთებდნენ და ამ ხვრელში კრძელ თოკზე გამოზმულ დაკეცილ ქოლგას აძვრდნენ. შემდეგ ქოლგას შლიდნენ და ნახვრეტის გაფართოებას იწყებდნენ. ჩამოტვრეული ჭერის ნამსხვრევები გამოიღო ქოლგაში ცვიოდა და არანაირი ხმაურიც აღარ იყო. ამის შემდეგ ქოლგას თოვით ძირს უშვებდნენ, თავადაც ქვემოთ ძვრებოდნენ, ნამტვრევებს იქვე, იატაკზე ახვავებდნენ, ქოლგასაც ისევ კეცავდნენ და მორიგი ოპერაციისთვის ინახავდნენ (მოგვიანებით ანალოგიურ ხერხს არაერთი ცნობილი დამნაშავე იყენებდა. სწორედ ქოლგის საშუალებით გაიქურდა 1970-იან წლებში ერევნის ცენტრალური ბანკიც, საიდანაც სომეხმა ბოროტმოქმედებმა მილიონობით მანეთი წაიღეს).

ლენინგრადის სისხლის სამართლის სამძებროს იმედ ჰქონდა, რომ მოპარული ნივთები ადრე თუ გვიან სადმე გამოჩნდებოდა. მაქებრებმა შეადგინეს დაკარგული ოქროსა და ანტიკვარული ნივთების ნუსხა და მოსკოვისა და ლენინგრადის იუველიერებს, კბილის ექიმებსა თუ კოლექციონერებს გადასცეს, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, ძვირფასეულობა კი არსად ჩანდა.

შედეგი არც ლენინგრადის „შავი სამყაროს“ წარმომადგენელთა შემოწმებამ და აგენტურული სამუშაოების ჩატარებამ მოიტანა. ბანდის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მაღაზიის ქურდები თითქოს მინამ ჩაყლაპა. მაშინ მილიციაში გადამწყვიტეს, ემბაკობისთვის მიემართათ.

ამოირჩიეს ნევისპირა ქალაქში მდებარე რამდენიმე საიუველირო და ანტიკვარული მაღაზია და მათ ზემოთ განლაგებული ბინების მფლობელებთან შეთანხმებით, ამ ბინებისავე ვითომდაც გაქირავებას შეუდგნენ. ოპერაციებს აწარმოებდნენ მილიციასთან „შეკრული“ პროფესიონალი მაკლერები, რომლებიც საქონელს მეტად მაღალ ფასს ადებდნენ. ერთი კვირის განმავლობაში მათ აღნიშნულ ბინათა ქირაობის ასამდე მსურველი იპოვეს და სამართალდამცავებმაც საგულდაგულოდ შეამოწმეს თითოეული მათგანი, მაგრამ ისევ უშედეგოდ. არც ერთი კლიენტს არ იყო მამხრე რაიმე დანაშაული შემჩნეული და არც ერთი მათგანის გარეგნობა არ ემთხვეოდა ფოტორობოტზე აღებჭილ პირთა პორტრეტებს.

მიწურა 1960 წელი, გაიცა 1961-იც. ქურდთა დადგენა კვლავ ვერაფრით ხერხდებოდა. მილიციას საბოლოოდ გადაეწურა ყველა იმედი.

## მოსკოვში

1962 წლის 16 იანვარს მოსკოვში გაქურდეს ცნობილი ფილატელისტის, ლინბერის საცხოვრებელი ბინა. დამნაშავეებმა წაიღეს ერთადერთი რამ, კოლექციონერის სიაშიც — უქველესი მარკებით სავსე მცირე ზომის ალბომი, რომელიც უცხოეთში 1,8 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

ქურდები ბინაში შუადღისას შეპარულიყვნენ, როცა იქ არავინ იმყოფებოდა. შემთხვევის ადგილზე გამოცხადებულ მილიციასაც და თავად სახლის პატრონსაც კარგა ხანს ვერაფრით გაეგოთ, თუ საიდან შემოადნეს ქურდებმა. მეექვსე სართულზე მდებარე

ბინის ფანჯრები შიგნიდან იყო ჩარაზული. კარს რამდენიმე, საიმედოდ ჩაკეტილი კლიტე იცავდა, რომელიც შინ მისულ ლინბერს ჩაკეტილივე დახვდა. ნუთუ, ბოროტმოქმედებმა თითოეულ კლიტეს მოარგეს გასაღები და წასვლისას ისევ ჩაკეტეს ყველა? ეს არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა... უცებ, ფილატელისტმა სააბაზანოს კუთხეში მიყრილ რაღაც ნამსხვრევებს მოჰკრა თვალი. ეს ნაგავი მისი დაყრილი არ იყო. ზემოთ აიხედა და უნიტაზის თავზე, ჭერში, ნახევარ მეტრამდე დამეტრის ხვრელი შეინშნა...

მილიციაში მაშინვე გაისხნეს მსგავსი ხერხი (ლინბერის სახლშიც მეორე სართულზე ნაქირავები ბინიდან ჩავიდნენ) ლენინგრადში გაქურდული მაღაზიები და ვერსიაც კი ჩამოაყალიბეს, ალბათ, ეს დანაშაულებიც მათი ჩადენილიაო. თუმცა ამ აღმოჩენის გარდა სამართალდამცავებმა მეტი ვერაფერი შეძლეს. ამოაგამოდგა როგორც თავად ქურდები, ასევე ე.წ. საქმის მიმცემთა ვინაობის დადგენის მცდელობა. ისევე, როგორც ნევისპირა ქალაქში, ბოროტმოქმედები ამჯერადაც თითქოს აორთქლდნენო — არავითარი ხელმოსაჭიდი, არავითარი კვალი. არც მოპარული მარკები უნახავს მას შემდეგ ვინმეს.

## კიევში

1964 წლის ბოლოს, კიევში ქურდების მანამდე უცნობი ბანდა გამოჩნდა. ზემოთ აღწერილი მეთოდით რამდენიმე მოქალაქის ბინის

# „ქართული ლიონკა პანტელევი“

„კეთილი სიტყვითა და ხელოვნებით გაცილებით მეტს მიაღწევ, ვიდრე მხოლოდ კეთილი სიტყვით“  
— ა. კაპონი

გაქურდვის შემდეგ დამნაშავეთა კვალი თითქმის ერთი წლით დაიკარგა.

1965 წლის ნოემბერში კიეველმა სამართალდამცავებმა დააკავეს უცხოური წარმოების ტანსაცმლის გადამყიდველი, ე.წ. სპეკულანტი, რომელმაც დაკითხვისას განაცხადა, რომ რამდენიმე თვის წინ, მას მიმართა უცნობმა ქართველმა, მეტსახელად „კაპონიმ“ და ოთხი ძვირფასი ბუნების ქურქი მეტად იაფად შესთავაზა. სპეკულანტს უყვიადა ეს ქურქები, შემდეგ კი სამაგ ფასად გაუსაღებია. მილიციაში სასწრაფოდ დაადგინა ქურქების იმპაინდელი მფლობელების ვინაობა და თან საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შევითხვა-დღეებში დაფიქრებინა: „უკანასკნელ პერიოდში ხომ არ დაფიქსირებულია საწყობების, მაღაზიების ან ბინების ქურდობა, რომლის დროსაც ბოროტმოქმედთა მიერ მოპარული იქნა ზეგნის ქურქები...“ და შემდეგ დანვრისლებით იყო აღწერილი ქურქების ხარისხი, ფასონი, ზომა, ფერი და ა.შ.

მაღე კიევში მოვიდა დღეებში, რომელიც იტყობინებოდა, რომ მსგავსი ქურქები ჯერჯერობით დაუდგენელმა დამნაშავეებმა ხუთი წლის წინ მოსკოვის ბენეფიციის მაღაზიიდან მოიპარეს. დაინიშნა ექსპერტიზა, რომელმაც დაადასტურა, რომ კიევში აღმოჩენილი ქურქები ერთ დროს მართლაც მოსკოვის ერთ-ერთი მაღაზიის კუთვნილება იყო.

მილიციაში დაიწყო „კაპონის“ ძებნა, თუმცა ამ ადამიანის პოვნის შანსი მეტისმეტად მცირე იყო — დაპატიმრებული სპეკულანტი ვერაფრით იხსენებდა „კაპონის“ სახელსა და გვარს. ამბობდა, საერთო ნაცნობებიც კი არ გვყავს და ვერც კი წარმომიდგენია, ამჟამად სად უნდა იყოს. კანონის დამცველებს მან მხოლოდ ქართველის გარეგნობა აღუწერა: დაახლოებით 50 წლის, საშუალო სიმაღლის, მკვერი აებულების, შავგერძანი, მოკლე წვერი, საუბრობს გამართული რუსულით. სპეციალურ კარტოთევაში სასწრაფოდ მოიძიეს საბჭოთა კავშირის კრიმინალური სამყაროში ცნობილი ყველა „კაპონი“. ასეთი 37 კაცი აღმოჩნდა, მაგრამ საშუალო სიმაღლისა და ასაკის კავკასიელი მათ შორის არ იყო.

## ოღესაში

გადის კიდევ ერთი თვე. ოღესის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლები აპატიმრებენ ქალაქში ცნობილ ვაჭარს, ვიქტორ კრუტოის. მისი ბინის ჩხრეკისას კანონის დამცველებმა კედელში ჩამოიტაყებულსა და ემ-მაკურად შენიღბულ სიფის მიაგნეს. სამალავი რომ გასხნეს, მრავლისმნახველ ვეტერან მილიციელებსაც კი სუნთქვა შეეკრათ — შიგ ათასობით ოქროს ბეჭედი, ბრილიანტის თვლები და სხვა თვალისმომჭრელი ძვირფასეულობანი ეწყო.

კრუტოი ძალიან მალე გაასამართლეს და დახვრეტეს, მანამდე კი, როგორც ჩანს, სათანადო ფიზიკური დამუშავების შედეგად, იატაკქვეშა მილიციურის ბევრი საინტერესო ინფორმაციაც დააფიქვინეს. დაკითხვების დროს კრუტოიმ არაერთხელ ასენა ვინმე „კაპონი“, წვეროსანი ქართველი კაცი, რომელსაც მასთან ხშირად მიჰქონდა ძვირფასი ნივთები და ჩაღის ფასად ჰყიდდა. მილიციერმა ვერ დაასახელა „კაპონის“ სახელი და გვარი, სამაგიეროდ, დანვრისლებით აღწერა იგი. მილიციაში ყურადღება გამახვილა — ცნობა ასეთი გარეგნობის „კაპონის“ შესახებ მათ ხომ ერთი თვის წინ კიევდან მიიღეს.

კრუტოის ცნობით, ქართველი მოსკოვის მკვიდრი უნდა ყოფილიყო და ოღესაში დაახ-

ლოებით ორ-სამ თვეში ერთხელ ჩამოდიოდა: „როცა აქ არის, მგონი, სადაღაც ორჯონიკიძის ქუჩაზე ცხოვრობს. ჩემთან ბინაში მუდამ ლამის საათებში მოდიოდა. მეტისმეტად ფრთხილი იყო, საქონელს კი ძალიან იაფად მაძლევდა. მე ეს მანყობდა და არასოდეს მიკითხავს, საიდან ჰქონდა ამდენი ძვირფასი ნივთი. უკანასკნელად თითქმის ერთი თვის წინ მესტუმრა.“

ერთი ხანობა, ოდესღესამ მილიციელებმა კრუტოის ბინაში ჩასაფრების მოწყობა გადაწყვიტეს — ეგებ, „კაპონი“ ხელში ჩავიგდოთო, მაგრამ მალე თავადვე უარყვეს ასეთი გეგმა. ოღესა პატარა ქალაქი იყო, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობდა. მილიციურის დაპატიმრების ამბავი ალბათ მთელ ოღესას პირზე ეკრა. სტუმრად ჩამოსულ „კაპონის“ აქ აუცილებლად ეყოლებოდა ადგილობრივი თანამზრახველი და კრუტოის ამბავს მისგან შეიტყობდა. ასე მსჯელობდნენ კანონის დამცველები, თუმცა ქართველის შეჭრობის იმედს მაინც არ კარგავდნენ.

ორჯონიკიძის ქუჩაზე შემოწმდა ყველა ბინა. რამდენიმე მათგანი მილიციელებს საეჭვოდ ეჩვენათ და ამ ბინის პატრონებიც დასაკითხად უშალ მიიწვიეს განყოფილებაში. გამომძიებლებს ერთადერთი კითხვა ჰქონდათ: „იცნობთ თუ არა 50-ოდე წლის ქართველ კაცს, მეტსახელად „კაპონის“, შავგერძანსა და წვერებიანს?“ ასეთს არავინ იცნობდა... გარდა ერთისა, მაგრამ ის ერთიც ამტკიცებდა, „კაპონი“



ყოველთვის გაპარსული დაიარებაო...

ოღესის მკვიდრის, გენადი ჩაიკას დაკითხვის ოქმიდან: „კითხვებზე გაიპასუხებთ, რომ მოქალაქე გალაქტიონ ცინცაძის, მეტსახელად „კაპონის“ ვიცნობ თითქმის 15 წელია, დაუმეგობრდით ქ. სოხუმში, 1951 თუ 1952 წელს. იქ მივლინებით მიწვევად ჩასვლა, მაშინ სოხუმში ცხოვრობდა და სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. ამჟამად ის მოსკოვში, „პრავდის“ ქუჩაზე ცხოვრობს და ოღესაში ხშირად ჩამოდის. როგორც თავადვე მითხრა, აქაური ჰავა უხდება. რა თქმა უნდა, მუდამ ჩემთან ჩერდება ხოლმე, სულ სამი-ოთხი დღით და მერე დედაქალაქში ბრუნდება.“

ჩაიკა ჯერ კიდევ იძლეოდა ჩვენებებს, როდესაც მილიციას „კაპონის“ მოსკოვის ბინის მისამართი უკვე დადგენილი ჰქონდა.

## „ქართველი ლიონკა პანტელევი“

გალაქტიონ ცინცაძის ასაყვანად დილის 8 საათზე მივიდნენ. ორი მილიციელი სახლის სადარბაზოსთან გაჩერდა, ორიც ე.წ. „შავ გასასვლელთან“, ხუთი ოპერმუშაკი კი 10-სართულიანი შენობის მესამე სართულზე ავიდა და ეჭვმიტანილის ბინის კართან ჩასაფრდა. დარჩეს ზარი. კარი არავინ გააღო. ისევ დარჩეს. შემდეგ მოწმის სახით მეოთხე სართულზე მცხოვრები ცოლ-ქმარი მოიწვიეს და ცინცაძის კარის შემტვრევას შეუდგნენ.

მოულოდნელად, ბინიდან გასროლის ხმა გაისმა. კართან მდგომ ერთ-ერთ მილიციელს ტყვია მუცელში მოხვდა. რამდენიმე წამის შემდეგ გასროლის ხმები უკვე შენობის წინ მდებარე ეზოს მხრიდან ისმოდა. ცინცაძე მესამე სართულის ფანჯრიდან გარეთ გადამხტარყო, მანქანას ამოფარებოდა და სადარბაზოსთან მდგომი მილიციელებისთვის ცეცხლი გაეხსნა. ურთიერთსროლის შედეგად დაიჭრა კიდევ ორი მილიციელი. „კაპონი“ მიმალა მოახერხა.

ერთ-ერთი დაჭრილი მილიციელის ჩვენებიდან: „ჩემი ყურადღება სადარბაზოს სიღრმისკენ იყო მიმართული, საიდანაც ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ტყვიის ხმა შემომესმა. სწორედ ამ დროს ჩემს ზურგს უკან მიმიმ საგნის დაცემის ხმა გავიგონე. მესამე სართულის ფანჯრები მინის ზედაპირიდან დაახლოებით 10-12 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობდა და არ ველოდი, თუ ეჭვმიტანილი ასეთი სიმაღლიდან გადმოხტებოდა. როდესაც მოვტრიალდი, 10-ოდე ნაბიჯში აღწერილობით ჩემთვის კარგად ცნობილი გალაქტიონ ცინცაძე დავინახე. წვერი გაპარსული ჰქონდა, თუმცა მაშინვე ვიცანი. მარჯვენა ხელში პისტოლეტი ეჭირა. სანამ იარაღს ამოვიღებდი, ოთხჯერ გაისროლა. მარჯვენა ბარძაყის არეში მწვავე ტკივილი ვიგრძენი და ძირს დავეცი.“

იმ დღეებში მოსკოვის მთელი მილიცია მობილიზებული იყო გალაქტიონ ცინცაძის დასაკავებლად. სამართალდამცავებმა ძებნილს „ქართველი ლიონკა პანტელევი“ (20-იანი წლების რუსეთის ცნობილი პანდოტი) შეარქვეს და მის მოსაძებნად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ. მოვლენები კი კალენდოსკოპური სისწრაფით ვითარდებოდა.

1966 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს, პისტოლეტით შეიარაღებული ცინცაძე დაესხა სამხედრო გენერალს, იგორ კოვტუნსა და მის მძღოლს. ორივე მსუბუქად დაჭრა. შემდეგ გენერალს ფორმა გახადა, მისავე მანქანაში ჩაჯდა და მიიშალა. ყველა აღშფოთებული იყო დამნაშავის თავხედობით, თუმცა მისი დაპატიმრება კვლავაც არ მოხერხდა.

7 მარტს, კორკის ქუჩაზე, ცინცაძე მილიციის პატრულმა იცნო. ორმა ახალგაზრდა ლეიტენანტმა ძებნილის დატყვევება მოინდომა. მოულოდნელად, ცინცა „კაპონის“ და ხელების გადაგრესა დაუწყეს, მაგრამ ძებნილმა იმარჯვა, გაოგნებული მოქალაქეების თვალწინ მონინალდგენი ძირს დასცა, სახლის სადარბაზოში შეიჭრა, უკანა გასასვლელით ეზოში გავიდა და მღევარს თავი დააღწია.

ცინცაძის ძებნას ართულებდა ის გარემოება, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, მილიცია ვერ შეძლო მასზე სათანადო ინფორმაციის მოპოვება. მეზობლებს ცინცაძე თითქმის არ ეკონტაქტებოდა, უმუშევარი იყო და თანამშრომლებიც არ ჰყავდა, ვერც ნათესავები და მეგობრები აღმოუჩინეს ძებნილს. შეკითხვით მიმართეს თბილისს, მაგრამ იქიდანაც მწირი პასუხი მოვიდა: „გალაქტიონ ვასილის ძე ცინცაძე. დაბადებული 1914 წელს სოხუმში. 1946 წელს დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1946-52 წლებში თბილისის, სოხუმისა და ქუთაისის საშუალო სკოლებში მუშაობდა მასწავლებლად. ცნობები მისი შემდეგში ადგილსამყოფელის შესახებ არ მოგვეპოვება.“ წერილს თან ახლდა ცინცაძის 14 წლის წინ სოხუმში გადაღებული ფოტოც, რომელიც მოსკოვის სამძებრო სწრაფად გაამრავლა და თავის თანამშრომლებს დაურიცა.

„ქართველი პანტელევი“ 28 აპრილის საღამოს „ტვერსკიაზე“ დააკავეს. გენერლის ფორმაში გამოპრანჭული და ორდენებით მკრდ-დამშვენებული ცინცაძე ამჟამად მიაბიჯებდა ქუჩაში, როდესაც მილიციის გამოძახებულმა ოპერატორმა რუზმმა იგი გაზიარა და „პეტროვკა-38“-ზე (ამ მისამართზე მდებარეობს მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებრო) მიაბრძანა.

## აღსარება

„... ვიზრდებოდი მარტედმარტო. მამა საერთოდ არ მახსოვს, დედა, თერთმეტი წლის რომ ვიყავი, მაშინ მომიკვდა. არც ნათესავი მყავდა და არც სხვა პატრონი. მეზობლებმა სკოლა-ინტერნატი მიმპარეს, ჩემი ბინა კი გაყიდეს და ფული ერთმანეთში გაინაწილეს — დედაშენს ჩვენი ვალი ჰქონდაო. შემდეგ ფოთისა და სოხუმის კორტეში მტვირთვად ვმუშაობდი. ძალიან მსურდა ომში წასვლა, მაგრამ ბავშვობაში დაზიანებულმა ხელმა ამის საშუალება არ მომცა. 1942 წელს, სოხუმის დაბომბვისას მძიმედ დავიჭერი და 7 თვე ჰოსპიტალში გავატარე. გამოჯანმრთელებულმა სწავლის გაგრძელება გადაწყვიტე და პედაგოგიურ ტექნიკუმში ჩავაბრუნე. სასწავლებელი დავასრული წარმატებით და რამდენიმე წელიწადი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ვიმუშავე. უპატრონო და უსახლკარო კაცი არავის ეხატება გულზე. ჩემთვის დღემდე გაურკვეველ მიზეზთა გამო სკოლიდან გამომავდეს, ვერც სხვა სამსახური ვიპოვე და მძიმე ცხოვრებაზე გაბოროტებულმა დანაშაულის გზა ავირჩიე.“

ჩავედი მოსკოვში და ჩემი მსგავსი, გაჭირვებული ადამიანებისგან ბანდა ჩამოყვავდნენ. საქმეები თავიდანვე კარგად წარიმართა. რამდენიმე თვის შემდეგ უკვე იმდენი ფული მქონდა, რომ დღეში 10-ჯერ შემეძლო მდიდრულ რესტორანში შესვლა. მერე მთელი ჩვენი ბანდა დაპატიმრეს და მე მხოლოდ სასწაულით გადავურჩი დატყვევებას. 5 წელი ჩემთვის ვიყავი, კარჩავეტილ ცხოვრებას ვწვდიდი და ნამოვნ ფულს ნელ-ნელა ვხარჯავდი. თანხა რომ შემო-მავლდა, ისევ ვიპოვე ჩემნაირები და მოსკოვსა და კიევში მაღაზიებისა თუ ბინების გაქურდვას შევუდგეთ. იქიდან ნამოღებულ ნივთებს უკრაინაში ვყიდდით და თავსაც მშვენივრად გვრძნობდით.

ჩემი ერთი ნაცნობი თეატრში გრიმიორად მუშაობდა. მან მარჯეს მშვენიერი წვერ-ულვაში — ნამდვილისგან რომ ვერ გაარჩევდი. ხშირად ვინიღებოდი და ასე დავდიოდი, რადგან მილიციისთვის ჩემი გარეგნობა ალბათ უკვე ცნობილი იყო.

... მილიციის თანამშრომელთა და გენერლის დაჭრა ნამდვილად არ მიწოდდა. ამჟამად ძალიან ვნანობ, რომ ასე მოხდა. იმედს მაქვს, მსოფლიოში ყველაზე ჰუმანური საბჭოთა სასამართლო შემინდობს და დახვრეტას არ მომისჯის...“

ძიების დროს ბევრი კითხვა კითხვადვე დარჩა. ცინცაძეს არ დაუსახელებია თანამზრახველთა გვარები; არ დაუკონკრეტებია მათი ვინაობა, ვინც მისგან მოპარულ საქონელს ყიდულობდა; არაფერი უთქვამს საქმის მიმცემთა შესახებაც...

ოფიციალური ვერსიით, ის 1966 წლის 4 სექტემბერს მოსკოვში, „ბუტირკის“ ციხეში პატიმრებმა მოკლეს, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ცინცაძე სამართალდამცავებს შემოაკვდათ. შემოაკვდათ წამების დროს, როდესაც მისგან კონკრეტულ პასუხებს ითხოვდნენ.

**მიხეილ ჩერქეზია**



# ცხოვრებისეული კურიოზები

## -ვის ნომრებს ხსნი, ში მუცროყო, შინა?!

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობ-მა ავთო მიქაძემ მანქანა თეატრის წინ დააყენა. საიმედოდ ჩაკეტა და თეატრ-ში რომ უნდა შევიდეს...

— ვაა, ავთოს შემოვევლე!!! — მოესმა ხმა. ყოფილი თანაკურსელი გიჟური კობახიძე უახლოვდებოდა.

კარგა ხნის უნახავმა მეგობრებმა ერთმანეთი მოიკითხეს და ავთო იქვე მდგარ „გაზ-24“-ს ინსტინქტურად მიეც-რდნო (მიეყუდა). ამ ჭუჭყუკში რომ არიან, ინსტექტორი მოვარდა (ეტყობა, ახალი იყო).

— აქ მანქანის დაყენება იქნება, კაცო? — ეცა ავთოს.

— ძმაცო შემედა და — „დაიბნა“ ავთო.

— ძმაცაცობა რესტორანში, — საბუთებო მამე.

— არ მატეს... სახლში დამრჩა, მეორე კოსტუმში.

— ეგრე, არა? — აბა ვნახოთ.

ინსტექტორი წინა ნომერთან ჩაცუცქდა და მოხსნა დაინყო.

— რა ჩაქანგებულია ეს უპა-ტრონო! — ათ წუთში მოხსნა და „კალიასკაში“ ჩაადგო.

— წინა ნომერი რომ მოხსენი, უკანა ნომრით ვერ ვივლი? — მე-გობართან საუბარი განწყვიტა ავთომ.

— უკანას ველარ მოვსენი? —



ჩაიჩოქა და ახლა იმ ჩაქანგული ნომრის მოხსნას შეუდგა. ისვენება, იჭიფება და ჰა... ჰა, ბოლო „ბოლტი“ დარჩა.

— კი მაგრამ, არასდროს მოუხსნიათ ეს ნომრები შენთვის? ასე რამ ჩაქანგა? — გადმოკარკლა თვალები.

— ეს ჩემი მანქანა არ არის...

— რაა! — გააღო პირი ინსტექტორმა და, გივი ბერეკაშვილიც გამორბის თეა-ტრის შენობიდან.

— შე მუტრუყო, შენა, ვის ნომრებს ხსნი, შენა?

— ვაა, ლონდრეჯან... შენა? — მაპატიე რა, მეტი აღარ ვიზამ, — მიამა-გრა ძლივს მოხსნილი ნომრები.

ასეა... გივი ყოველთვის იუმორის შუაგულშია.

მურმან მერკვილიშვილი.

## თქვენი კოლეგა გდია!..

ერთი წელია, რაც პოლი-ციაში ვარ და დღე არ გასულა, რომ რამე კური-ოზი არ შეგვემთხვეოდ. ერთხელ ანონიმურმა პირ-მა დარეკა: ამა და ამ ქუჩაზე თქვენი კოლეგა გდია, მანქანა დაეჯახა და მიხედეთო.

ყურმილის დადება იყო და მთელი სამ-მართველო ფესზე დადგა. უფროს-უმცროსიანად გავედით შემთხვევის ადგი-ლზე, მივედით და რას ვხედავთ:



შუა ქუჩაში გდია, მანქანადარ-ტყმული... ბომბორა ნაგაზი. პოლიციის შეფმა, სოსო დურგლიშვილმა ფოსტა-ში დარეკა, გაარკვია საიდან დარეკეს და ოთხკაციანი ჯგუფი გაგზავნა აღნიშნულ მისამართზე.

აღმოჩნდა, რომ იმ ბინაში ორი წელია, არავის უცხოვრია. ძალი კი მენაგვევმა წაათრის.

გიგა ბასიშვილი

## მენისქვილის იონი

ნისქვილი სოფლად ყოველთვის იყო მამაკაცების თავშესაფარი და თავშესაქცევი ადგილი, აქ მრავალი კურიოზი, ანეკდოტი იქმნებოდა. მინდა მკითხველს შევთავაზო ჩვენი სოფლის მენისქვილის ერთი იონის შესახებ.

ნისქვილში ახალგაზრდა ქალი მივიდა, და მენისქვილეს შეხვეწა:

— მეზობელი სოფლიდან ვარ მოსული, გთხოვთ სიმინდი მალე დამიფუტა და ადრე გამიშვათ, ბავშვები უპატრონოდ მყავს და-ტოვებულნი.

მენისქვილე შეჰპირდა, მაგრამ გულში სხვა რამეს ფიქრობდა. იმდენი იჩალიჩა, რომ ნისქვილი ძალით „გაფუტა“ და დააღმა. შეწუხდა ქალი, მენისქვილემ ანუგეშა:

— რა ვქნა, ნისქვილი გაფუტდა, ნუ გეშინიათ, ქალბატონო, აგერ ახლოს ვცხ-ოვრობ და ჩვენთან მოისვენეთ.

ქალი თავის ოჯახში წაიყვანა, მეუღლეს აუხსნა მდგომარეობა და უთხრა, — ზაფხ-ულის ღამეა, გარეთ შუშაბანდში დაანვიწე და პატივი ეცით. თვითონ კი ნისქვილში დაბრუნდა. როცა დაღამდა და მთვარეც ჩავიდა, ნისქვილში ამხანაგი დატოვა, თვი-თონ შუშაბანდში ჩუმად შევიდა, ქალს მიუწვა და აისრულა გულის წადილი.



უაღრესად ნასიამოვნები ნისქვილში დაბრუნდა. ამხანაგმა სთხოვა, — ახლა მეც წავალ და ცოტას ვისიამოვნებო. მალე ისიც ნასიამოვნები დაბრუნდა.

მენისქვილემ, სანამ ირორაფებდა, ერთ-ელ კიდევ მოინდომა სიამოვნების მილე-ბა და ისევ ჩუმად მიუწვა ქალს.

— რამ გადაგრა, კაცო, შენ?! ამ-ალამ უკვე მესამედ მოდიხარ... იღიწა მენისქვილის მეუღლემ.

მენისქვილეს ცივმა ოფლმა დაასხა, სხვისი ქალის ნაცვლად საკუთარი ცოლი შერჩა ხელთ.

ავთანდილ კუბრეიშვილი, წყალტუბო

## „შენ ახლოს მიდისხ“



ეს ამბავი სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მოხდა. მეზო-ბელი, 100 წლის ლუბა ბებო გარდაეცვალა. როგორც წესი, მიცვალებული გააპატიოსნეს და ხელში ჩაუდეს ათლარიანი. ამის შემდეგ მეზობელ გულუხს სთხოვეს ქალაქში წასულიყო, რათა ნათესავებისთვის ეცნობებინა ლუბა ბებოს გარდაცვალება და სამგზავროდ სამი ლარი მისცეს. გულუხს ეცოტავა ფული, შევიდა მიცვალებულთან და „სთხოვა“: „ლუბა ბებო, შენ ახლოს მიდისხ, აგერ სასაფლაოზე, აგიც გეყოფა“.

ხელიდან ამოართვა ათლარიანი და თავისი სამი ლარი ჩაუდო.

კახა, ფოთი

## მავას ვერ ვეჩყვი...

ქუთაისში, პრესის სახლთან პირველი ნომერი ავტობუსი გაჩერდა. მოხუცი ქალი მძღოლთან მივიდა და უთხრა:

— შვილო, კიკვიძეს უდგება?

— ამოდი ბები, კიკვიძის ძეგლთან მივდივარ, მაგრამ კიკვიძეს უდგება თუ არა, მავას ვერ გეტყვი.



მ.ლ. ქუთაისი

# მეიოხველის საყვარელი ანეკდოტები



კახეთში მოთოვა... შაქრო ესვენება მაროს:

— მარო, მიდი ერთი კამპოტი დამალევენ, ხო მოთოვა და...

— მაიცა, ჯერ კარგად დაზამთრდეს.

— ქალო, თხილამურებს კი არა გთხოვ, კამპოტი დამალევენ.

დოდო ჟორდანი



ველურებმა ჭიჭიკია დაიჭირეს. შამ-ფურზე მიაბეს და ეკითხებოდნ, რა გქვი-აო. ჭიჭიკიამ იფიქრა, იქნებ გამიშვანო და ჰკითხა:

— კი მაგრამ, თქვენთვის რა მნიშ-ვნელობა აქვს?

— აბა, მენიუში რა ჩავენოთ?!

ზვიად ესართია



— მოვაჭერი ხელი, მოვაჭერი ფეხი — ჰყვება რაჭველი ომის ამბავს.

— კი მაგრამ, თავი ვერ მოაჭერი? — გადარია რაუიკო.

— თავი არ ჰქონდა.

გიორგი ლეკვეიშვილი



სვანი ბორდელში შევიდა:

— რა ღირს შესვლა?

— საათით ოცი ლარი.

— საათი რომ აქ დაგტოვო?

ზურა ზედგინძე, საშური



მიხო თამადა ქორწილში. ყაყ-ანია, არავინ უსმენს.

— მომსმინეთ, თორემ ყველას მიგაჯ-მოგაჯ... არიშებთ! — აყვირ-და მიხო.

მიქაბა



მიხო მაროს:

— მარო, როცა მოვკვდები, ორივე ფეხი მომაჭერი. ერთი ფეხი ერთ ბიჭს მიეცი, მეორე ფეხი მეორე ბიჭს.

— რათა, მიხო?

— მერე არა თქვან, რა ფეხები დაგვი-ტოვაო.

უაგტორო

ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე



## ტრაგედია

9 მარტს, დილის 8 საათსა და 40 წუთზე იაკ-40-მა, რომელიც მოსკოვიდან კიევში მიფრინავდა, ის-ის იყო სიმაღლე აიღო და... ძირს დაენარცხა. ბორტზე მყოფი ეკიპაჟის 5 წევრი და 4 მგზავრი დაიღუპა. ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი ჟურნალისტი, პოლდინგის „სოვერშენო სვერტნოს“ პრეზიდენტი არტიომ ბოროვიკი. მასთან ერთად მიფრინავდა სააქციონერო საზოგადოება „გაგუფი ალიანსის“ პრეზიდენტი ზია ბაჟაევი და მისი ორი თანამშემგზავნი.

ამბობენ, რომ ბოროვიკის აეროპორტში ორი მცველი აცილებდა და თითქმის მასთან ერთად უნდა გაფრენილიყვნენ. უკანასკნელ წამს რაღაც მოხდა და არტიომი მარტო გაფრინდა. მცველები გადაარჩნენ...

საპერო ტრანსპორტის ფედერალური სამსახურის წყაროს ცნობით, არსებობს იაკ-40-ის კატასტროფის ორი ვერსია. ერთის მიხედვით, პილოტებმა მკვეთრად მოზიდეს შტურვალი თავისკენ, რის შედეგად თვითმფრინავმა „სანთელი“ გააკეთა და დაეცა. მეორე ვერსიის თანახმად, თვითმფრინავის მართვის სისტემაში უცხო საგანი ჩავარდა. არსებობს კიდევ ერთი ვერსია — ნავთობის ალიანსის თავდაცვითი ბაჟაევი გაუსწორდნენ. VIP-ის უსაფრთხოების სამსახური ვერ შეძლო მედიდურ მგზავრთა შენუხებას. შესაძლოა, სწორედ ტვირთში იყო ჩამალული ბომბი, რომელიც აფრენის დროს აფეთქდა.

ნავთობის მაგნატის ზია ბაჟაევის მოსაშორებლად ბევრი მიზეზი არსებობდა. შესაძლოა ეს იყო შურისძიება ჩეჩენი საველე მეთაურებისა, რომლებიც ხშირად სხოვენ მოსკოვში მყოფ ჩეჩენურ დიასპორას ფინანსურ მხარდაჭერას. ზია ბაჟაევი რუსეთის სახელმწიფოებრიობის მომხრე იყო და ალბათ მათ უარი უთხრა.

არსებობს კიდევ ერთი ვერსია: ვილაცას არ მოსწონდა არტიომ ბოროვიკისა და ბაჟაევის მომავალი თანამშრომლობა. ცნობილია პუბლიცისტმა, დიდუღული არტიომის მამამ — პენრის ბოროვიკმა ინტერფაქსს განუცხადა — პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩემს შვილს ბევრი ემუქრებოდა.

მკვლელობის ვერსია სიმართლეს ჰგავს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „გაგუფი ალიანსის“ თავგადაც, ნავთობის დიდი კომპანიის „სიდანკოს“ ყოფილი დირექტორი, ბოროვიკთან ანარმობდა მოლაპარაკებას „სოვერშენო სვერტნოს“ კაპიტალში მნიშვნელოვანი წილის შეძენაზე.

13 სექტემბერს არტიომი 38 წლისა გახდებოდა. 1987-1991 წლებში ჟურნალ „ოგონიოკის“ კორესპონდენტი და ტელეპროგრამა „ვზგლიადის“ ერთ-ერთი წამყვანი იყო. 1991 წელს გახდა „სოვერშენო სვერტნოს“ მთავარი რედაქტორი და რტრ-ზე იმავე სახელწოდების ტელეპროგრამის წამყვანი. 4 წლის განმავლობაში მეთაურობდა საინფორმაციო-საგამომცემლო ჯგუფის „სოვერშენო სვერტნოს“ დირექტორთა საბჭოს. ეს ჯგუფი 7 კომპანიას აერთიანებს.

არტიომ ბოროვიკი მასობრივ ინფორმაციით საშუალებების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან მაგნატად ითვლებოდა.

ზიაუდი ბაჟაევის სახელი წლეულს სტაბილურად მოიხსენიებოდა რუსეთის ყველაზე გავლენიან მეწარმეთა ოცეულში. ეროვნებით ჩეჩენი ზიაუდი, სოფელ აჩოი მარტანში დაიბადა. მას ფართო კავშირები ჰქონდა რეგიონებთან, „ნავთობფულთან“ და ახალი მძლავრი ფინანსურ-სამრეწველო იმპერიის შექმნას აპირებდა.

„ალიანსის“ თანამშრომლები არ გამოირიცხებდნენ დივერსიას. მათი თქმით, ბევრს ხელს უშლიდა ბაჟაევი და ავიაკატასტროფა მათთვის წამდელი სარეკლამო იქცა. ზ. ბაჟაევის რეზიდენცია და ენერგეტიკის მინისტრის პოსტის კანდიდატადაც მოიზარებდნენ, ხოლო უფრო შემდგომ — განახლებული, რუსეთის შემადგენლობაში დარჩენილი ჩეჩენთა პრეზიდენტადაც...

არტიომ ბოროვიკი და განსაკუთრებით ზია ბაჟაევი, რომელთანაც ის მრავალი წლის განმავლობაში მეგობრობდა, პირადი უსაფრთხოების საკითხს მეტისმეტად სერიოზულად ეყურებოდნენ. ბოროვიკი უკვე კარგა ხანია მცველების გარეშე პრაქტიკულად არსად დადიოდა. ზია ბაჟაევი კი, პროფესიონალი მცველები ემსახურებოდნენ, რომელთა ბირთვს ყოფილი „ცხრიანის“ ოფიცრები შეადგენდნენ. მათ თავიანთი საქმე შესანიშნავად იცოდნენ. ამიტომაც დაუფრევებელია, რომ ისინი თავიანთ პრეზიდენტს გაუმართავ თვითმფრინავში ჩაჯდომის ნებას დართავდნენ. ბაჟაევთან ერთად დაიღუპა მისი ერთ-ერთი საუკეთესო მცველი ნ. ტექტოვი, „ცხრიანის“ ოფიცერი, რომელიც პუტინის დღეებში ფოროსში გორბაჩოვთან დარჩა და თავის მოვალეობას არ უღალატა.

ამ ტრაგედიას, რომელმაც შეწყვიტა არ მარტო ჩარტერული რეისი, არამედ შეინარა ორი ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანის სიცოცხლე, ბევრი კითხვა სდევს. მათზე პასუხს არა მარტო შესაბამისი სამსახური და ოფიციალური კომენტატორები გასცემენ. პასუხს მოძებნიან არტიომის კოლეგებიც და ზიას მეგობრებიც.

რუსული პრესის მიხედვით

კავკასიის დათოვლილ მთებში, 10.000 ფუტის სიმაღლეზე, იქ, სადაც ჩეჩენთა სამხრეთი საქართველოს ესაზღვრება — რუსი მედსანტები, ჩეჩენი პარტიზანები და ქართველი მესაზღვრეები უიმედო კონფრონტაციით ერთვებიან. რამდენიმე ათასი ჩეჩენი პარტიზანისთვის ეს არის ბრძოლა თავდაცვისა და გამაზრდებისთვის, რუსებისთვის — ერთადერთი შანსი, გატეხონ ჩეჩენთა წინააღმდეგობა; ქართველი მესაზღვრეები კი თავის ქვეყანას ომის ესკალაციისაგან იცავენ.

რუსები გამაზრდებულები არიან, ჩეჩენები თავგანწირულობის მაგალითად გვესახებიან, ქართველები განგაშს მოუცავთ, ამერიკელები კი შემოფოტებას ვერ მალავენ. „თქვენთან ყველა პირობაა შექმნილი სიტუაციის ასაფეთქებლად“, — აცხადებს თბილისში მყოფი დასავლელი დიპლომატი.

„რუსებს კონფლიქტში საქართველოს ჩათრევა სურთ“, — ამბობს ქართველი ჩინოვანი. მოსკოვის მხრიდან რამდენიმე თვითაღი ზენოლის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ბრძანება გასცა, გაემაგრებინათ 50-მილიანი საზღვარი ჩეჩენთა და რუსეთთან. ეს განსაკუთრებით რთული მონაცვეთია; ერთადერთი გზა გადის სოფელ შატილზე, რომელიც თბილისსა და აშუამად დანგრეულ გროზნოს აკავშირებს. მაგრამ არსებობს ათობით ბილიკი, რომელთა გაცნობიერება თითქმის შეუძლებელია. რუსები ხშირად აცხადებენ, რომ ამ ბილიკებით შედიან ჩეჩენთა მეომრები და შეაქვთ იარაღი. იმასაც ამბობენ, რომ საქართველოში ჩეჩენთა სანვრთნელი ბანაკებია. თუმცა ყოველივე ამას საქართველოს მხარე პროვოკაციას უწოდებს და მას მოსკოვის შესაძლო ინტერვენციისათვის მზადების წინა პირობად მიიჩნევს. ბატონმა შევარდნაძემ, საქართველოს ლიდერმა ბოლო შვიდი წლის მანძილზე (რომელიც იმედოვნებს, რომ აპრილში კვლავ აირჩევენ), მტკიცე უარი განაცხადა რუსეთის მოთხოვნაზე, რომ საზღვრის ქართულ მხარეზე რუსი მესაზღვრეები განთავსებულიყვნენ. თუმცა საქართველოში არსებული ოთხი რუსული სამხედრო ბაზაც სერიოზული საფრთხეა ნა მილიონიანი ქართული სახელმწიფოსთვის, რომელსაც მცირერიცხოვანი არმია ჰყავს. დღეისათვის საზღვარზე იმყოფება ცხრა შეუიარაღებელი დამკვირვებელი ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციიდან.

„სიტუაცია საზღვარზე დაძაბულია, მაგრამ სტაბილური, — ამბობს ერთ-ერთი მათგანი, — მაგრამ ერთი საომარი პროვოკაცია კი რუსების მხრიდან ყველაფერს თავდაყირა დააყენებს“. საქართველოს მთიან რეგიონში ჩეჩენთა (ქისტები. რედ.) 5.000-იანი კომუნა, სადაც ჩეჩენები კომპაქტურად სახლობენ. მათ კი ომის პერიოდში დამატებით 7.000 ჩეჩენი ლტოლვილი დაემატა.

„თქვენ გაქვთ რუსული ბაზები, პარტიზანული საფრთხე გეუქრებათ, თქვენი საზღვარი არასაიმედოა, — აფასებს ვითარებას ერთ-ერთი დასავლელი ოფიციალური პირი, — ეს ნამდვილი პალესტინური სიტუაციაა, საქართველოსთვის კი ყველაში გაჩენილი კიდევ ერთი დიდი ძვალა“.

77 წლის ბატონი შევარდნაძისთვის (ბ-ნი პრეზიდენტი დაიბადა 1928 წელს. რედ.) თავსატეხად



## გამოცდა მთიან საზღვარზე


ქვეყნის საკითხი, როგორ აარიდოს თავის ქვეყანას კიდევ ერთი სისხლიანი დაპირისპირება. არცთუ დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც აფხაზთა და ოს სეპარატისტებთან ანარმობდა ბრძოლებს საქართველო, სადაც დღეს 300.000 აფხაზეთიდან ლტოლვილი ცხოვრობს. აფხაზეთის ტერიტორია კი ის მინაა, რომელზეც თავად აფხაზები მოსახლეობის ორ მესამედს(?) შეადგენდნენ და რომელიც დღეს ქართველებისთვის დახურული ზონაა. არასტაბილური ეკონომიკის პირობებში, ყოველი ქართული ოჯახი მინიმუმ 100 დოლარს საჭიროებს თვეში. ქართველების დიდი ნაწილი ამ თანხას რუსეთში მომუშავე ნახევარმილიონამდე ქართველისგან ლეზულობს, მაგრამ, შესაძლოა, ეს წყაროც დამრეს. საკუთარ ქვეყანაში უმუშევრობასთან ბრძოლის მომხიზვებით რუსეთის ამჟამინდელმა ლიდერმა პუტინმა ქართველთათვის სავიზო რეჟიმის შემოღება ბრძანა.

ამერიკის გეგმებში, რომელიც კასპიის აუზის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებას ეხება, საქართველოს ცენტრალური ადგილი უჭირავს. ბატონი შევარდნაძე სულ უფრო ოპტიმისტურად საუბრობს საქართველოს ნატოში შესვლის პერსპექტივაზე. შესაძლოა თბილისში შეიკრიბონ რეგიონის მაღალჩინოსნები, რუსეთის, ამერიკისა და თურქეთის წარმომადგენლები და იმჯგონ კავკასიის „სტაბილურობის პაქტზე“, რომლის მოდელიც იქნება დასავლური პოლიტიკა ბალკანეთში. ამ დღემ პირველად გაიფურა თბილისში თურქეთის პრეზიდენტის, სულეიმან დემირელის ვიზიტისას. რუსეთისა და თურქეთის ფარულ შეჯიბრს კავკასიაში ინტერესთა სფეროს გაზრდისათვის კი საუკუნეების ისტორია აქვს. მოსკოვი სკეპტიკურად უყურებს მიმდინარე მოვლენებს და თურქეთს რეგიონში ამერიკის შემოსვლის ფარად მიიჩნევს. რა თქმა უნდა, ეს კარგად ესმის პუტინს, რომელმაც პრეზიდენტ დემირელს მისწერა: დასავლეთის ქვეყნები აყუპად აქტიურად ეხმარებიან საქართველოს.

გასულ კვირას, საქართველოში ვიზიტისას, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობინ კუკმა ბრიტანეთისა და დასავლეთის მხრიდან საქართველოსათვის დახმარების მიზანი სამი მიმართულებით ახსნა: „დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა და ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში“.

თბილისში შიშობენ, რომ ყველა ეს ფაქტორი გამოცდას მთიან საზღვარზე გადის.

გარდინა, 28 თებერვალი



## გამოვიდა ჟიჟნალ „60 წუთის“ პირველი ნომერი

ამ ჟურნალით „რუსთავი-2“-ის გადაცემა „60 წუთი“, პირველად ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში პრესისა და ტელევიზიის „ოქროს“ სიმბოლურ შემოგთავაზებთ.

ჩვენ წარმოგიდგენთ ჟურნალისტური გამოძიების ყველაზე საინტერესო ლოკუმენტებს.

ა. კიკიაშვილი

## რას ვამბობ, აბაო?

შეიძლება თუ არა ევრომ ასურის ლოცვის კითხვა დღესასწაულებსა და სადაგ დღეებში, თუ მხოლოდ დიდ-მარცხაშია დასაშვები?

შეიძლება, თუკი ამის სულიერი მოთხოვნილება გაქვთ.

მსმენია, რომ ზიარების შემდეგ, ჯვარზე მთხვევამდე, შუაღელში უმჯობესია არ ვემთხვეოთ ხატებს და ნაცნობ-მეგობრებსაც არ მივეგებოთ პირზე კოცნით. საერთოდაც, შეიძლება თუ არა ზიარების დღეს ხატებზე მთხვევა?

წმინდა საიდუმლოთა მიღების შემდეგ ცოდვა არ არის ხატებზე, ჯვარზე ან სხვა სინწინდებზე მთხვევა, ოღონდ თავი შეიკავებთ ამისგან ნაზიარებზე სასმლის მიყოლებამდე. თქვენ მიიღეთ უდიდესი სინწინდე და ეცადეთ დაიცვათ იგი ყოველგვარი ცოდვებისაგან: განკითხვისაგან, უქმადმეტყველებისაგან, გაცხარებისაგან, გაღიზიანებისაგან, ნაყროვნებისაგან და სხვ. ზიარების დღეს არ სრულდება მუხლის მოყრით თავყანისცემა.

საკვები, ფული, დიდება — ეს ყოველივე ცოდვას განეუფლებია?

ცოდვა საკვები კი არ არის, არამედ — ნაყროვნება, ფული კი არა — ვერცხლის-მოყვარეობა; დიდება კი არა — პატივმოყვარეობა; არსებითად ბოროტება წარმოიშობა ბოროტად ქმედებისაგან — ამბობს მაქსიმე აღმსარებელი.

რატომ არ უნდა მივიღოთ საკვები საიკლესიო მსახურების წინ?

ისინი, ვინც დახაერებულნი მიდიან საკლესიო მსახურებაზე — წერს წმ. იოანე კრონოშტადტელი — ნებაყოფლობით აწაგვრინებენ თავს უსარგებლო და საზიანო სიმძიმეს და წინდანწინვე დაიხშობენ თავიანთ გულს ლოცვისათვის, შეუვალად ქმნიან მას წმინდა ზრახვებისა და წმინდა გრძნობებისათვის. უნდა ვერიდოთ საკვების მიღებას ღვთისმსახურების წინ. უნდა გავსოვდეს, რომ „არა არს სასუფეველი ღმრთისაი საქმელ და სასმელ“ (ჰორმ. 14, 17) ანუ, ვერ დავიანებს უფალი იმ გულში, რომელიც საჭმლითა და სასმლით არის დამძიმებული.

შეიძლება თუ არა მარცხის დროს იმ საკვების მიღება, რომელიც ეკლესიურად დაშვებულია, მაგრამ განსაკუთრებულ სიამეს გვანიჭებს?

მარცხის დროს უმჯობესია თავი შევიკავოთ იმ საკვებისაგან, რომელიც მოგვწონს. გემოთმოყვარეობა — ცოდვაა. გაძლომა კი ცოდვაა თვით სამარხის კერძითაც.

ამბობენ, რომ არ შეიძლება არასრული მეტანის დროს იატაკის შეხება ერთმანეთთან შენაწევრებული სამი თითით, თითქმისდა ეს არის უპატივცემულობა წმინდა სამების მიმართ...

საერთოდ, რა საჭიროა ყოველი მეტანის დროს ხელით იატაკის შეხება? მეტანიები ეამება უფალს, როდესაც ისინი სრულდება მასზე ფიქრითა და საკუთარი უღირსობისა და ცოდვიანობის შეგნებით.

საიკლესიო წესების თანახმად, რამდენი დღის მარხულობა მართებს საერო პირს; ამ დღეებში შეუძლიათ თუ არა მათ ზეითიან საკვების მიღება?

საიკლესიო წესებით საჭიროა მზადება ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ ეს დღეები სხვადასხვა საპატიო მიზეზით შეიძლება შემოკლდეს სამ დღემდე, ხოლო აუცილებლობის დროს (ნათესავი გარდაიცვალა, სახიფათო მოგზაურობა ელის წინ და ა.შ.) მარხულობენ ერთ დღეს. ამ მარხულობის დროს ურჩევნია ზეთისაგან თავშეკავებასაც.

შეიძლება თუ არა ტაძრის კედლის მოხატულობის ამბოროსყოფა?

ამბოროსყოფად მრავალი ხატი არსებობს, ხოლო მოხატულობებს (ფრესკებს) უმჯობესია თავის მოდრეკით ვცეთ თავყანი და ვილოცოთ მათზე.

აუცილებელია თუ არა, რომ ბოლომდე ჩაიწვას სანთელი, რომელიც გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად დაგანთეთ?

ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ბანაობის დროს ჯვარი უნდა მოვიხსნათ თუ ასე ჯვარიანად ვიბანაოთ?

ჯვარი არ უნდა მოვიხსნათ, რადგან ამ დროს სიკვდილისგანაც არ ვართ დაზღვეული და არც ჯადოსანგან (რისგანაც ჯვარი გვიცავს).

წინა ნომერში დაბეჭდილი ბოლო პასუხში კითხვაზე — როგორ მოვიქცეთ თუ საპატიო მიზეზით ლტოლვილის დამთავრებამდე ვტოვებთ ეკლესიას — უნდა ყოფილიყო — ასეთ შემთხვევაში უნდა ემთხვეოთ ხატებს (დანარჩენი როგორც გაზეთში იყო...)

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28

თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები



**თარაზულად:**



ქალაქი, სადაც  
„ფორმულა 1“-ის  
წლეგანდელი ჩემპი-  
ონატის 1 ეტაპი  
გაიმართა



გერმანელი ჟურნალ-  
ისტი, რომელმაც  
მსოფლიოს ამცნო  
სინამდვილე რუსების  
მიერ ჩეჩნეთში  
ჩატარებული აქციებ-  
ის შესახებ.




ინდიელთა საბრძო-  
ლო იარაღი

რწმენის უქონლობა,  
ვარაუდი, გუმანი




ერთიანი

ჯუჯას უცხოური  
შესატყვისი



გადამტანი მონყობი-  
ლობა



სადილისათვის შერ-  
ჩეული სასმელ-  
სატყეფი



ქალთა მოძრაობა,  
რომლის მიზანია  
მათი უფლებრივი  
გათანასწორება  
მამაკაცებთან



ქორწინების ფორმა,  
რომლის დროსაც  
მამაკაცს შეიძლება  
პყავდეს მხოლოდ  
ერთი ცოლი და  
ქალს შეიძლება  
პყავდეს მხოლოდ  
ერთი ქმარი



რაიმეს ხელუხლე-  
ბლობის უზრუნვე-  
ლყოფა

ზენონის ფილოსოფი-  
ური მოძღვრება



კიბე



ხერხემლიანი ცხოვე-  
ლის თავის ჩონჩხი

დიდი ზომის ქვა

ზღვა, რომელიც სამ  
კონტინენტს  
შორისაა მოქცეული



ზღვა, რომელიც სამ  
კონტინენტს  
შორისაა მოქცეული

**33**  
სინამდვილეში  
არარსებულობა,  
არარეალობა



დიდი ბრიტანეთის  
ერთ-ერთი უძველესი  
და უდიდესი უნი-  
ვერსიტეტი

**შვეულად:**



ქართველი საეკლე-  
სიო და სახელმწიფო  
მოღვაწე — — —  
(ერისკაცობაში თე-  
იმურაზ ბაგრატიონი)



მეცნიერი, რომლის  
სახელსაც ატარებს  
თავის ტვინის მძიმე  
დაზარალება, რომელ-  
იც სჭირს რეიგანს


ცხოველური ან  
მცენარეული ორგა-  
ნიზმის ძაფისებური  
შემაღგენელი ნაწ-  
ილი: ნერვული ან  
კუნთოვანი



ფიგურა, რომელსაც  
იყენებენ მზა  
ტანსაცმლის საჩვენე-  
ბლად




ქარის, ზღვის



დედვის, მიწისძვრის  
ძალის ან ინტენ-  
სივობის საზომი  
ერთეული



ქიმიური ელემენტი,  
რომლის ნაკლებობა  
ორგანიზმში იწვევს  
ფარისებრი ჯირკვ-  
ლის გადიდებას




აგადმყოფობის გა-  
მომწვევი მიკროორ-  
განიზმების შეჭრა  
ორგანიზმში

12  
 $\text{CH}_3\text{COOH}$   
(გამოიყენება კვების  
მრეწველობაში)



ცის დასალიერი

ცოცხალი სხეული



10 სმ



მანათობელი ორგა-  
ნოს მქონე სოჭო



ძღვენი



მცირე ზომის მონა-  
დირე ძაღლის ჯიში



საკომუნიკაციო  
ნაგებობა



მუდმივი ფორმის

**არმქონე ერთუჯრე-  
დიანი ცხოველი**



ზამთრის სეზონური  
სამოსი



პარიზის ერთ-ერთი  
ყველაზე ცნობილი  
კაბარე

**კოსპორდი შუადგინა  
რამაზ ალანიაშ**

„კვირის პალიტრა“ №10  
კოსპორდის პასუხები:  
თარაზულად: 8. მონას-  
ტერი; 9. ბუდაპეშტი; 10. ზლა-  
პარი; 11. ნერწყვი; 14. მანუე-  
ტი; 15. არაყი; 17. შევიბრე-  
ბა; 18. ფლორა; 20. ფიგურა-  
სი; 21. პალომინო; 25. მარაო;  
26. მზეჭაბუკი; 27. დაზა; 30.  
თაიგული; 31. ლიფსიტა; 34.  
ხელჯობი; 35. სილოგიზმი; 36.  
უცოდინარი.  
შვეულად: 1. ფილიპინე-  
ბი; 2. დოზიმეტრი; 3. შტატ-  
ივი; 4. პრიზი; 5. თუთია; 6.  
სამურაი; 7. სტრუქტურა; 12.  
მაჯისცემა; 13. პლენარული; 16.  
ყაიდა; 19. ლანჩა; 22. კაკაფო-  
ნია; 23. გამარჯვება; 24. აგი-  
ტატორი; 28. ალერგია; 29.  
ციანიდი; 32. თხემი; 33. დია-  
ცი.



• ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი • ანონსი

ბი • ანონსი • ანონსი • ანო

• ანონსი • ანონსი • ანონ

• ճեմնիկ • ճեմնիկ • ճեմնիկ

5.  $\frac{1}{2} \times \frac{1}{2} = \frac{1}{4}$       6.  $\frac{1}{2} \times \frac{1}{2} = \frac{1}{4}$       7.  $\frac{1}{2} \times \frac{1}{2} = \frac{1}{4}$       8.  $\frac{1}{2} \times \frac{1}{2} = \frac{1}{4}$       9.  $\frac{1}{2} \times \frac{1}{2} = \frac{1}{4}$

**შპს "საქსტელკომ"** 09.00, 19.00, 22.00 ახალი ადგილები 09.10, 21.55  
"საქსტელკომ": 23.40 ჩაბმომსახურება ღირს: "საქსტელკომ" - "საქსტელკომ"  
01.40 სივრცისგან 02.00 ჩაბმომსახურება ღირს: ანაზღაურება 03.00

2015 სურიალი "გაზაქ" 2150 სურიალი, "ნაიტი" 23.40 ნაბიჩი 2015 ლიბა, "გაზაქ" - "ნაიტი".

იონი უილიამსი, ქრისტოფერ შაქდონალდსი. 02.10  
დასიკა.

გენიტივი. 02.22 სწოდალი წითელი ზეხდავლის  
უარი" 03.00 კლბიკა.

09.00, 19.00, 22.00, 00.50 ახალი ამბები

„Հորի, հեղեղահեղ“ 2100, 2145 և 2155 թ. ցրտերի ժամանակ  
մեծ խառնածոներ ընկնում էին Երևանի Կենտրոնական

მუღუნ პანტი და ბილ ბუკსტინი 00:00 სანდგორმდგომ

60

დღის "მშენებელი", მთ. რელიეფის ად. პირის, მდინარე, 214

13.00, 18.45 შემოყვანითი პროგრამა ლოკ. ფილმი "მე ცნობისმოყვარე ვარ" 22.00

|  |  |
|--|--|
დაავადების გამომწვევი ვირუსი ადამიანის ორგანიზმში ყველა სვერეტში, ბიოლოგიურ სითხეშია აღმოჩენილი (ცრემლი, სპერმა, ნერწყვი, ოფლი, დედის რძე...), მაგრამ მისი არსებობა დაინფიცირების 100%-იან შესაძლებლობაზე სულაც არ მეტყველებს. მეცნიერების მიერ აღიარებულია მხოლოდ პარენტერალური — სისხლითა და სქესობრივი კავშირით გადაცემის გზა. ინფიცირება შესაძლებელია ტატუირების, აკუპუნქტურის დროსაც. ეჭვის ქვეშ დგას კონტაქტური, ოჯახურ პირობებში დასნებოვნება.

ძალზე საინტერესოა, ხდება თუ



მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ იმ ბავშვების უდიდესი ნაწილი, რომლებიც დიდ დროს კომპიუტერთან ატარებენ, ბნედიტ ავადდებიან და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებენ.

ადრე ამდენი სულით ავადმყოფი მხოლოდ ჩემს კლინიკაში მინახავს, — წუხს ექიმი-ფსიქიატრი ალექსანდრ მახინი.

ეპილფსიას იწვევს კომპიუტერთან ხანგრძლივი ჯდომა. რა თქმა უნდა, ყველა ბავშვი არ ავადდება. სწეულება ვითარდება მაშინ, თუკი მოზარდს რაიმე თანდაყოლილი მანკიერება აქვს.

შობობებს უხარიათ, როცა შინ,

არა ვირუსის გადაცემა მუცლადყოფნის დროს დედიდან ნაყოფზე. საოცრებაა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ გზით დასნებოვნებას არ იწვევს. ახალშობლის დაინფიცირება მხოლოდ მშობიარობის დროს, ბავშვის კანის დაზიანების და დედის ვირუსის შემცველ სანაყოფე სითხეებთან კონტაქტის დროს არის საფიქრებელი.

ჩივილები, სიმპტომები...

B ჰეპატიტი ძალზე მუხანათი დაავადებაა. უშუალოდ დაავადება დაინფიცირებულდან 6 თვეში ვითარდება. ჩივილები ბოტკინის დაავადების სიმპტომების მსგავსია: უმადობა, სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა არეში, კანის გაყვინლება, შარდის გამოქეება, განავლის გაუფერულება. ამას თან ერთვის მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი და სახსრების ტეხის შეგრძნება.

მაგრამ ზოგჯერ B ჰეპატიტი ჩივილს „იცვლის“ და შესაძლოა, ის სასუნთქი სისტემის დაავადების (გრიპოზული მოვლენების) სახითაც კი მოგვევლინოს. ასეთ მიმდინარეობას უსიმპტომოს უწოდებენ. ამ დროს დაავადების ამოცნობა სპეციფიკური დიაგნოსტიკური ტესტების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ადამიანი შესაფერისი მკურნალობის გარეშე რჩება და შედეგად ორგანიზმში „ჩაბუდებული“ ვირუსი (15%) მასპინძლის გარდა გარშემომყოფთაც „აზარალებს“.

რას უნდა ვუფრთხილდეთ

B ჰეპატიტით ინფიცირებულთა 10-20%-ში პათოლოგია ქრონიკულ მიმდინარეობას იძენს. ამას კი რამდენიმე წელში შესაძლოა ღვიძლის გადაგვარება — ციროზი ან ციროზ-კიბოს ჩამოყალიბება მოჰყვეს. ამასთან, საფიქრებელი და შემაშფოთებელი ის არის, რომ ჩვეულებრივ, ადამიანს თავი ჯანმრთელი ჰგონია (განსაკუთრებით, თუ უსიმპტომო ფორმა გადაიტანა) და სერი-

ოზული დაავადების შესახებ მხოლოდ მაშინლა იგებს, როდესაც პროცესის უკუსვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია უკვე არსებული ქრონიკული B ჰეპატიტის ადრეული გამოვლინება. ამ შემთხვევაში ხომ მედიცინას მასთან საბრძოლველად ცოტა რამ მაინც ძალუძს.

დიაგნოზი სისხლში B ვირუსის ენ. ანტიგენების აღმოჩენის საფუძველზე ისმება.

როგორ დავიცვათ თავი...

B ჰეპატიტისგან თავდაცვა ჰიგიენური წესების გათვალისწინებით და ინფექციის წყაროსთან კონტაქტის თავიდან აცილებით არის შესაძლებელი.

ამასთან, უზარმაზარი შრომის ფასად დღეს მსოფლიო მედიცინა B ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას ფლობს. ის საკმაოდ ეფექტურია. ამ სითხის გამოგონების შემდეგ მეცნიერებმა ისიც კი თქვეს — ჩვენ კიბოს საწინააღმდეგო სითხე შეექმენითო. ვაქცინა ყველა ასაკის ადამიანებისთვის ერთია. განსვავება მხოლოდ დოზირებაშია. ვაქცინაცია 3-4-ჯერ უნდა ჩატარდეს.

ვაქცინით B ჰეპატიტის აცილება დიხაბც რომ შესაძლებელია, თუმცაღა გასათვალისწინებელია, რომ ვაქცინა აუცილებლად ვარგისი უნდა იყოს. მისი შენახვის პირობები ძალზე რთულია და ბევრ პარამეტრს მოითხოვს (მუდმივი დაბალი ტემპერატურა, ტრანსპორტირების ტესების დაცვა, ვადა...). დღეს საქართველოშიც არსებობს ვაქცინათა ფართო სპექტრი, მაგრამ ჩვენ თავს შეგვიკავებთ რომელიმე კონკრეტული სახეობის რეკომენდირებისაგან. ერთს კი გირჩევდით, თუკი საიმედო ვაქცინა ჩაგივარდათ ხელთ ანდა საზღვარგარეთიდან მისი შემოტანის შესაძლებლობა გაქვთ, ვაქცინის გამოყენება თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის საუკეთესო საშუალება იქნება.

მაია მუსიგული

უბადურება

კომპიუტერთან მჯდარ შვილს ხედავენ — ბავშვი ქუჩის მავნე გავლენას მოგწყვითითო. მაგრამ ეს სულაც არ არის დიდი ბედნიერება. ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, — ისე გამოდის. მსოფლიოში კატასტროფულად იზრდება ქუჩას გამოირდებული და კომპიუტერთან დამეგობრებულ ბავშვებში ნერვული დაავადებანი. მოზარდი ხდება გულწაფხრობილი, ნაკლებად კომუნიკაბელური, ვერ პოულობს თანატოლებთან საერთოს, უხილავ პარტნიორთან — ინტერნეტთან კონტაქტის შემდეგ უჭირს რეალურ ადამიანებთან ურთიერთობა, არ იცის, როგორ დაემალოს სინამდვილეს, ეძაბება ნერვული სისტემა, სწრაფად იღლება. ფსიქიკურად გაუნრანსწორებელია. აღწუსებულია თვითმკვლელობის შემთხვევები, რომლის მიზეზი გახდა ინტერნეტთან ხანგრძლივი მუშაობა.

ასაკოვანი ადამიანისთვის კომპიუტერთან რამდენიმე საათით ჯდომაც კი საშიშია; ადვილი შესაძლებელია,

რომ იგი სულიერად დაავადდეს. დაუქვეითდეს მეხსიერება, მხედველობა. ყოველი მეორე კომპიუტერის მოყვარული საჭიროებს სამედ-იცინო დახმარებას.

როგორც გაირკვა, ინტერნეტს შეუძლია კიდევ ერთი უდიდესი უბედურების მოტანა — უცოდინარობა. განვითარებული კომპიუტერული ტექნიკა ზღუდავს ბავშვის ინტელექტს. მას აღარ სჭირდება წიგნი ჩასვება, ცნობების ქექვა. დილაგზე თითის დაჭერით ევრანზე გამოჩნდება არა მარტო საჭირო ცნობა, არამედ მთელი რეფერატი. ამიტომ ფსიქიკურად ჯანსაღი ბავშვიც კი, რომელიც გააფუჭა „კომპიუტერულმა სიზარმაცემ“, არ გამოვა დამოუკიდებელი პიროვნება! საზღვარგარეთ უკვე დამუშავებულია საგანგებო პროგრამები, რომლებიც ბავშვებს უზღუდავს ურთიერთობას არა მარტო ინტერნეტის დაბინძურებულ პროგრამებთან, არამედ თვით კომპიუტერსაც.

მეგაპოლის-ექსპრესი №3

მასში შეამოწმეთ თქვენი ჯანმრთელობა

- რეგულარულად თუ მირთმევთ ახალ ხილს და ბოსტნეულს?
- დიახ — 3 ქულა, ბ. არა — 0
- თუ ზღუდავთ საკუთარ თავს ცხოველური ცხიმების მიღებისას?
- დიახ — 5, ბ. არა — 0
- თუ ზღუდავთ საკუთარ თავს შაქრის მიღებისას?
- დიახ — 3, ბ. არა — 0
- დასვენება და მოდუნება თუ შეგიძლიათ?
- დიახ — 5, ბ. არა — 0
- თქვენი სამუშაო თუ მოგწონთ?
- დიახ — 4, ბ. არა — 0
- მეგობარი თუ გყავთ, რომელსაც ბოლომდე ენდობით?
- დიახ — 3, ბ. არა — 0
- საფარული ადამიანი თუ გყავთ?
- დიახ — 4, ბ. არა — 0
- მიგაჩნიათ თუ არა, რომ უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდეთ საქმეს?
- დიახ — 0, ბ. არა — 2
- მიგაჩნიათ თუ არა, რომ საკუთარ თავზე უფრო მეტი ვალდებულება უნდა აიღოთ?

- დიახ — 0, ბ. არა — 2
- ხშირად თუ განიცდით მონეწილობას?
- დიახ — 0, ბ. არა — 2
- ენევი?
- დიახ — 0, არა — 6
- დღეში ნახევარ კოლოფზე ნაკლებს ენევი?
- დიახ — 2, ბ. არა — 0
- ალკოჰოლურ სასმელებს თუ ეტანებით?
- არა — 3, ბ. ხანდახან — 2, გ. ყოველდღე — 0
- რამდენს იწონით?
- იმდენს, რამდენსაც უნდა ვინონიდე — 5, ბ. ნორმაზე 6 კილოგრამით მეტს — 4, გ. ნორმაზე 6-დან 12 კილოგრამამდე მეტს — 2, დ. ნორმაზე 12-დან და უფრო მეტს — 0
- რეგულარულად თუ ვარჯიშობ?
- დიახ — 2, ბ. არა — 0
- კუნთების მაქსიმალურ დაძაბამდე თუ ვარჯიშობ?
- დიახ — 0, ბ. არა — 1
- რეგულარულად თუ ღებულობთ ძილის წამალს?
- დიახ — 0, ბ. არა — 1
- ხშირად ხოი არ გინევთ წამლების ყიდვა?
- დიახ — 0, ბ. არა — 2

- ხანდახან მაინც თუ იზომავთ არტერიულ წნევას?
- დიახ — 1 ბ. არა — 0
- თუ ხდება, რომ თქვენ მუდმივად გავით ავადმყოფობის სიმპტომები, თქვენ კი ექიმს არ მიმართავთ?
- დიახ — 0, ბ. არა — 5
- სპორტის სახეობათა სახეობით თუ ხართ გატაცებული?
- დიახ — 0, ბ. არა — 3
- ხშირად უმიზეზოდ თუ ნერვიულობთ?
- დიახ — 0, ბ. არა — 5

**დაითვალეთ ქულები 43-68:** თქვენ ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევთ! მომავალშიც ასე გააგრძელეთ და თქვენს ჯანმრთელობას არაანარი საფრთხე არ დაემუქრება.

**18-42:** აუცილებელია, ცხოვრების სტილი შეიცვალოთ! ეცადეთ ეს მაქსიმალურად მაღე გაავითოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში უსიამოვნებებს თავიდან ვერ აიცილებთ.

**0-17:** სერიოზული დაფიქრება გმართებთ! თქვენი ჯანმრთელობა საფრთხეშია. კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ტესტი, კრიტიკულად შეაფასეთ მიღებული შედეგები და ეცადეთ, რომ წუთიც აღარ დაკარგოთ საკუთარი ჯანმრთელობის გადასარჩენად.





# დიხსეული გაცხილება

ჩიამიონთა ლიგა. მორი ზისარჩივი ეტაჰი. IV ტური

A ზეპუჰი პორტუ — ბარსელონა 02  
სარტა — ჰერტა 10

მესამე ტურის შემდეგ, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ „პორტუ“ ასე სამარცხვინოდ წააგებდა შინ. პორტუგალიელებმა იმდენად უაზრო და უსახური ფეხბურთი აჩვენეს, ისიც



გასაკვირია აქამდე როგორ მოაღწიეს „ბარსა“ ყოველგვარი დამაბულობისა და ოფლის-ღერის გარეშე წამოიღო პორტუგალიიდან სამი ქულა და მეოთხედფინალის საგზური ორი ტურით ადრე მოიპოვა. გოლეზი აბელარდომ

და რივალდომ გაიტანეს შესაბამისად 37-ე და 59-ე წუთებზე. „პორტუ“ ერთი ხვრითი მომენტით არ შეუქმნია მეტოქის კართან. საერთოდ უსაქმურად იყო მარიო ჟარდელიც. პრესკონფერენციაზე ფერნანდო სანტუშმა პოლში მოუხადა საკუთარ გულშემატკივარს ასეთი თამაშისათვის. ლუის ვან გაალი კი აღტაცებული გახლდათ. ჰოლანდიელმა ისიც აღნიშნა, ჯგუფში აუცილებლად პირველ ადგილზე უნდა გავიდეთ, მეოთხედფინალის კენჭისყრაში უპირატესობა რომ გვექნოდეს.

„პორტუსგან“ განსხვავებით თავი არ შეურცხვენია ჩესუს „სპარტას“, რომელსაც „ჰერტასთან“ გამარჯვების შემდეგ, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი გაუწიდა. მეოთხედფინალის საგზურის მოსაპოვებლად, ჩესუს სტუმრად დასჭირდებათ „პორტუს“ ძლევა. რაც შეეხება ბერლინის „ჰერტას“ — ბევრი სპეციალისტი გერმანულ კლუბს „ბარსას“ შემდეგ, ჯგუფის ფავორიტად მიიჩნევდა. ამდენად, მოულოდნელიც გასწავთ გერმანელთა მიერ ტურნირის ნადრევად დასრულება. დარჩენილ ორ შეხვედრაში ბერლინელები შელახულ პრესტიჟს თუ აიღებენ.

1. ბარსელონა 4 3 1 0 12-3 10  
2. პორტუ 4 2 0 2 5-6 6  
3. სპარტა 4 1 1 2 2-8 4  
4. ჰერტა 4 0 2 2 2-4 2

მომდევნო მატჩები: 15 მარტი  
ბარსელონა — ჰერტა. პორტუ — სპარტა.

B ზეპუჰი ვალენსია — ფიორენტინა 20  
ბორო — მანჩესტერ 12

„ვალენსიას“ და „ფიორენტინას“ მატჩი მათასე გახლდათ სტუმართა სახელგანთქმული მწვრთნელის, ჯოვანი ტრაპატონის კარიერაში. ესპანელები მთელი მატჩის მანძილზე უტყვენდნ და მოუხედავად იმისა, რომ არც „ფიორენტინა“ ყოფილა გულხელდაკრეფილი, შეიძლება თქვას, რომ „ვალენსიამ“ დამასხურებულად მოიგო. ამ გუნდების პირველი შეხვედრისაგან განსხვავებით, მეტად იაქტიურეს კლავდიო ლოპესმა და გაბრიელ ბატისტუტამ, თუმცა გოლის გატანა ვერც ამჯერად შეძლეს. ანგარიში რუმინელმა ლიემ შეხვედრის 35-ე წუთზე გახსნა. ამის შემდეგ, ორივე გუნდმა საკმაო საგოლე მომენტი შექმნა. მსაჯის დამატებულ დროში „ფიორენტინას“ თამაშვარე მდგომარეობიდან გატყნილი გოლი არ ჩაუთვალეს. ერთი წუთის შემდეგ კლავდიო ლოპესის წაქცევისათვის დანიშნული პენალტი მენდიტამ გამოიყენა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ დიდი ბრძოლა დასჭირდა სტუმრად „ბორდოს“ დასამარცხებლად, თუმცა სანადელს მაინც მიაღწია. ანგარიში სწრაფად გაიხსნა ფრანგი პავონის დარტყმის შემდეგ. „იუნაიტედის“ ჰოლანდიელმა მეკარემ ვან დერ გოუმ ისეთი გოლი გაუშვა, თავმოყვარე მეკარეს რომ არ შეეფერება. ვერ გეტყვით ჰოლანდიელმა მსაჯმა ვეგერეფმა თანამემამულეს

თანაუგრძნო, თუ არა, მაგრამ ფაქტია, — ფრანგი ლასლანდი არბიტრმა ყოვლად დაუშასხურებლად გააძევა და „ბორდოს“ 23-ე წუთის შემდეგ რიცხოვრივ უმცირესობაში მოუხადა თამაში. ლასლანდის გამეფებიდან ათიოდე წუთში, როი კინმა წონასწორობა აღადგინა, მეორე ტაიმის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კი ნორვეგიელმა სოლსკიერმა მანჩესტერს სამი ქულა მოუტანა და ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ „ბორდოს“ ერთადერთი ქულა აქვს, გუნდი მაინც ინარჩუნებს მეოთხედფინალში გასვლის თეორიულ შანსს. ამისათვის „ბორდომ“ და „მანჩესტერმა“ დარჩენილ ორ ტურში ქულა არ უნდა დაკარგონ.

1. მანჩესტერ 4 3 0 1 7-3 9  
2. ფიორენტინა 4 2 1 1 3-2 7  
3. ვალენსია 4 2 0 2 5-6 6  
4. ბორდო 4 0 1 3 1-7 1

მომდევნო მატჩები: 15 მარტი. მანჩესტერ — ფიორენტინა. ბორდო — ვალენსია.

## C ზეპუჰი

ბაიერნი — რეალი 4:1

რუსენბორგი — დინამო 12

„ბაიერნმა“ „რეალი“ ერთი კვირის წინაც დააჩოქა და აქ გასაკვირი არაფერია. 8 მარტს მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა, „ბაიერნის“ შემადგენლობაში უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ლეგენდარულმა ლითარ მათეუსმა, — კაცმა, რომელმაც ევროპელთაგან ერთადერთმა — ხუთ მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშა, ნაკრებში თამაშების რეკორდით დააყარა, მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა, ერთადერთი არ დასცალდა — ჩემპიონთა თასის აღმართვა. „რეალით“ შესხედრის 89-ე წუთზე, მაშინ როდესაც „ბაიერნი“ 3:1-ს იგებდა, ოტმარ ჰიტცფელდმა მათეუსს შესაცვლელად იხმო. სხვანაირად არც შეიძლებოდა. მთელი სტადიონი ფეხზე წამოუდგა თვალცრემლიან ვეტერანს. გერმანელებმა მათეუსს ამერიკისკენ მიმავალი გზა დაულოცეს. ალექს ციკლერმა კი შესხედრის ბოლო წუთზე კიდევ ერთი საჩუქარი უძღვნა სახელოვან ლიბეროს — მეოთხე ბურთი გაახვია „რეალის“ კარში! ამაზე უკეთეს გატყვებს მათეუსი ვერც ინატრებდა: „ლითარ მათეუსი უდიდესი სპორტსმენია, მისი ღვაწლი კი ფასდაუდებელია“ „ბაიერნისა“ და გერმანული ფეხბურთის წინაშე — განაცხადა მატჩის შემდეგ ოტმარ ჰიტცფელდმა. მანამდე კი... უკვე მეოთხე წუთზე ფერნანდო იერიომ ერთი-ერთზე დატოვა... გერმანელი შოლი და ანგარიში გაიხსნა. იმავე იერის საშინელი შეცდომის შემდეგ, ბრაზილიელმა ელბერმაც იხიერა. მეორე ტაიმის დასაწყისში, ელგერამ ერთი ბურთი კი გაქვითა, მაგრამ შეცვლაზე შემოსულმა ციკლერმა ორით უშასხა. „რეალი“ განადგურდა, განადგურდა ზედზედ მეორედ და ასე თუ გაგარქელა, ჯგუფში პირველი ადგილი კი არა, მეოთხედფინალიც სანატრელი გაუხდება. „ბაიერნი“ ბრწყინვალე ფორმაში, „მეფრა, — ფინალში გავლთ, აუცილებლად ჩამოვალ ამერიკიდან და გუნდს ტრიბუნიდან დაუჭერ მხარს“ — ბრძანა მათეუსმა. ვისეუტ დელ ბოსკეს სათქმელი რა ჰქონდა, — იმედია თამაშს მომავალში გამოვასწორებთო — განუცხადა ჟურნალისტებს და იკაურობას გაეცალა. „დიდებული სალაშო გახლდათ, ბრწყინვალედ ვითამაშეთ, დღეს „ბაიერნი“ შეუდარებელი იყო“. — დელ ბოსკესგან განსხვავებით ხარობდა ოტმარ ჰიტცფელდი. თუ სასწაული არ მოხდა, გერმანული კლუბი მეოთხედფინალში თიამაშებს, „რეალს“ კი — კიევის „დინამოსთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

ჯგუფის მეორე შეხვედრა სანახაობრივად ბევრად კი ჩამორჩებოდა პირველს, მაგრამ ურიგო

თამაში არ ეთქმოდა. „რუსენბორგმა“ თავიდანვე შეუტია, თუმცა პირველი გოლი საკუთარ კარში მიიღო. 32-ე წუთზე სერგეი რებროვმა თავურით გაიტანა. ხუთიოდე წუთში ბერგმა წონასწორობა აღადგინა. თამაშის ბედი მაინც რებროვმა გადაწყვიტა — კიევშიან ფორვარდმა 68-ე წუთზე ვარდნაში ულამაზესი გოლი გაიტანა და გუნდს მეოთხედფინალში თამაშის შანსი შეუნარჩუნა. გიორგი დემეტრაძემ მეორე ტაიმში შაცკისი შეცვალა და კარგ ფორვარდს რომ არ ევადრება, ისეთი მომენტები ვერ გამოიყენა. იმედია, „დემე“ მალე დაძლევს ფსიქოლოგიურ ბარიერს და ჩემპიონთა ლიგაში საკუთარ ანგარიშს გახსნის, კარგი იქნება, ეს თუ მომავალ ტურში მოახერხა მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუ“-ზე. მატჩის შემდეგ ნორვეგიელთა მწვრთნელმა ეგენმა სინანული გამოთქვა აურაცხელი მომენტის გამოუყენებლობის გამო და კიეველებს გამარჯვება მიულოცა. ალექსეი მხიაილჩენკომ კი ეგენის ქებაც შეიფერა და მადრიდში მოგების იმედიც გამოთქვა.

1. ბაიერნი 4 3 1 0 11-5 10  
2. რეალი 4 2 0 2 6-6 6  
3. დინამო 4 2 0 2 8-10 6  
4. რუსენბორგი 4 0 1 3 4-8 1

მომდევნო მატჩები: 14 მარტი. რეალი — ბაიერნი. რუსენბორგი.

## D ზეპუჰი

ჩელსი — ოლიმპიკი 10

ფერნორდი — ლაციო 00

ჯგუფის სამი გუნდი ინარჩუნებს მეოთხედფინალში გასვლის რეალურ შანსს და რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ცხრილს როტერდამის „ფეინოორდმა“ ლიდერობს. ჰოლანდიელებმა საბასუხო მატჩშიც დიდი ბრძოლა გაუმართეს რომის „ლაციოს“ და საერთო ჯამში ოთხი ქულა აართვეს, რითაც სათუო გახადეს ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი — „ლაციოს“ მეოთხედფინალში თამაში. რომაელები მთელი მატჩის მანძილზე უტყვენდნ, თუმცა ბრწყინვალედ თამაშობდა „ფერნორდმა“ მეკარე დედეკი, რომელიც სასწაულებს სჩადიოდა. ვერონი, მანჩინი და სალსი ამაოდ ცდილობდნ როტერდამელთა კარის დაღაშეკრას. ნულოვანი ფრე ჰოლანდიელებს უფრო აძლევდა ხელს. ახლა „ლაციოს“ სტუმრად „ჩელსის“ დამარცხება მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ



მეოთხედფინალის მიღმა აღმოჩნდება. მოგესხნებთ, „ლაციო“ ერთადერთი გუნდია, რომელიც იტალიელებს ევროთასებზე შემორჩათ და თუ ისიც ჯგუფიდან გაგარდა, იტალიელ ქომადებს სერია A-ს მატჩებში დამყაფილება მოუწევთ.

ბეერისაგან მოულოდნელად „ჩელსის“ დიდი ბრძოლა დასჭირდა მარსელის „ოლიმპიკის“ წინააღმდეგობის დასაძლევად. ერთადერთი გოლი უაიზმა გაიტანა პირველი ტაიმის 27-ე წუთზე. „ოლიმპიკმა“ კი მარცხის მიუხედავად, სეზონის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და ცოტა იღბალი რომ ჰქონოდა, ლონდონიდან სამ ქულასაც წამოიღებდა. „უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, უმნიშვნელოვნესი ქულები მოვიპოვეთ და მეოთხედფინალისაკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით“ — ხარობდა ჯან ლუკა ვიალი. ბერნარ კაზონიმ კარგი თამაშისთვის თავისიანებს მადლობა მოუხადა და აღნიშნა, რომ სწორედ იმ თეორიულ შანსის გამოყენებას შეეცდნენ, რომელიც „მარსელს“ მეოთხედფინალში გასაცვლელად დარჩა.

1. ფერნორდი 4 2 1 1 6-4 7  
2. ჩელსი 4 2 1 1 4-2 7  
3. ლაციო 4 1 2 1 3-2 5  
4. ოლიმპიკი 4 1 0 3 1-6 3

მომდევნო მატჩები: 14 მარტი. ლაციო — ოლიმპიკი. ფერნორდი — ჩელსი.

ჩემპიონთა ლიგის მატჩებს შესაძლოა აზრს გამოუტყოს ვიხივთ ბატონ მონარ ბაბაშოვს. — როგორ ფიქრობთ, მართლა იმხელა სხვაობაა „ბაიერნისა“ და „რე-

ალის“ სათამაშო კლასში, როგორსაც ორი მატჩის საერთო ანგარიში ასახავს?

— აქ მარტო ეს არ არის მთავარი. თუ „კლასში“ მაღალი კლასის მოთამაშეებს ვიგულისხმებთ, აქ შეიძლება „რეალს“ უკეთესადაც ჰქონდეს კაქმე, მაგრამ ხომ გაცხადებთ: არსებობს „ვარსკვლავების“ გუნდი და არსებობს „გუნდი-ვარსკვლავი“. „ბაიერნმა“ შეძლო მაქსიმალურად გამოეყენებინა ესპანელთა სუსტი ნერტილები: დაცვა და მეკარის გამოუცდებლობა. რაც შეეხება დაცვას: იეროს უამრავ შეცდომას რომ თავი დავანებოთ, ჩემთვის გაურკვეველია როტერტო კარლოსის, როგორც მცველის ფუნქცია. მართალია, ის ძალზე ნიჭიერი, მეტიც — გამორჩეულად ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ არა მგონია, რომ ორი-სამი ძლიერი საჯარიმო დარტყმა და თუნდაც ერთი გოლი იმ შედეგებად ღირდეს, რასაც საბოლოოდ იმკის „რეალი“ მეტოქის მოედანზე კარლოსის უთავბოლო სირბილის გამო.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ესპანელთა შეცდომები არ იყო „ბაიერნის“ ტრიუმფის მიზეზი. აქ პირველ რიგში მწვრთნელის გონივრული ტაქტიკა უნდა გახსნოთ და ცვლილებების დროულად გაკეთების უნარი, — უკვე მერამდენეჯერ გაუმართლა ციკლერმა ჰიტცფელდს, და კიდევ ერთი: ტვინი მარტო მეცვლას კი არ სჭირდება, არამედ — „არ-მეცვლასაც“. აქ ჰიტცფელდის მიერ მათეუსის არ-მეცვლას ვგულისხმობ. დააკვირდით, რამდენი მნიშვნელოვანი თამაში ჰქონდა „ბაიერნს“ მარშანდელი ჭკუისასწავლებელი ფინალის შემდეგ და მიუხედავად ასაკისა, მათეუსი თითქმის არასოდეს შეუცვლიათ, რადგან ბრწყინვალედ ართმევს თავს დაცვის ორგანიზაციის ფუნქციებს. ასე იყო ამ მატჩშიც.

ცალკეა აღსანიშნავი გერმანელთა მეკარის თამაში. თუმცა მე არ მომწონს ოლივერ კანის თამაშის მანერა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ დღეს ის ევროპაში საუკეთესოა.

— „რეალს“ ამ მარცხით კიევის „დინამოს“ შანსი გაუჩნდა, რას იტყვით მის თამაშზე და ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივაზე?

— შეგჩენვოს ნასვლის შემდეგ გამოჩნდა, თუ რა დიდი ძალა იყო ეს ფეხბურთელი კიევის „დინამოსათვის“. მაგრამ „დინამო“ მაინც ძლიერ გუნდად რჩება, რაც კარგად გამოჩნდა მეორე მატჩში. ძალზე ძნელია, ორჯერ ზედზედ ისეთი უხერხული მეტოქის დამარცხება, როგორიც „რუსენბორგია“.

ცალკე მინდა აღვნიშნო დემეტრაძის კარგი თამაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მომენტი გააცუდა, მეტოქის დაცვა მაინც — ერთიანად დაძაბული, მისი პერსონალური მეურვე კი მთლიანად გათიშული იყო თამაშიდან, მაშინაც კი, როცა შეტევაზე „რუსენბორგი“ იმყოფებოდა. აშკარაა, რომ ლობანოვსკი გიორგის ენდობა და მე მგონია, არ შეცდება, თუ შაცკისის მაგივრად მადრიდშიც მას დააყენებს შემადგენლობაში. რაც შეეხება გამოყენებულ მომენტებს, — ეს ცნობილი „პირველი გოლის“ ფაქტორია და დარწმუნებული ვარ, — ამ გოლის შემდეგ დემეტრაძე არანაკლებ ბომბარდირულ თვისებებს გამოამჟღავნებს, ვიდრე „ალანიაში“ თამაშობდა.

რაც შეეხება ჯგუფში უკრაინელთა პერსპექტივას — ის, რა თქმა უნდა, არსებობს. მათ უნდა შეძლონ „რეალის“ დაცვის სისუსტის გამოყენება. „ბაიერნი“, ბუნდესლიგაში დაძაბული სატურნირო მდგომარეობის გამო, ალბათ, კიევში სირბილით თავს არ მოიკლავს. ამის გათვალისწინებით, კიეველებს მადრიდში იქნებ ერთ ქულაზე თამაშზე აძლევდნენ ხელს.

## სხვა ჯგუფებზე რას იტყვით?

— მინდა აღვნიშნო „ლაციოსა“ და ჩელსის“ არცთუ კარგი თამაში, რაც სრულიადაც არ შეესაბამება ამ გუნდების შემადგენლობებს. „ჩელსის“ ასე თუ ისე, გაუმართლა, აი „ლაციოს“ კი — ძალზე გაუჭირდება ჯგუფიდან გასვლა, რაც რომაელებმა „ფეინოორდთან“ პირველი თამაშის ნაგებას უნდა დააბრალდონ. ის მარცხი კი, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალედ მოთამაშე ვერონის დროზე ადრე შეცვლამ გამოიწვია. სწორედ ამას ვგულისხმობდი, როდესაც ზემოთ „არმეცვლას“ ჰიტცფელდისეულ ცოდნაზე ვსაუბრობდი.

ესაუბრა ზ. გურული

# ჩაო, იტალია!

მერვედფინალში 4(!) იტალიური კლუბი გავარდა!



კრახით დასრულდა იტალიური კლუბების გამოსვლა უფას თასის გათამაშებაში. სერია A-ს სამმა გრანდმა — „იუვენტუსმა“, „რომამ“ და „პარმამ“ მერვედფინალურ ეტაპზე სრული ფიასკო განიცადა, მათ „უდინეზეც“ დაემატა და ტურნირი იტალიელთა გარეშე დარჩა. ყველაზე დიდი სენსაცია ვიგოს „სელტამ“ მოახდინა, რომელმაც სტუმრად 0:1 ნაგების შემდეგ, შინ 4:0 მოუგო ვარსკვლავებით გადაჭყდილ „იუვენტუსს“. აღსანიშნავია, რომ შესხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ზინედინ ზიდანს. „ამით დასუსტებული“ ბებერი ქალბატონი“ კი კონტემ და მონტერომაც დააღალატეს და „იუვენს“ მთელი მეორე ტაიმის ჩატარება ცხრა კაცით მოუხდა. შედეგი სახეზე. უდიდეს ინტერესს იწვევდა მატჩი ლიდში, სადაც „ლიდს იუნაიტედმა“ კიუელის ერთადერთი გოლის წყალობით მოუგო ფაბიო კაპელოს „რომას“ და პირველი ნულოვანი ფრეს შემდეგ ისიც მეოთხედფინალში გავიდა. „პარმამ“ მართალია, პირველი შეხვედრა შინ 1:0 მოუგო ბრემენის „ვერდერს“, მაგრამ სტუმრად 1:3 წააგო და მეოთხედფინალის მიღმა დარჩა. აღსანიშნავია ჩესური „სლავიას“ მიერ იტალიური „უდინეზეს“ ორი მატჩის ჯამში ძლევაც. სხვა შესხვედრებში სენსაცია არ მომხდარა და მეოთხედფინალში ფავორიტები გავიდნენ.

## შუაზას თასი.

მომადფინალში. II წრე.

ლიდსი (ინგლისი) — რომა (იტალია) 1:0 (პირველი მატჩი 0:0)  
გალათასარაი (თურქეთი) — დორტმუნდი (გერმანია) 0:0 (2:0)  
ლამი (საფრანგეთი) — ატლანტიკო (ესპანეთი) 4:2 (2:2)  
სელტა (ესპანეთი) — იუვენტუსი (იტალია) 4:0 (0:1)  
დეპორტივო (ესპანეთი) — არსენალი (ინგლისი) 2:1 (1:5)  
მონაკო (საფრანგეთი) — მალიორკა (ესპანეთი) 1:0 (1:4)  
ვერდერი (გერმანია) — პარმა (იტალია) 3:1 (0:1)  
უდინეზე (იტალია) — სლავია (ჩეხეთი) 2:1 (0:1)

შუაზას თასი. მოთხადფინალში  
მალიორკა — გალათასარაი  
არსენალი — ვერდერი  
სელტა — ლანსი  
ლიდსი — სლავია

პირველი შესხვედრები გაიმართება 16 მარტს, საბასუხო — 23 მარტს.

# საქართველოს თასი

მერვედფინალის საბასუხო მატჩები


8 და 9 მარტს საქართველოს სტადიონებზე ეროვნული თასის გათამაშების საბასუხო მერვედფინალური შესხვედრები გაიმართა. რაიმე მოულოდნელობა არ მომხდარა და ფავორიტთაგან ყველამ გაიხადა მეოთხედფინალის საგზური.

9 მარტი  
გურია — დინამო 0:3 (პირველი მატჩი 0:6)  
8 მარტი  
ტორპედო — აკადემია 2:0 (5:0)  
თბილისი — ლოკომოტივი 0:1 (1:1)  
ზოოვეტი — დილა 1:2 (0:3)  
მერანი — კოლხეთი 0:0 (0:1)

## საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შაჰების დაშამათება არ უნდა გაეიჭიროდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).  
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ე2.









## მაიას უპველესი ფრასკაბი

მეცნიერის სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე უსუ-მასინის სანაპიროზე არსებული მაიას ტომების ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ნანგრევების ასაკი არქეოლოგებმა სულ ცოტა, 1200 წლით განსაზღვრეს.

უძველესი ქალაქის ამბავი მსოფლიომ 1946 წელს გაიგო, როცა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ჯუნგლების გავლით იქ მიიყვანეს პირველი თეთრკანიანი ადამიანი, ამერიკელი მკვლევარი და ფოტოგრაფი ჯილ ჰილი. ერთ-ერთ ნახევრად დანგრეულ შენობაში ჰილი წააწყდა საოცარი ფრესკებით მოხატულ ოთახებს. ქალაქს ერქვა ბონამპაკი, რაც მაიას ენაზე ნიშნავს „ფერად კედლებს“. ქალაქის ადგილმდებარეობა აღინიშნა გეოგრაფიულ რუკაზე.

1984 წელს სახელმწიფომ დაიწყო ბონამპაკის ფრესკების განმეწნა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ძველ ინდიელთა ხელოვნების შედევრები წარდგა თანამედროვეთა წინაშე.

## იმ დღეს დახრულდა ახურეთის სამეფოს



მიდიელებმა გადაუტყველეს ასურეთი, ცეცხლის ალში იყო გახვეული დედაქალაქი ნინეფი. გამარჯვებული მიდიელები სისხლის გუბებში დაბოტებდნენ და შეძახვებს ეხვეოდნენ. ერთმანეთში ირთულა ჯარისკაცების ხარხარი და მომავლადეთა კენესა... ამ სისხლიან ლამეს სამუდამოდ დაეშო ასირიელთა სამეფო...

დილით მიდიელები ნინეფიაში უნდა შესულიყვნენ.

დედაქალაქში კი სულ სხვა განწყობა სუფევდა. მეფეთ მეფე სინ-შარშუკის ბრძანებით, მალე-მსრბოლი დიდებულებს სასახლეში ინვედნენ.

„მეფე გაგიჟდა“, — ჭურჩულებდნენ ბანოვანნი.

„რა დროს ღვინოა, როცა ქვეყანა ხელიდან გვეცლება“, — ჩიოდნენ დიდებულები. მეფის ძალაუფლება რამდენიმე საათში ამოიწურებოდა. მიუხედავად ამისა, ვერავინ გაბედა ურჩობა.

საზეიმოდ მორთული-მოკაზმული, გაოგნებული დასერილობდნენ ბრწყინვალე ტალანტებში წვეულნი.

მეფე სინ-შარშუკი იმ სპილოს ძეგლის სამეფო ტახტზე იჯდა, საიდანაც 15 წლის წინ თავისი მოხუცი მამა ჩამოაგდო. თავზე ობობის მსგავსი ოქროს გვირგვინი ედგა. მზერაგაყინული ხვედბოდა მის წინ დამსობილ ქვეშევრდომებს. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. სუფრას არავინ ეკარებოდა, მეფის ნიშანს ელოდნენ. ხელმწიფე ფიქრებში ჩაძირულიყო. შუაღამისას სასახლის ყველა კარი ჩარახეს. გასასვლელებთან ჩუგლუგ-შემართული მცველები დადგნენ. მეფე წამოდგა:

— ასურეთის რჩეულნი, მე თქვენ უკანასკნელ ნადიმზე მოგვიწვიეთ, თქვენ წინაშე მოგვინილია ჩემი ხაზინის განძეული — ზურმუხტი და იაგუნ-და, ოქრო და ჩინური აბრეშუმი. ჩემი მეფობის უკანასკნელი ღამე მსურს ისე გავატარო, როგორც უდიდესი დღესასწაული. ეს ოქრო-ვერცხლი თქვენია, წაიღეთ, რამდენსაც მოურევით. დრო გაატარეთ. გვარავნებო ასურეთის დიდი ღმერთები.

მეფე დაეშვა ტახტზე და მთელი ღამე ხმაგაგმენდილი იჯდა. სტუმრები ჯერ მალულად იცხებდ-

ერთ-ერთ ფრესკაზე გამოსახულია შთამბეჭდავი საზეიმო სცენა — იმპერიის უმაღლესი საზოგადოებისთვის ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრის წარდგენა.

დანარჩენები მოგვითხრობენ ხელნართული ბრძოლების ეპიზოდებს.

ბონამპაკის ფრესკები ისევე, როგორც მაიას მთელი ცივილიზაცია, ბევრ საიდუმლოს ინახავს. როგორც ჩანს, სასახლის კედლების მოხატვა არ დასრულებულა. ეტყობა, მოსახლეობამ მალე დატოვა ქალაქი...

ნლო №5

## არსებობა

წენ ჯიბეებს ძვირფასი ქვებით. შემდეგ გათამამდნენ და სამეფო ძვირფასეულობას დაერივნენ. ხელნართული ბრძოლა გააჩაღეს მარგალიტის სამკაულისთვის, რომელიც ოდესღაც ბაბილონის დედოფალს აკებოდა. თანდათან სუფრისთვისაც მოიცალეს. ასწლოვანი ღვინით სვამდნენ მეფის სადღეგრძელოს, გლეჯდნენ შერბნულ ხარებს და ირმებს... ძელებს სუფრის ქვეშ ყრიდნენ, ღვინოვით თავისი გაიტანა. თანდათან ღვინო ველურ ღრეობად გადაიქცა, დიდებულთა ჯარისკაცებიც და მსახურებიც შეუერთდნენ.

მეფე ქანდაკივით იჯდა. „მალე დაიწყება“, — გაიფიქრა სინ-შარშუკმა და მართლაც, დარბაზის სხვადასხვა მხრიდან გაისმა არაადამიანური ღრიალი. დიდებულები მოცულიყვნენ ცეცხლიდან, ზოგი იკრუნჩხებოდა და პირიდან სისხლიანი ქაფი სდიოდა... მონესე, რომელიც სტუმრებს ზღუბრდთან ოქროს კვერთხით ხედეოდა, გამშავებული გაჰყვიროდა, — ღვინომ მოგვწამლა!

„ღვინო კი არა, ყველა კერძი მოწამლულია“, — წაიჩურჩულა გაღიმებულმა მეფემ.

რამდენიმე წუთში დარბაზი წამდვილ სიკვდილის საუფლოს დაეშვა. ასობით ადამიანი ეყარა იატაკზე. ცოცხლად დარჩენილებმა კარებს მიაშურეს, მაგრამ იქ ბასრმახვილიანი მცველები დახვდნენ. „ჩირადღენი, — ბრძანა მეფემ, — ჩვენ ერთად დავიხოცებით“, — ზეცისკენ აღაპკრო ხელები და დაიყვირა, — ჰეინ, მიდიის მეფე! შენ დამამარცხე, მაგრამ აბა, რას იპოვი დამარცხებულ დედაქალაქში, ნაცარტუტად ქცეულ განძეულს? რას ეტყვი შენს ჯარისკაცებს, რომლებიც სააზრკო სიმდიდრეს ელიან? ვის გააბარებ ოქროს გალიით ხალხის წინაშე, მე თუ არ ვიქნები? დღეს ასურეთის უკანასკნელი ღამეა, იმ სახელმწიფოსი, რომელიც ათასი წელი მყარად იდგა ფეხზე. მე მივდივარ დაუმარცხებელი, შენ ვერ იპოვი იმას, რასაც ეძებ. ჩემი ქვეშევრდომების ჭკუა-გონება არ გამოიგონებს! შენთვის ახალ იარაღს, ვერც ჩემი ოქრო-ალმასებით მორთულ შენი პარამხანის ცოლებს. რას გააკეთებ ამ ნაცარტუტით?!. ჰა-ჰა-ჰა-ჰა! — სატანურად გადაიხარხარა სინ-შარშუკმა და მდულარე შხამიანი ღვინო მიიყუდა... დალია ერთი მოსმით და კვლავ განაგრძო ისტერიული სიცილი... იგი მაშინაც იცინოდა, როცა ცეცხლის ალი ულოკავდა სახეს...

ეს მოხდა 612 წლის 12 ივნისს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ასე დასრულდა ასურეთის სამეფოს სიცოცხლე...

სომხედნი №15

## ასლუმები „ნადიბიმა“ მილიტნებზე

სიყვარულსა და ბედნიერებას, რასაკვირველია, ფულით ვერ იყიდი; სამაგიეროდ, ცხოვრების თანამგზავრის შეძენას ნამდვილად შეძლებ.

ლას-ვეგასის სატელევიზიო პროგრამამ „ვის სურს მილიონ-ერს მისთხოვდეს“, უამრავ მსურველს მოუყარა თავი.

კონკურსზე ქალები ჭარბობდნენ. მკაცრმა ჟიურიმ მხოლოდ 50 მშვენიერ მანდილოსანს მისცა შეჯიბრებაში მონაწილეობის დასტური. მამაკაცები, რომლებსაც მილიონ დოლარზე ნაკლები ღირებულების ქონება ჰქონდათ. საერთოდ არ მიაკარეს ლამაზმანებს. ბედმა მხოლოდ ერთს — რიკ როულეს გაუღიმა.

კულისებში მდგარი რიკი გაფაციცებით ადევნებდა თვალს მისი ცოლობის პრეტენდენტებს, აფასებდა მათ გარეგნობას, ჭკუა-გონებას, სიტყვა-პასუხს. ბოლოს, ნათესავებსა და მეგობრებს მოეთათბირა და ცხოვრების მეგობრად მომხიბლავი დარგვ კინგერი აირჩია.

წყვილს პრეზიდენტშივე მიულოცეს. სიხარულით თავბრუდახვეული ქალი პირდაპირ ხელეშში ჩაუვარდა საქმროს. ტელევიზიამ ძალიან მოითბო ხელი ამ კონკურსით და მილიონებზე ნადირობას აგრძელებს...



გაშინგონ პოსტი №32

## მანიაკის რჩევები

მანიაკი-მკვლეელი ვალოდია მუხანკინი როგორც იქნა, დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობაც მიუსაჯეს. შეიძლება ითქვას, რომ მან მხეცური მკვლელობების სერიით რეკორდიც კი დაამყარა. ახლა არ გვიამბობთ მის მიერ ჩადენილი სამიწიანობების შესახებ. საინტერესო ის არის, რომ გამომძიებლის, ამურხან იანდიევის რჩევით მანიაკმა საკანში მემუარების წერა დაიწყო, ლექსებს მანამდეც წერდა... ამბობენ, თავისი ლექსები პატიმართა შემწყნარებელი კომისიის წევრებსაც გაუგზავნა — იქ კეთილი ხალხი ზის და რომ ნახავენ ჩემს ლექსებს, იტყვიან, ასეთი ფაქიზი და პოეტური ნაშთა როგორ უნდა დაეწავათო.

ერთხელ გამომძიებელმა იანდიევმა მუხანკინს ჰკითხა, როგორ შევიცნოთ მანიაკი ხალხის თავ-

შეყრის ადგილასო. ვალოდია იყვირა და ბოლოს მოუყვია: „ვერ იცნობ, ვერაფრით გამოარჩევი“. მაგრამ, რამდენიმე დღის შემდეგ მან გამომძიებელს ოთხი რჩევა მაინც მისცა:

1. დანაშაულის ჩადენის წინ მანიაკს ტემპერატურა მაღლა ეწევა — 38°-მდე და მეტად.

2. „საქმეზე“ წასვლისას მანიაკი ისე არ იცვამს, როგორც ჩვეულებრივ. მას ძალზე უბრალო სამოსი აცვია, რომელიც შეუძლია ადვილად გადაადგოს, თუკი სისხლით დაისვრება.

3. თუ მარტოხელა კაცი სკოლის ან საბავშვო ბაღის წინ უმიზეზოდ ტრიალებს — ის ალბათ მანიაკია, თუნდაც პოტენციური.

4. თუ მას გააგდებთ — იგი აუცილებლად დაბრუნდება.

კომპოზიციის პრადა №41

## საბადისწარმო აისბერგი

გრენლანდიელმა ოკეანოლოგებმა ორი წლის წინ აღმოაჩინეს აისბერგი, რომელიც 1912 წელს „ტიტანიკის“ დაღუპვის მიზეზი გახდა. იგი 90 წელზე მეტი ხნისაა. მეცნიერები, ერიკ ქრისტიანსონის ხელმძღვანელობით, ატლანტის ოკეანეში შეეფეთნენ აისბერგს, მოახერხეს მასზე გადასვლა და გულმოდგინედ შეისწავლეს. მათ დაადგინეს, რომ სწორედ ამ ყინულოვანმა ურჩხულმა გაგლიჯა „ტიტანიკის“ კორპუსი. აისბერგზე აღმოაჩინეს სამი გაყინული ადამიანის ნეშტი, სპეცფორმის ნაფლეთები, სასწაული გადარჩენილი წარწერით „B.M.S. titanic“ და საბედისწერო 1912 წელს დამზადებული მაგის საათები. აისბერგი 10 სართულიანი სახლის სიმაღლისაა, მისი ერთი მესამედი წყლის ქვეშაა, სიგანე დაახლოებით ორი მილია.

გარდა დაღუპული „ტიტანიკის“ ნარჩენებისა, მეცნიერებმა ყინულის ლოდში აღმოაჩინეს სხვადასხვა ეპოქის საგნები. მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ანძისა და 50-იანი წლების იალქნიანი გემის ნაშესტევები.

მოპოვებული მასალა მეცნიერებს საშუალებას აძლევს დაასკვნან, რომ აისბერგმა „ტი-

ტანიკის“ შემდეგ კიდევ ორი გემი იმსხვერპლა. მათი ვარაუდი დამაგრეველი ძალის ყინულის ურჩხულის შესახებ დადასტურდა. აწინაგარში აისბერგი ისევ გახდა გემების დაღუპვის მიზეზი. თევზსაჭერი გემის „Beat-rixs“-ის მეზღვაურებმა, შეჯახებამდე ერთი წამით ადრე დაინახეს იგი, თითქოს პაერიდან გაჩნდაო. მესაჭე შეეცადა ასცდენოდა, მაგრამ ამაოდ — საჭე მარჯვნივ მოაბრუნა და ყინულის მთაც იმავე მხარეს გადაიხარა. გემი ცდილობდა გაქცეოდა აისბერგს მარცხნივ და ურჩხულიც მარცხნივ გაჩნდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წუთი, სანამ ურჩხულს არ დაეჯახა... 32 ადამიანიდან გადარჩა მხოლოდ 5, რომლებიც რამდენიმე საათის შემდეგ თევზსაჭერმა გემებმა გამოიყვანეს.

ყინული ისე იქცეოდა, თითქოს მოაზროვნე არსება ყოფილიყო. ეს სიკვდილის თეთრი მთა გულგრილად და დაუნდობლად ხოცავდა ყველას. იქნებ თავად ეშმაკი იყო, — თქვა ერთ-ერთმა გადარჩენილმა მეზღვაურმა მარტინ ვან გესტერმა.

მეგაპოლის-ექსპრესი №9

## იცით, რომ...

— ფესსაცმლის ზომა პირველად 1305 წელს გაჩნდა, ინგლისის მეფემ ედუარდ-მა საგანგებო ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით ერთი დიუმი 3 ხმელი ხორბლის მარცვლის ტოლი იყო. ხორბლის მარცვლით იზომებოდა ფესსაცმლის სიგრძე.

— მსოფლიოში უძველესი ფესსაცმელია სანდალი. ისინი „ეროვნული თავისებურებით“ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგალითად, ეგვიპტელების სანალები მზადდებოდა ჩალის ან პაპირუსისგან. ფესსაცმლის ლანჩა გამოსახავდა მტრის სახეს. ადამიანი თითქოს მუდამ ტყვენიდა ღუშმას.

— კონკრის ფესსაცმელები ბროლის კი არა, ბენვისა იყო. სახელწოდება შეიცვალა ზღაპრის დენიდან — ჩინურიდან ფრანგულად თარგმნის დროს. დაუკვირვებლობისა თუ წინასწარგანზრახვით სიტყვა „ვაირ“ (ციყვის ზენე) მთარგმნელმა გადმოიტანა „ვერე“ (მინა).

— „საბოტაჟი“ წარმოდგება სიტყვიდან „საბო“. 1890 წელს ფრანგი ფეიქრების აჯანყების დროს

ერთ-ერთმა გაიხადა ხისლანნიანი ფესსაცმელი საბო და საქსოვ დაზგაში ჩაჩარა.

— მსოფლიოში ფესსაცმლის უდიდესი კოლექცია (12.000 წყვილი) ინგლისის ქალაქ ნორტჰემპტონის მუზეუმში ინახება.

— ანგლო-საქსური ტრადიციის მიხედვით, ქორწილის დროს სასიამაორო მთარმევს სასიძოს ქალის ფესსაცმელს, რითაც იგი თავის რჩეულს შეეხება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან ქალი მისი კუთვნილებაა.

— ლოს-ანჯელესში, „ქრისტის“ აუქციონზე 30 ათას დოლარად გაიყიდა კრივის მეფის — მოჰამედ ალის ტყავის სპორტული ფესსაცმელები.

— სელინ დიონს 1.000 წყვილი ფესსაცმელი ჰქონია. სხვადასხვა გუნება-განწყობილებისას შესატყვისი ფესსაცმელი მჭირდებოდა, — აცხადებს დიონი.

ეტყობა, ძალზე ცვალებადი ხასიათი აქვს.

როგენიკი №3


## სკოტენი განიკი ალბილი პიუთითა

ავსტრიის მშვიდი ტბის ტოპლიტის სიმყუდროვე იშვიათად თუ ვინმეს დაურღვევია, მაგრამ ძალიან მალე ამ იდილიას ბოლო მოეღება. ამ დღეებში მუშაობას შეუდგება ამერიკის ტელეარხ სიბი-ეს-ის მიერ ორგანიზებული ძვირადღირებული ექსპედიცია, რომელიც 15 მლნ დოლარი ჯდება. მიზანი კი საკმაოდ პროზაულია — ამერიკული დისტანციური მართვის წყალქვეშა ნავი უნდა ჩაეშვას ტბის ფსკერზე და მოიძიოს ნაცისტების მიერ ომის დასასრულს გადამალული განძი. ავსტრიელებმა უკვე სცადეს მსგავსი სამუშაოს ჩატარება, მაგრამ ყალბი ინგლისური სტერლინგებით გატენილი კონტეინერების გარდა, ვერაფერი იპოვეს.

თავდაჯერებული იანკები დარწმუნებული არიან, რომ სანადელს მიაღწევენ, მათ ხელთ აქვთ ოტო სკორცენის მიერ შედგენილი გეგმა.

ექსპედიციაში მონაწილეობენ „ტიტანიკის“ აღმოჩენი აკვალანგისტები.

პოსტდენე ნოვოსტი №8



**თარაზულად:** 7. სექტემბერი, გიორგობა; 8. კირი, არტაშანი; 10. აუზი, ბრასი; 11. შტრაუსი, „დურ გიუნტი“; 12. ხვლიკი, მისისიპი; 15. ჯოული, დენი; 18. ხვანჭკარა, ესპანეთი; 19. ლერზინდი, თეატრი; 20. ორმო, საკანი; 21. ელჩი, რომის პაპი; 23. ნახშირი, ფანქარი; 26. ნანეტი, კრივი; 27. აბრაგი, ზღვა; 31. ობელისკი, გულივერი; 33. შავი, ლარი; 34. მისანი, ქურუმი; 35. ბასილია, არწივი; 36. ვაშლი, ძონი.

**შეშულად:** 1. სექტეცხოველი, პარიზი; 2. კბილი, ქვაბი; 3. თეთრი სახლი, წითელი მოედანი; 4. რინტი, ანგინა; 5. ვარძია, სოხუმი; 6. რეგრესი, წინსვლა; 9. ს. მორბელაძე, ესპანეთი; 13. პერიფერია, სოფელი; 14. თეატრი, ვარჯიში; 16. ვიქტორია, ამერიკა; 17. მყიდველი, მომხმარებელი; 22. დანია, ოსლო; 24. სანარმო, ოფისი; 25. ემიგრანტი, აფხაზეთი; 28. სისხლი, საჩუქარი; 29. სალამური, გუდა; 30. მინა, გუგა; 32. ჩინეთი, პონგკონგი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ნაკადული; 7. დაღმაცია; 9. დაღასი; 10. გალია; 12. ანისი; 14. ნისლი; 15. რეზინი, ანგინა; 18. არლანი; 19. კაკალი; 23. მდინარე; 24. ცხენი; 26. ბადე; 29. სარფი; 30. ხირიმი; 31. ადგოვანი; 32. ჩურჩხელა.

**შეშულად:** 1. ზარანდია; 2. ადესა; 3. გადია; 4. მარანი; 5. დინასტია; 8. ბანანი; 11. კურანტი; 13. ფლორა; 16. ამარეტი; 17. გლეხი; 20. ინვალიდი; 21. კანაფი; 22. ანსამბლი; 25. ფეისო; 27. ტახტი; 28. გირჩი.







მხოლოდ ერთი იმედით ვცოცხლობდი — ჯიშს შევხედვოდი. ის ყოველთვის რჩებოდა ჩემს ქმრად, ერთადერთ ადამიანად, რომელიც მიყვარდა. მიუხედავად ათასი განცხადებისა, რომლის დანერგვაც მაიძულებდნენ ტირანები, მათ ვერ შეძლეს და ვერასოდეს შეძლებენ განადგურონ ჩემი მთავარი, რაც მაკავშირებს ჩემს ქმართან, უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება. ამის აღმოფხვრა შეუძლებელია. თვით სიკვდილიც ვერ შეძლებს, მაიძულოს წავიდე იმქვეყნად მისი სიყვარულის გარეშე. ის, რაც მე შემემთხვა, არ უნდა განმეორდეს... მე ვამაყობ ჩემი ქმრით და მადლობელი ვარ ბედისა, რომელმაც მაჩუქა ასეთი ადამიანი...

ეს სიტყვები ეკუთვნის ქალბატონ ქეთევან ნადარეიშვილს, მშვენიერ, უნიჭიერეს ბალერინას, რომელიც ეწაბა იმის გამო, რომ ინგლისელი შეუყვარდა... ამ გრძნობას შეეწირა მისი თავისუფლება, კარიერა, მისი ახლობლების სიმშვიდე... რომ არა სიყვარული, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა ცხ-



## მე ვამაყობ ჩემი ქმრით და მადლობელი ვარ ბედისა — ქეთევან ნადარეიშვილი

ოვრება, რომელიც ბევრ სიკეთესა და წარმატებას ჰპირდებოდა.

— მაიდა 5 წლისა იყო, როცა საშობაო ხესთან იცვება გიორგი გვაზავას ოჯახში გამართულ წვეულებაზე, — გვიამბობს ნელი ნადარეიშვილი, ქალბატონი ქეთოს მისწული — სტუმრები აღფრთოვანებულან. ამის შემდეგ მიიყვანეს მარია პერინის საბალეტო სტუდიაში, სადაც შემდგომში უფასოდაც კი აგრძელებდა მეცადინეობას, როგორც უნიჭიერესი მოცეკვავე... სხვათა შორის, პერინი უფასოდ ამეცადინებდა ვახტანგ ჭაბუკიანსაც. როცა ბაბუას გარდაცვალების შემდეგ ოჯახს ძალიან გაუჭირდა, ქეთევანი ჩუმად გავიდა კონკურსში, გაიმარჯვა და მოხვდა ოპერისა და ბალეტის თეატრში... მხოლოდ პირველი სპექტაკლის შემდეგ გაიგო ბებია ქალიშვილის თეატრში მოღვაწეობის შესახებ. 1941 წლიდან 1946 წლამდე ქეთევანი პრიმა-ბალერინა იყო. ქეთო და ლენინგრადიდან დაბრუნებული ვახტანგ ჭაბუკიანი თითქმის ყველა სპექტაკლში პარტნიორები იყვნენ...

ომის დროს თბილისში მუშაობდა ბრიტანეთის სამხედრო მისია, რომლის ხელმძღვანელი იყო პოლკოვნიკი გორდონ რეტივერს უეი. დაბნელებილია თუ არა, ფანჯრებს შავ ან მუქ ლურჯ ფარდებს აფარებდნენ... მხოლოდ ოპერის თეატრის შენობიდან გამოდიოდა სინათლე უკუნაღებო... ბრიტანეთის მისიის უფრობიც ესწრებოდნენ სპექტაკლებს. უეის ძალიან მოსწონდა ქეთევანი. ერთ-ერთი წარმოდგენის შემდეგ ვარდების დიდი თაიგულით დახვდა მშვენიერ მოცეკვავეს. გაჰყვირებდა ყმანელი ქალს, — ომში, ზამთარში, საიდან ასეთი თაიგული?!

ასე დაიწყო მათი სიყვარული... უეიმ კარგად იცოდა რუსული. იყო პირველი კლასის თარჯიმანი, შესანიშნავად ერკვეოდა ხელოვნებაში, უკრავდა ფორტეპიანოზე, თხზავდა კიდევ მელიოდებს.

უსაზღვრო იყო მათი სიყვარული. 6 თვის მანძილზე ელოდნენ პრესიდენტიმის თავმჯდომარის თანხმობას ქორწინებაზე. 1942 წ. სექტემბერში დაქორწინდნენ. უეიმ თხოვნით მიმართა ელქს, დახმარებოდა ქეთევანს სსრკ მოქალაქეობის მოხსნასა და ინგლისის მოქალაქეობის მიღებაში...

1946 წელს პოლიტიკურ ასპარეზზე სიტუაცია გამწვავდა. უეი ამ დროს ყაყმი იმყოფებოდა სამსახურებრივი მისიით...

ქეთევანს დიდხანს ეძებდა ქმარი, ოფიციალურად ითხოვდა ცნობებს მის შესახებ... ამოაო.

1946 წელს ქეთევანი კომკავშირის ცვ-ში გამოიძახეს და არჩევისი წინაშე დააყენეს — ან კომკავშირის ბილეთი, ან ინგლისელი ქმარი. მის კომკავშირის ბილეთი დაუტოვებია. მალე მის წასაყვანად ისევ მოსულან... ჩაუტყვემ მანქანაში. გაგიჟებული მისდევდა თურმე მანქანას ქეთევანის საყვარელი სეტური. ეტყობა, გრძნობდა, რომ ველარასოდეს წახავდა. უბრადაც — დაწერეთ, რომ ინგლისელი არ გიყვართ და ის

ქორწინებაც გათამაშებული იყო. როცა მიზანს ვერ მიაღწიეს, ჩაიყვანეს მიწისქვეშეთის მეოთხე სართულის საკანში... ღამით ინწყებოდა დაკითხვა. ელექტროდენით აწამებდნენ ისე, რომ ცხვირ-პირსა და ყურებიდან სისხლი სდიოდა. მინც არ მოაწერა ხელი.

6 თვის წამების შემდეგ გადაიყვანეს ორთაქალის ციხეში... შემდეგ გადასახლეს. ციმბირში მშენებლობაზე მუშაობდა. მძიმე შრომის შემდეგ აიძულებდნენ, წარმოდგენები გაემართა უფროსებისა და პატიმრებისათვის...

1951 წელს ამოიწურა პატიმრობის ვადა. ქეთევანი დაბრუნდა თბილისში. თუმცა მისი დევნა კიდევ გრძელდებოდა. თეატრში ხომ არ შეუშვებს, მერე თბილისში ცხოვრებაც აუკრძალეს...

გორში გადაიყვანეს... ბოლოს და ბოლოს, აიძულეს მოეწერა ხელი განქორწინების მოწმობაზე... ამის მერე დააბრუნეს ოპერისა და ბალეტის თეატრში, ოღონდ მეორეხარისხოვან მოცეკვავედ...

როცა მაიმდას ვეკითხებოდი, რატომ არ გათხოვედი-მეთქი, სევდიანად მპასუხობდა — ვისაც გავიცნობდი, ყველას მას ვაძარებდი და მისი ნახევარიც კი არავინ იყო...

— ქეთევანის მოწამებრივ ცხოვრება და სიყვარული კარგად არის ცნობილი, თუ იცით რაიმე უფრო შემდგომ ცხოვრებაზე? — ის 1946-47 წლებში ეძებდა ქეთოს... 1950 წელს კი ცოლი შეურთავს. როგორც ჩემთვის ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი, ორი შვილიც შესძენია. სამსახურიდან გადამდგარა სამეფო არტილის ბრიგადის გენერ-



ლის ჩინით. შემდეგ კი გაერთიანებული ჯარების დაზვერვის უფროსად უმუშავია.

— გაიგო უეიმ ქეთევანის მიმეცხოვრების შესახებ?

— დიხს, ყოველ შემთხვევაში, 60-იან წლებში მაინც... იმ წანებში საქართველოში ჩამოვიდა ქეთოს მეზობელი ბიკოვა-ედივარდსი, რომელიც ინგლისში გათხოვდა, გაჰყვა იმავე მისიის ერთ-ერთ წევრს. ის აუცილებლად გადასცემდა ამ ამბავს უეის... ბიკოვას უჭირდა ქეთევანისთვის სიმართლე თქვა გორდონზე, მხოლოდ ეს უთქვამს: ჯიმი სულ შენზე საუბრობს, შენზე დარდობს...

მაიმდას უკვირდა, რატომ ვერ მოაწვდინა ხმა უეიმს. ისე გარდაიცვალა, არც კი შეუტყვია, რომ მის ყოფილ ქმარს ცოლ-შვილი ჰყავდა. თუმცა, რა ვიცი, შეიძლება რაღაც გაიგო კიდევ, მაგრამ არ დავიჯერებდა არასოდეს!

1972 წელს ჩამოვიდნენ ბრიტანეთიდან თეატრმცოდნეები. მათ ჩამოუტანიათ წერილი უეისაგან და ქალბატონ მედია ჯაფარიძის სახლში გადაუციათ ქეთევანისთვის. ეს წერილი ჩემთან არასოდეს უხსენებია... და არასოდეს უნანია უეისთან შეხვედრა.

— ვიცი, რომ რაღაც კავშირი გაქვთ ინგლისთან...

— მარტში ველოდებით სტუმრებს ბრიტანეთიდან. მომზადებულია ბრიტანულ-ქართული სცენარი, რეჟისორები შეირჩევა ორივე მხრიდან. გადაიღებენ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს... აპირებენ წინის გამოცემას „მოგონებები საქართველოზე“, სადაც 10-12 თავი ქეთევანის ოჯახს მიეძღვნება. განზრახულია მხატვრული ფილმის გადაღებაც.

ეს უბედურება მარტო ქეთევან ნადარეიშვილს არ დასტესია თავს. ბრიტანეთის ტელევიზიით ფილმაც კი გადაიღეს: „საბჭოთა ცოლები“... ზოგმა მოახერხა გასტროლოდა „რკინის რეჟიმს“, ზოგმა ვერასოდეს იხილა მეუღლე, ვერ გააღწია საბჭოთა კავშირიდან.

ქალბატონი ქეთევან ნადარეიშვილი ყოველ ღამით ინგლისურად უსტრუვებდა ძილინებისას თავის ძმისწულს და მერე კიდევ ამბობდა რაღაცას, ალბათ უეისაც ემშვიდობებოდა...

სიყვარული ხომ უცნაურია, შეიძლება იქ აღმოცენდეს, სადაც არავინ ელის... იგი ზოგჯერ, სულისათვის უმძიმეს ტვირთად შეიძლება იქცეს... ყველა ვერ მოერევა ამ ტვირთს... ქეთევანმა ბოლომდე უდრტივებლად ატარა... გორდონ უეი კი, როგორც ჩანს, მალე დაიღალა... მიუხედავად ამისა, ქეთევანის ცნობიერებაში ის დარჩა პიროვნებად, რომელიც განსახიერება იყო ინგლისელი ხალხის საუკეთესო თვისებისა.

ლელა ჯიგაშვილი



ორაკული №3

## ანდამაცი სიყვარულისთვის

სიყვარული რომ თქვენს ცხოვრებაში „შემოიქცეოთ“, უნდა ისწავლოთ კარგ გუნებაზე ყოფნა. მერე რა, რომ სწორედ ახლა თავს დათრგუნვილად გრძნობთ, უამრავი პრობლემა გაქვთ გადასაწყვეტი და საერთოდ არაფერი გამოგდით. ეძებთ კარგი გუნება-განწყობის წყარო (ვარცხნილობა შეიცვალეთ, მეგობრებს ხშირად შეხვდით. ბოლოს და ბოლოს, გაიჭირვეთ და ახალი ჯემპრი შეიძინეთ). აღარ უყუროთ კრიმინალურ ქრონიკას, ფილმ-თრილერებსა და ბოვეიკებს. თვალს ნულარ ადევნებთ პოლიტიკურ მოვლენებს და ნურც უსიამო ამბების განხილვაში მიიღებთ მონაწილეობას.

მამაკაცს გვერდით ისეთი ქალის ხილვა სურს, ვინც ბედნიერებას ასხივებს და არა ისეთისა, ვინც ერთთავად წუნუნებს და ცდილობს პრობლემები მამაკაცის მხრებზე გადაიტანოს.

## სიყვარულის ფერი

თუ თქვენი საყვარელი ადამიანის უფრო მეტად მოხიბლვა გსურთ, ფერი მოიშველიეთ. სიყვარულის ფერები — კაჟაჟა, ლიდერობა — წითელს ეკუთვნის. ნითელი ფერი თვალში საცემი და ლამაზია. ჩაივით ნითელი, ხასხასა ბლუზა, ქვედატანი, ამ ფერისვე ქაშარი, ფეხსაცმელები, ხელჩანთა და თქვენ მამაკაცისთვის უკვე დინამიტი ხართ. ნითელ ფერს მიზიდვის მძლავრი ძალა აქვს, ელვისუს-წარფესად აღანთებს მამაკაცის გულს.

თეთრ ფერსაც არანაკლები ზემოქმედების მოხდენა ძალუძს. „თეთროსანი ქალი“ არანაკლებ იპყრობს ყურადღებას, ვიდრე ნითლით შემოსილი.

შავი ფერი მამაკაცის გულის მოსანადირებლად წამდვილად არ გამოგადგება. შავი



(დაამთავრა პეროუ, ოქსფორდი), ყოველთვის მოდურად ჩაცმული... ახალი ნათესავი მართლაც მომხიბლავი აღმოჩნდა. ადა გამოირჩეოდა საოცარი გარეგნობით: კლასიკური პროფილი, სხივიანი, ჭკვიანი თვალები, საროს ტანი... მისი ცხოვრება იდუმალებით იყო მოცული — არ იცოდა მამის ვინაობა. დედასთანაც ვერ პოულობდა საერთო ენას. სახელი „ნემეზიდაც“, რომელიც ძველბერძნულად „შურისძიებას“ ნიშნავს, მეტყველებს მათ ურთიერთობაზე. კეთილშობილ არტურთან ქორწინება ადასათვის უსიამოვნებისგან თავის დაღწევის საშუალება იყო. მაგრამ სამწუხაროდ, ცოლ-ქმარს საერთო არაფერი აღმოაჩნდა.

...ხედავს გამწვარი ადა უყვება ჯონს თავისი უფერული ცხოვრების შესახებ... კეთილშობილი ჯონი გულისყურით უსმენს, ცდილობს, რაიმე შეცვალოს ქალის ცხოვრებაში... და მათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ჯონის მდგომარეობა საზოგადოებაში მიუღებელი იყო. რესპექტაბელური კლუბის წევრები ხელის ჩამორთმევასაც ერიდებოდნენ და იგი იძულებული გახდა, დაეტოვებინა კლუბი. ადამ კი, თავისი საქციელით ფეხქვეშ გათელა საზოგადოების წესი და ზნეობა. ამასობაში, გოლზუორთის უარი თქვა არასასურველ ოფიციალურ კარიერაზე და სწორედ ადას რჩევით დაიწყო წერა. გარდა შთაგონებისა და რწმენისა, ქალმა გოლზუორთის თავისი ცხოვრების ამბავიც შესთავაზა, რომელიც მწერლის შემოქმედების ღერძი გახდა. ეგოისტ მეუღლესთან დატანჯული მშვენიერი ქალის, მომხიბლავი ირენის („ფორსაიტების საგა“) სახე რომაინდან რომანში გადაიღოდა. სხვათა შორის, მგრძნობიარე და გულისხმიერი ჯონი თავის ნაწარმოებებში ყოველთვის მხარს უჭერს უდიდეს ქალებს — მწერალს ყოველ მათგანში ადას ხედავდა.

ჯონისა და ადას რომანი გრძელდებოდა. თუმცა ადამ დატოვა ქმარი და სხვაგან გადასახლდა, ისინი მაინც ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ გაემგზავრნენ საზღვარგარეთ. იტალია იყო მათი ნავსაყუდელი. ორივეს დღიურში ხშირად ჩნდება ჩანაწერი ადას ავადმყოფობის შესახებ.

1904 წელს არტურ გოლზუორთი გარდაიცვალა. ახლა მათ ქორწინებას ხელს არაფერი უშლიდა.

ჯონისთვის ადა უფრო ქალღმერთი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ქალი. რა იცოდა, მისი გულისთვის რა სიმძლავრის დაძლევა და, შესაძლოა, დიდი სისხვერპლის გაღებაც დასჭირდებოდა...

ადა უსაზღვროდ ერთგული იყო ქმრისა, ეთაყვანებოდა მის შემოქმედებას, სამაგალითოდ ასრულებდა პირადი მდივნის როლს. ყურადღებით კითხულობდა ყოველ სტრიქონს და თავისებურად აფასებდა. თანდათანოდ ჯონს გაუჩნდა სიყვარული — ყველაფერი შეგირულებიან საყვარელი ადამიანისათვის. ყველასა და ყველაფრისგან იცავდა, ანებებდა. ერთხელ მწ-

როგორ ავა-

მოქმედით „სიყვარულის ანდამატი“ სამსახურში? უპირველეს ყოვლისა, თავი აიძულებ, რომ ბედნიერება იგრძნო, თუნდაც ამის ნიშან-წყალი არ გეცხობოდეთ. ხშირად გაიმეორეთ: „ყველაფერი კარგადაა, ბედნიერი ვარ და ცხოვრებით ვტკბები“. აუცილებლად ღიმილით დაიმშვენიტ ბაგე. გვერდით, მოღიმარი სახე, ჩვეულები-სამებრ, მიიზიდავს მამაკაცთა მზერას!

კალეიდოსკოპი №6

ფერი ძალიან უხდება ქალის მაქმანიან საცვლებს, ქვედატანებსა და შარვლებს.

რომანტიკულ შესხედრაზე შეგიძლიათ მუქი ვარდისფრითაც (სხვათა შორის, სწორედ ეს ფერი უყვარდა ინგლისის დედოფალ ელისაბედს) — ჩვეულებისამებრ, შეყვარებული მამაკაცი ქალის სატებას ვარდისფერი სამოსით წარმოისახავს.

ერთხელ და სამუდამოდ დაივინყეთ რუხი და მისთანა ფერები — ეს ფერები თითქმის გარშემოყოფთ ეუბნებიან: ნუ გამოძირჩევთ სხვებისგან, უჩინრად დარჩენა მსურსო.

ამიტომ უპირატესობა მიანიჭეთ ხასხასა სიყვარულის ფერებს და ბედნიერებაც არ დაიგვიანებს.

კალეიდოსკოპი №7

## ჯონ გოლზუორთის საგა

ერლის დისწულმა ადას ბილიარდში მოუგო. ჯონმა ჭაბუკი გვერდზე გაიყვანა და რბილად შეასხნა, — ეტყობა, არ იცი, რომ ამ სახლში ყოველთვის ადა იმარჯვებოდა... ჯონის უპირველესი საზრუნავი ადას ჯანმრთელობა იყო. ამიტომაც თქვა უარი შვილის ყოლაზე. რაც შეეება მათ ინტიმურ ურთიერთობას, შეიძლება ითქვას, რომ კეთილშობილმა ადამმა ისნა ადა არტურ გოლზუორთისგან, უფრო სწორად, ცოლის მოვალეობის შესრულებისგან. ახლობლები იმასაც ამბობდნენ, ცოლ-ქმარს ინტიმური ურთიერთობა არა აქვს. ასეც იყო. ჯონი თავის დღიურში განსაკუთრებული ნიშნით აღნიშნავდა სიყვარულის დღეებს, რაც არცთუ ისე ხშირი იყო. 1912 წლიდან სასიყვარულო ნიშნები საერთოდ გაქრა...

საერთოდ, გოლზუორთი გარესამყაროს აღიქვამდა როგორც თეთრსა და შავს; ადამიანთა ქცევებს — კარგად და ცუდად. ასევე ცალმხრივი იყო მისი შეხედულება ქორწინებასა და სიყვარულზე. ამიტომაც შეხვდა სრულად მოუშზადებული 44 წლის გოლზუორთი მშვენიერი, ნორჩი მოცეკვის მარგარეტ მორისის ხალას გრძნობას. მას ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა დაეტყველებინა იგი სხვა ქალს... იგი ვერ აცნობიერებდა, რა ემართებოდა... ერთმანეთი თეატრში გაიცნეს. მარგარეტის საუცხოოდ ცეკვადა (მისი ხელმძღვანელი იყო აისელორას ძმა — რაიმონდ დუსქანი). მწერალი აღაფრთოვანა მარგარეტის ოსტატობამ. იგი აინთო, მოისურვა ეს ცეკვის მანერა თავის სპექტაკლში გამოეყენებინა. მარგარეტის შინ მიიწვია. დაიწვეს გეგმების დასახვა... ერთ დღეს მოულოდნელად მიხვდნენ, რომ ერთმანეთი უყვარდათ... ყველაზე მეტად აღელვებდათ ადას მდგომარეობა. მარგარეტის არწმუნება, — ჩვენი ურთიერთობა არაფერს დააკლებს თქვენს სიყვარულსო. ამ პლატონურ გრძნობას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა... ჯონმა თავისი ბედნიერება არ აავო სხვის, მით უმეტეს, ავადმყოფი ადას უბედურებაზე... შეწყდა ყოველგვარი ურთიერთობა მარგარეტთან... გამოსაშვადობებელ ბარათში ჯონი ქალს სწერდა, აჟაყუარდა გადაეტანა ეს ტრაგედია და არასოდეს შემოჭრილიყო მის ცხოვრებაში“. მაგრამ ადამ ვეღარ აპატიო ქმარს ნდობის დაღალა. მათ სიყვარულს მოგზაურობა თუ უშველიდა... ასეც მოიქცნენ. სხვათა შორის, ამერიკიდან ინგლისში დასაბრუნებლად 11 მაისს „ტიტანიკზე“ დაჯავშნეს ბილეთები. სუპერლანეტმა ვერ მიაღწია ამერიკის ნაპირებამდე — 15 აპრილს ჩაიძირა.

ადა ფიქრობდა, სიკვდილის ჟამს გვერდით ერთგული ჯონი მყოფებოდა, მაგრამ კაცი ბჭობდაო... 1933 წელს ჯონი გარდაიცვალა. ადასთვის ეს უსაშინლესი ღალატი იყო... იგი მოიცვა მრისხანებისა და სიმძნარის გრძნობამ და არა მწუხარებამ... მძიმე ფსიქიკური მდგომარეობაში მყოფმა მოინდომა ქმრის ყველა ნივთის განადგურება... მისი ცხენების დახოცვაც კი უნდოდა...

ადა 1957 წელს გარდაიცვალა, ჯონის გარდაცვალებიდან 24 წლის შემდეგ. ცოლ-ქმრის ფერფლი (ანდერძის თანახმად) ბერის მთაზე მიმოფანტეს.

ერესტიანკა №6







გაზეთი დამოუკიდებლად და ხელმძღვანელობს თავისი ფუნქციონირების პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს სახლის ადვოკატის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან გადმოხტული მასალების თემაზე, ძმურადიანის სიმსუბუქეზე, აგრეთვე არცაა მომზადებული მწარასა და სწორზე.

**[R]** ნიშნით აღნიშნული სტატიები იმეცდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტომატურად არ უბრუნდებათ.**

**იმთავრებს რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის პოაფილიაში:**

**ნუბა ღუბაძე, გიორგი თეიმურაზშვილი**

**სარედაქციო ქოლგები.**

მის. აკურის ქ. №8 (სპორტის სახსლის თეან)

**ტელ რედაქცია: 33-39-54**

**რეკლამა: 98-74-44**

**palitra@access.sanet.ge**

**სარედაქციო ნომერი 1518**

**„ქიბრის პალიტრა“**

**გამოცემის ორგანიზაციით**

გაზეთით დაბეჭდვა გამოქვეყნდა „კოლორიზი“.